ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 11 მაისი 1999 №85 (858) | ფასი 1 ლარი


# ტორპედომ დინამო გააკაწრა

## თბილისელებს ჩემპიონობას ბედკრული გურია მიულოცავს

ბადრი ქეთილაძის ფოტო



კვირას ქუთაისში. „ტორპედო“ — „დინამო“:
„დინამოს“ კარში პირველი გოლის გამტანი გიორგი მეგრელაძე (№10) და ალექსანდრე შეყრილაძე სიხარულს ვერ ფარავენ

წლეულს „ტორპედომ“ „დინამოს“ მეტი რომ ვერაფერი დააკლო, ჩემპიონატის წაუგებლად დასრულებისა და ქუთაისში, „გივი კილაძის“ სტადიონზე, მეათედ გაჩემპიონების საშუალება არ მისცა. ქუთაისელების, მეგრელაძის, ჩხეტიანის და დავით ჯანაშიას გოლებს ჩემპიონთა ქუთაისელმავე აშვეთიამ ოდენ ერთით უპასუხა. „დინამომ“ შარშანდელი 17 აპრილის მერე ჩემპიონატში პირველად წააგო და ოქროს მედლების ოფიციალურად დასაკუთრება მომავალი ტურისთვის გადადო. „დინამოსგან“ განსხვავებით საკუთარი ბედი ამ ტურშივე გადაიწყვიტა მისმა მომდევნო მეტოქე „გურიამ“, რომელიც „სამგურალთან“ მარცხის მერე პირველი ჯგუფიდან გავარდა.

საქართველოს ჩემპიონატი

27 ტური

9 მაისი, კვირა

| | |
|---|---|
| გურია | 2 |
| სამგურალი | 3 |
| ტორპედო | 3 |
| დინამო | 1 |
| იბერია | 1 |
| გორდა | 2 |
| ვიტ ჯორჯია | 2 |
| სიონი | 0 |
| ოდიში | 0 |
| კოლხეთი | 2 |
| ლოკომოტივი | 1 |
| მერანი | 0 |
| დილა | 1 |
| არსენალი | 2 |

გადაიდო

ბათუმი
თსუ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 27 | 21 | 5 | 1 | 76:15 | 68 |
| ტორპედო | 27 | 19 | 4 | 4 | 66:24 | 61 |
| ლოკომოტივი | 27 | 15 | 10 | 2 | 34:13 | 55 |
| კოლხეთი | 27 | 13 | 6 | 8 | 53:35 | 45 |
| ბათუმი | 26 | 10 | 11 | 5 | 35:19 | 41 |
| ვიტ ჯორჯია (-3) | 27 | 12 | 4 | 11 | 34:26 | 37 |
| მერანი | 27 | 9 | 9 | 9 | 24:25 | 36 |
| იბერია | 27 | 10 | 5 | 12 | 40:42 | 35 |
| დილა | 27 | 10 | 5 | 12 | 35:45 | 35 |
| არსენალი | 27 | 8 | 11 | 8 | 31:41 | 35 |
| გორდა | 27 | 7 | 10 | 10 | 26:38 | 31 |
| სამგურალი | 27 | 8 | 3 | 16 | 27:50 | 27 |
| თსუ | 26 | 6 | 9 | 11 | 21:29 | 27 |
| სიონი | 27 | 6 | 7 | 14 | 25:47 | 25 |
| ოდიში | 27 | 6 | 2 | 19 | 20:55 | 20 |
| გურია | 27 | 3 | 3 | 21 | 28:71 | 12 |

თვრამეტწლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## საქართველო — ჩეხეთი

ბათუმი. დინამო. 11 მაისი. 17 საათი

# შორი და ახლო შვედეთი

დღეს ბათუმის „დინამოს“ სტადიონზე საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები ჩეხ თანატოლებს გაეჯიბრება და ამით ივლისის ბოლო დეკადაში შვედეთის სტადიონებზე გასამართი ევროპის ჩემპიონატის ორსაფეხურიან შესარჩევ ციკლსაც დაასრულებს.

„კოპალას ბიჭებად“ მონათლულ ჩვენებურთ, როგორც იცით, აჭარის დედაქალაქში საპასუხო თამაში აქვთ. ქართველ და ჩეხ 18-წლამდელთა პირველი მატჩი, რომელიც სამი კვირის წინ ჩეხურ ოპავაში შედგა, ფრედ 2:2 დასრულდა. ვახტანგ კოპალეიშვილის შეგირდები თამაშის დამთავრებამდე 17 წუთით ადრე სტანდარტელი ლაშა ჯაკობიას წყვილი გოლით 2:0 უგებდნენ მეტოქეს, მაგრამ მასპინძლებმა იძალეს და იან პოლაკის და ზადეკ შპილაჩეკის გატანილებით ანგარიში გაათანაბრეს. რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, ქართველებს ის თამაში მოეგოთ, მგრამ, დაგვეთანხმებით, ამ შემთხვევაში ურიგო არც ფრე იყო, რადგანაც ჩვენები გამარჯვებით თავისთავად და, ყაიმითაც (0:0, 1:1) ეუფლებიან სკანდინავურ საგზურს. ერთი სიტყვით, ეს შანსილა დაგვრჩენია, ბოლო ხანს საერთაშორისო სარბიელზე შერცხვენილ ქართულ ფეხბურთს „კოპალას ბიჭები“ თუ მოსწმენდენ ნამუსს.

იხილეთ მეხუთე გვერდი

5

## ილოცეთ ტორპედოსთვის!

„ლოკომოტივი“, „კოლხეთი“ და „ბათუმი“ თასის ფინალში „სამგურალის“ წინააღმდეგ მოთამაშე „ტორპედოს“ უქომაგებენ

7

## ბაიერნი თხუთმეტგზის ბუნდესჩემპიონია




მიუნხენურ ზეიმში ბავარიული ლუდის ზღვა შეისვა

10

## ლიგის თასმა ლანსს ხაზინაც შეუვსო

12

## თუ არ გინდათ წვიმა, გადაიხადეთ ფული...

UEFA CUP

ხვალ მოსკოვში უეფას თასის ფინალია

13

## თსუ-მ ფედერაციაში იჩივლა

წუთმესვენება რომ მოგვეცათ, მოვიგებდითო...

საქართველოს ჩემპიონატი

## 27 ტური

# ჯან-ასია!

ქუთაისი
9 მაისი
18 საათი
გივი კილაძე
20 000 (ტევადობა 23 800)

## ტორპედო 3:1 დინამო

1:0 მეგრელაძე (13), 1:1 აშვეთია (50), 2:1 ჩხეტიანი (59), 3:1 ჯანაშია (86)

**ტორპედო:** ჭანტურია, ახვლედიანი, თურმანიძე, ხვადაგიანი, შეყრილაძე, მაღლაკელიძე, კ. კვეტენაძე, ჩხეტიანი (მაზანიშვილი 79), დ. ჯანაშია, მეგრელაძე (კ. მეტრეველი 31), ვაჩიბერაძე (ჩხაბერიძე 85)

*სათადარიგონი:* სტურუა; იონანიძე, კ. ჯანაშია

**დინამო:** გვარამაძე, ლ. მიქაძე, ვაშაკიძე, მ. მაჭავარიანი, პ. ჯინჭარაძე, ა. სახვაძე (გოგიჩაიშვილი 46), კიკნაძე (ჩომახიძე 66), ალექსიძე, ტულუში (ქებაძე 77), აშვეთია, გუჩუა

*სათადარიგონი:* მამალაძე; ა. მუჯირი

**გაფრთხილება:** ხვადაგიანი (24), მიქაძე (36), გუჩუა (85)

**გაძევება:** ვაშაკიძე (86)

**მსაჯები:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), კ. მესხი (ზუგდიდი); მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

**იუზა კაციტაძე** ქუთაისიდან

**ის ფაქტი**, რომ ჩემპიონატის ფინიშამდე ოთხი ტურით ადრე ლიდერი „დინამო“ უახლოეს მდევარ „ტორპედოს“ მთელი ათი ქულით უსწრებდა, ხოლო „ტორპედომ“ მესამე ადგილზე მყოფ „ლოკომოტივთან“ ქულათა სხვაობა ამ დროისთვის ექვსამდე გაზარდა, თავისთავად, მრავლისმეტყველი გახლდათ. თბილისელებმა პრაქტიკულად გაინაღდეს საიუბილეო გათამაშების ოქრო. ქვეყანა უნდა დაიქცეს, „დინამო“ მეათედ რომ ვერ გაჩემპიონდეს. არ იფიქროთ, „ტორპედოც“ ისე წახდეს, ვერცხლის მედლებს ვერ დაეპატრონოს, მეტიც, ეს მედლები თასში ვერ აჩხრიალოს...

დაგვეთანხმებით, „ტორპედო“ — „დინამოს“ გუშინწინდელი მატჩი „გივი კილაძეზე“ ოცდამეშვიდე ტურის კი არა, საერთოდ ჩემპიონატის ცენტრალური მატჩი იყო. მოაწყდა, მაგრამ რა მოაწყდა ხალხი სტადიონს! 20 000(!).

თამაშს მართლაც რომ დიდი ინტრიგა ახლდა. ჯერ ერთი, სამი შესაძლო შედეგიდან ორი (ფრე, სტუმართა გამარჯვება) „დინამოს“ ვადამდელ გაჩემპიონებას მოასწავებდა. მეორე, გასული წლის 17 აპრილს ფოთის „კოლხეთთან“ სტუმრად 1:3 განცდილი მარცხის შემდეგ „დინამოს“ ქართულ სარბიელზე ერთხელაც არ წაუგია, თუ, რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მივიღებთ „ლოკომოტივთან“ თასის მერვედფინალში მატჩისშემდგომი პენალტების სერიაში ხელმოცარვას. მესამე, „ტორპედო“ მარად ჩემპიონს რევანშს (პირველ წრეში „დინამომ“ მიხეილ აშვეთიას გოლით მოიგო) და კიდევ რაღაც-რაღაცეების დამტკიცებას უპირებდა. მერე და იოჰან ბოსკამპი?! ეროვნული ნაკრების ჰოლანდიელმა მწვრთნელმა დინამოელები ასე თუ ისე უკვე შეისწავლა, ტორპედოელთა თამაშს კი პირველად უცქერდა. ბოლოს, დათო ჯანაშიას 99?! ტორპედოელს ეროვნული ჩემპიონატის მატჩებში გატანილთა გაასებამდე ერთილა რჩებოდა...



ვალტერ გუჩუა კახა კვეტენაძეს (№7) ფეხებში ჩაუვარდა

ქუთაისელებმა „უცნაურად“ დაიწყეს. „ტორპედოს“ თავკაცმა ჯემალ ხერხაძემ მოთამაშეთა ჩვეულ განლაგებაზე უარი თქვა. გუნდის ქომაგნიც გვარიანად ჩააფიქრა. ბადრი ახვლედიანს რომ ორივე ფლანგზე შესწევს თამაშის უნარი, როგორც ჩანს, ბევრმა არ იცოდა და იმიტომაც გაიკვირვა თავიდან. „ტორპედოში“ მისვლის შემდეგ ახვლედიანი მარჯვენა მოიერიშე მცველს თამაშობდა. ახლაც მოიერიშე მცველის ფუნქცია ეკისრა, ოღონდ საპირისპირო ფრთაზე. მარჯვენა მცველად (თავის ძველ ამპლუაში) კი ალეკო შეყრილაძემ გადაინაცვლა. ორი ვახტანგი, ხვადაგიანი და თურმანიძე, შეწყვილებულად თამაშობდნენ უკანა მცველს, მათგან შორიახლო კი ირაკლი მაღლაკელიძე ირჯებოდა.

„დინამოს“ სათამაშო სქემა ტრავმირებული გივი დიდავასა და კლიმენტი წიტაიშვილის არყოფნაში უფრო 4-5-1-ად იკითხებოდა, თუმცა წინ წაწეულ მიხეილ აშვეთიას აქტიური მომხმარეები ჰყავდა თემურ ტულუშის, რატი ალექსიძის და პაატა ჯინჭარაძის სახით.

საწყისი საათის მეოთხედი ტრიბუნებიდან „ტორპედო“ — „დინამოს“ გუგუნში და უფრო გაბედულ მასპინძელთა იერიშებში გაილია. მე-11 წუთი. პირველი სახიფათო მომენტი ამ მატჩში. მასპინძლებმა „დინამოს“ ნახევარზე გადაიტანეს ბურთი. ირაკლი ვაშაკიძე გადაცემის ჩაჭრას ცდილობს, მაგრამ უხეიროდ, ბურთს მეგრელაძე ეუფლება, მარჯვნიდან „დინამოს“ საჯარიმოს წინ დათო ჯანაშიას გადასცემს, ჯანოც ძლიერად გზავნის კარისკენ, აქ კი გვარამაძე მაღალ ნახტომში კუთხურზე იგერიებს. ორ წუთში ქუთაისელები უკვე გოლს ზეიმობენ. ეს მეგრელაძემ მიიღო სტუმართა საჯარიმოში მარცხნიდან ჩაწოდებული, დასარტყმელად მოირგო და არცთუ ხელსაყრელი პოზიციიდან (კუთხე იყო მახვილი) კარს დაუმიზნა. ვერ გეტყვით, რა დაბოლოება ექნებოდა ამ შეტევას, ბურთი ვაშაკიძეს რომ არ მოხვედროდა და რიკოშეტით ბადეში არ გახვეულიყო...

„ტორპედო“ დაწინაურდა და... ინიციატივა სტუმრებს დაუთმო. ეტყობოდა, შეგნებულად. მასპინძლებმა კონტრშეტევებზე თამაში ამჯობინეს, რისთვისაც უფრო მარჯვენა ფლანგს იყენებდნენ, სადაც მეგრელაძე აქტიურობდა, მაგრამ ვინ აცალა. მას შემდეგ, რაც ვაშაკიძემ ფლანგი გაუცვალა მიქაძეს, ეს უკანასკნელი ტორპედოელს არ ახარებდა. დინამოელმა იმდენი ქნა, ერთ-ერთი შეტაკებისას გია მწყობრიდან გამოიყვანა. ეს „საქმე“ რომ მოილია, ოთხ წუთში მიქაძემ მეგრელაძის შემცვლელი მეტრეველიც არ დაინდო, კოჭში უთავაზა, რისთვისაც „ყვითელი“ მიიღო.

როგორც ვთქვით, „ტორპედომ“ განვებ დაიხია უკან, ჩემპიონიც მასპინძელთა ნახევარს გაუშინაურდა, ბურთს მეტწილად ის აკონტროლებდა, მაგრამ სახეიროს ვერაფერს ქმნიდა. ტაიმის მიწურულს სიტუაცია შეიცვალა. ტორპედოელებმა, როგორც დასაწყისში, ენერგიულად შეუტიეს და ორჯერ აშკარა საფრთხის წინაშე დააყენეს „დინამო“. ახვლედიანის გრძელ რეიდს მარცხენა ფლანგზე ჩემპიონის საჯარიმოში კარგი ჩაწოდება მოჰყვა, ჯანაშიამ ასევე კარგად მიიღო ბურთი, „დაამუშავა“ და, ოდნავ რომ არ შეყოვნებულიყო, ალბათ, უფრო ძლიერად და ზუსტად დაარტყამდა, ასე კი მას მცველები აეფარნენ და დარტყმა შეუშალეს. ამ ეპიზოდიდან წუთიც არ იყო გასული, რომ მეტრეველმა ზუსტი პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა ჯანაშია, მაგრამ პარტნიორებმა ერთმანეთს ვერ გაუგეს, უფრო სწორად ჯანაშია არ გავიდა ამ პასზე. ტაიმის წამატებულ ორ წუთში კი მოხდა ის, რომ აშვეთია წაიქცა „ტორპედოს“ საჯარიმოში და არბიტრისაგან 11-მეტრიანს ითხოვდა. ოთარ გუნთაძე შემთხვევის ადგილთან ახლო იყო და... დინამოელის მოთხოვნას ყური არ ათხოვა.

სანახაობრივი თვალსაზრისით მეორე ტაიმში თამაში გაცილებით უკეთესი იყო. განახლებიდან ხუთ წუთში „დინამომ“ ანგარიში გაათანაბრა. ტულუშმა შორიდან ალექსიძეს ჩაუწოდა მასპინძელთა საჯარიმოში, რატიმაც იქით გასცა, სადაც აშვეთია ეგულებოდა, მიხომ მცველებს დაასწრო და ათი მეტრიდან ერთი შეხებით კარში გაგზავნა. დინამოელთა გოლსმოყოლილ ათ წუთში ტორპედოელი ჩხეტიანი ირჯებოდა საუკეთესოდ. 55-ე წუთზე კახამ ჯანაშიას აუტიდან მოწოდებული „დინამოს“ საჯარიმოში გაგზავნა, იქ ბურთს მეტრეველი დაუხვდა და კარშიც დაარტყა, მაგრამ გვარამაძემ აუღო. ორ წუთში ჩხეტიანმა სტუმართა საჯარიმოს კუთხიდან ძლიერად გაისროლა, ბურთი ოდნავ აცდა კარის ჯვარედინს. სამაგიეროდ, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრის მესამე ცდა გამოდგა იღბლიანი. ტორპედოელებმა სწრაფად, ტექნიკურად და ლამაზად ითამაშეს. მეტრეველმა მარჯვნიდან „დინამოს“ საჯარიმოს საპირისპირო კუთხეში ჯანაშიას უპასა, ჯანაშიამაც საოცრად ზუსტი გადაცემით ჩხეტიანი გაიყვანა მეკარესთან პირისპირ და კახამ ეს შანსი ხელიდან აღარ გაუშვა, გვარამაძეს ახლოდან მარჯვენა მაღალ კუთხეში აულებელი დაურტყა.

აი, აქედან კი გამწვავდა ბრძოლა. 65-ე წუთზე დინამოელ ვაშაკიძეს შეეძლო გაყაიმება, მაგრამ ქუთაისელთა კარის გასწვრივ ჩაწოდებულზე ოდნავ დააგვიანა. 72-ე წუთზე მუხლმოუღლელი ახვლედიანი გაიჭრა მარცხენა ფლანგზე კარის ხაზთან ახლო, სტუმართა საჯარიმოშიც შეაღწია, მაგრამ კახი გოგიჩაიშვილთან შეტაკებისას წაიქცა. არბიტრს თუ ვენდობით (სხვა რა გზა გვაქვს), აშვეთიას შემთხვევისა არ იყოს, არც აქ ჰქონია „კრიმინალს“ ადგილიო. ნებსით თუ უნებლიეთ, გოგიჩაიშვილმა სულ მალე ჩხეტიანს დაატოვებინა მოედანი, სეხნიათა „დუელში“ ქუთაისელმა ტრავმა მიიღო და თამაში ველარ გააგრძელა.

დაძაბულობამ კულმინაციას ბოლო 10 წუთში (აქ დამატებული ოთხიც შედის) მიაღწია. გახსნილი თამაში წავიდა და გუნდებს გატანის რამდენიმე შანსი ჰქონდათ. მასპინძლებმა ერთი კარგადაც გამოიყენეს. მას შემდეგ, რაც ვაშაკიძემ ჯანაშიას მეკარესთან პირისპირ [illegible] საჯარიმოს წინ აშკარად ეუხეშა, დინამოელს „წითელი“ აუნთეს, თავად დაზარალებულმა ფილიგრანული სიზუსტით შეასრულა საჯარიმო და დიდი ხნის ნატვრაც აისრულა. ეს გოლი მეასე იყო ეროვნულ ჩემპიონატში მის მიერვე გატანილთა ჩამონათვალში.

„დინამოს“ სხვა გზა არ ჰქონდა, წაგებას უჩვევი ჩემპიონი ვა-ბანკზე წავიდა და ორჯერ ახლოსაც იყო მიზანთან. ერთ-ერთი შეტევისას მიქაძემ ქუთაისელთა კარის ხარიხას მოახვედრა, გადმოვარდნილს ქებაძემ დაამატა და აქ ჭანტურიამ იმარჯვა. „ტორპედოს“ გოლკიპერმა ბოლოს მასთან პირისპირ დარჩენილ აშვეთიასაც აუღო ძნელი ბურთი.

„ლოკომოტივთან“ ერთი თვის წინ გამარჯვებისა არ იყოს, „ტორპედომ“ „დინამოსაც“ დააყრევინა ფარ-ხმალი. არა, „დინამო“ აუცილებლად გაჩემპიონდება, მაგრამ ეს არ იქნება დაუმარცხებელი ჩემპიონი. „ტორპედომ“ სრულყოფილი რევანში აიღო და მრავალრიცხოვანი ქომაგიც დიდად გაახარა.

მერე და იოჰან ბოსკამპი?! მუდამ მომღიმარ ჰოლანდიელს, გუშინწინაც სამთავრობო ლოჟიდან რომ უცქერდა თამაშს, დანა პირს არ უხსნიდა. კარგი იქნებოდა, ამ მატჩზე ნაკრებისა და „დინამოს“ უცხოელი მწვრთნელის აზრი გაგვეგო და იქნებ „ტორპედოს“ თავკაცსაც დასცდენოდა რამე, მაგრამ მატჩზე დამსწრე ჟურნალისტებს პრესკონფერენცია არ გვაღირსეს. საკითხავი კია, თუ „ტორპედო“ — „ოდიშის“ და „ტორპედო“ — თსუ-ს შემდეგ იყო შესაძლებელი მწვრთნელთა და ჟურნალისტების შეხვედრა, „ტორპედო“ — დინამოს“ რად არ სცეს პატივი.



ეროვნულ ჩემპიონატებში ასი გოლის გამტან დავით ჯანაშიას მიმლოცველები არ აკლდა

ყველა ასგოლიანი

117 - ლევან ხომერიკი
105 - გიორგი დარასელია
105 - ოთარ კორღალიძე
104 - მერაბ მეგრელაძე
100 - დავით ჯანაშია



მატჩის ბედი კახა ჩხეტიანის (№17) გოლმა შეატრიალა

ბადრი კეთილაძე ქუთაისიდან


თბილისის ბოულინგ-ცენტრი

ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12 ა, ტელ.: 330-350

გაძლევთ შანსს:

მონაწილეობა მიიღოთ კომერციულ ტურნირებში
ანუ 50 ლარად მოიგოთ 500 ლარი

იასპარეზოთ რეგულარულად გამართულ ჩემპიონატებში და
თავი ისახელოთ როგორც თვის საუკეთესო ბოულერმა

შეეჯიბროთ კლუბს: 5 ლარად ითამაშოთ ერთი გეიმი და
დაჯილდოვდეთ: 210 ქულაზე — 100 ლარით, 220 ქულაზე — 200 ლარით,
230 ქულაზე — 300 ლარით

ივარჯიშოთ სპორტულ სექციაში და გახდით პროფესიონალი მოთამაშე

# მოსახდენი მოხდა

ლანჩხუთი
9 მაისი
18 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
500 (ტევადობა 22 000)

**გურია 2:3 სამგურალი**

0:1 ძაგნიძე (28), 0:2 შენგელია (52), 1:2 დ. მახარაძე (66პ), 1:3 კილასონია (69), 2:3 დ. მახარაძე (81)
გურია: გოგუა (რ. ჩხაიძე 71), თ. ჩხაიძე, ზ. კვეკვესკირი, შ. მახარაძე (სულაქველიძე 46), კ. სვანიძე, გულორდავა, შავშიშვილი, ბოლქვაძე, ლ. ჩხაიძე, ენუქიძე (ძოწუაშვილი 46), დ. მახარაძე
*სათადარიგონი:* ბერძენიშვილი, ფირცხალაიშვილი, მაჩიტიძე
სამგურალი: ბობოხიძე, მახვილაძე, ბურნაძე, ვოსკანოვი (ჯავახაძე 71), ძაგნიძე, გ. კილასონია, აფციაური, გიორგობიანი, პეტრიაშვილი (ზ. ქუთათელაძე 61), სუხიაშვილი, გ. შენგელია (გლუნჩაძე 53)
*სათადარიგონი:* ლ. ქობულაძე, ღონღაძე, მ. ჯინჭარაძე
მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. მაისურაძე, ლ. სილაგავა (ორივე თბილისი); პ. ჯულაყიძე (სამტრედია)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

გოჩა ჯანაშია ლანჩხუთიდან

მოხდა ის, რასაც ყველა მოელოდა. „გურია" აწ უკვე ოფიციალურად მეორეჯგუფელი გახდა. რას იზამ, დრონი მეფობენო ხომ გაგიგიათ. ჰოდა, ერთ დროს პირველი ორი ეროვნული ჩემპიონატის ვიცე-ჩემპიონი და თასის პირველი მფლობელი, ჟამთა სვლამ აქამდე მოიყვანა. აგერ მეცხრე წელია, გურულების დაღმასვლა გრძელდება. მეცხრე წელია, რაც ჯახირობენ და სულს ღაფავენ. ყველაფერ ამას აგერ უფსკრულიც მოჰყვა, უფსკრული, საიდანაც „გურიას" ამოყვანა ერთობ ძნელი იქნება.

მავანი იტყვის, რა მოხდა ასეთი, გავარდნით ვინ არ გავარდნილა და გურულები რას მიქვიანო. ალბათ ასეც არის, მაგრამ აქ სხვა რამ არის მთავარი. ეს მარტო ქვედა ლიგაში დაქვეითება არ არის. ეს მთლიანად ლანჩხუთის ფეხბურთის ისტორიის და დიდი ტრადიციების წაშლის საშიშროებაა, რაც გარკვეულწილად დღევანდელი დასნეულებული ქართული ფეხბურთის მძიმე ხვედრიცაა. დიახ, დღესდღეობით იმიტომ უჭირს ჩვენს ფეხბურთს, რომ ლანჩხუთში, ზუგდიდში და სხვა ქალაქებში, ის დავიწყებას მიეცა და ბევრისთვის ზედმეტ ბარგად იქცა.

არადა, „გურიას" დიდი ტრადიციები და ისტორია რომ გააჩნია, ეს ცხადია. მაგრამ რად გინდა, თუ ღირსეულ წარსულს, ასევე ღირსეული მომავალი არ ექნება. აი, გურულების მომავალზე რა მოგახსენოთ. მითუმეტეს, რომ ახალი დებულებით მათ გაისად უმაღლეს ლიგაში დაბრუნების შანსიც კი არ ექნებათ.

ბევრს მიაჩნია, რომ „გურიას" ბედი მაშინ გადაწყდა, ზედ ჩემპიონატის მეორე წრის წინ, კლუბის მესვეურებმა ძველ შემადგენლობას რომ უგანეს. სპეციალისტებმა, სწორედ მაშინ მონათლეს ის გავარდნის უპირველეს კანდიდატად, რადგან ცხადი იყო, რომ ძირითადად გამოუცდელი ბიჭებისგან უცბად შეკოწიწებულ გუნდს, გაუჭირდებოდა რაიმეს მიღწევა. ისე აგიხდეთ ყველაფერი, როგორც მათ აუხდათ. მართლაც, მეორე წრეში უკვე 12 ტური გათამაშდა და გუნდმა ოდენ 2(!) ქულის აღება მოახერხა, ხოლო მოუგებელი სერია, შარშანდელი 28 ოქტომბრიდან გადმოჰყვა და რა გასაკვირია თუ იგი ცხრილის ფსკერზე მყარად გამაგრდა.

„გურიას" ამ მატჩამდე გადარჩენის ერთადერთი შანსი ჰქონდა. დარჩენილ ოთხ ტურში აუცილებლად უნდა მოეგო, ოღონდ იმ პირობით, თუ „სამგურალი" პირიქით, ოთხივეს წააგებდა. თუმცა, ეს შანსი კი არა, უტოპია გახლდათ. და რა გასაკვირია, ლანჩხუთელებს იმერლებთან დაპირისპირებისას, ინტრიგის ნატამალიც რომ არ შერჩენოდათ.

დალხინებული ყოფა არც „სამგურალს" აქვს. მისი მიზანი ხომ პლეიოფისგან თავის დაღწევაა, მაგრამ თასის ფინალისტს ამბიციები კარგა ბლომად დაუგროვდა და ამ მატჩისთვის ყინჩად გამოიყურებოდა. ვისაც არ დაეზარა, „გურიას" ყველამ მოუგო და ჩვენ რა ღმერთი გაგვიწყრებაო — გაიძახოდნენ წყალტუბოელები.

თამაშიც, როგორც მოსალოდნელი იყო, მათი კარნახით წარიმართა და უკვე მეორე ტაიმის დასაწყისში ორი ბურთით დაწინაურდნენ კიდეც. პირველად იმერლებმა, პირველი ნახევრის შუაწელში გაიტანეს, როცა პეტრიაშვილმა მარჯვნიდან საჯარიმოში გიორგობიანს დაუგორა. ამან კარის მიმართულებით ჩააწოდა, სადაც ძაგნიძემ ბურთს სასურველი მიმართულება იოლად მისცა. მეორე გოლი კი 52-ზე გავიდა, როცა სუხიაშვილის ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს გიორგი შენგელიამ თითქმის კარის ხაზიდან თავით გოგუას კარში უპრობლემოდ მიუჩინა ადგილი.

მართალია, მასპინძელთა მეგოლემ დავით მახარაძემ, თავისი წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გოლად კი გარდასახა, მაგრამ სტუმართაგან საუკეთესო გიორგი კილასონიამ სამიოდ წუთში სტატუს-ქვო ეფექტური დარტყმით აღადგინა. „გურიამ" ბოლოსთვის კი გაიბრძოლა, ოღონდ მხოლოდ დავით მახარაძის ეროვნულ ჩემპიონატებში გატანილ 97-ე გოლს დასჯერდა. ეს იყო და ეს.

მოკლედ, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურით ადრე, ვადამდე გაირკვა ერთი გუნდის ვინაობა, ვინც პირველ ჯგუფს დაემშვიდობება. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია — ეს გუნდი ლანჩხუთის „გურია" გახლავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თამაშგარეთ არავინ იყო

სამტრედია
9 მაისი
18 საათი
ეროსი მანჯგალაძე
1 000 (ტევადობა 15 000)

**იბერია 1:2 გორდა**

0:1 ალადაშვილი (50), 1:1 ლურსმანაშვილი (59), 1:2 პატარიძე (65)
იბერია: ვარდანიძე, ნიკოლეიშვილი, ქველაძე (მიქელთაძე 56), გეგეშიძე, მუმლაძე, ს. თოდუა, ს. გიგიაძე, ვ. გიგიაძე, გ. ლურსმანაშვილი, ივეჩიანი, ფილიპაშვილი (ვარდიაშვილი 46)
*სათადარიგონი:* გ. დოლიძე; რ. ცომაია, ზ. ფხაკაძე, ნ. გიორგაძე
გორდა: მ. ქორიძე, კედელაშვილი, ბექაური, სიდამონიძე, მ. გაბელაია, ინასარიძე (მ. სახვაძე 84), კ. ჩიგოშვილი, ზირაქაძე, კიტეიშვილი, პატარიძე, ლ. ალადაშვილი (ლაბაძე 86)
*სათადარიგონი:* ოქროპირიძე; ბაბუნაშვილი, ტარტარაშვილი, მჭედლიძე, რ. მახარაძე
გაფრთხილება: ჩიგოშვილი (57), მუმლაძე (65)
მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი); ა. გუნთაძე (ლანჩხუთი)
სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

მამუკა გიგიაძე სამტრედიიდან

„იბერია" სტუმრად „მერანთან" გამარჯვების შემდეგ, ზედმეტად თავდაჯერებული გავიდა „გორდასთან" სათამაშოდ, ამისთვის მასპინძლები კიდეც დაისაჯნენ.

შეხვედრა მასპინძელთა საგრძნობი უპირატესობით დაიწყო, მაგრამ სახეირო ვერაფერი შექმნეს სტუმართა კართან, მხოლოდ შორეული უზუსტო დარტყმებით კმაყოფილდებოდნენ. „გორდამ" თავისი კარი საიმედოდ გაამაგრა და თამაში კონტრშეტევებზე ააგო. ერთ-ერთი ასეთი კონტრშეტევისას ინასარიძემ საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩენილ ზაზა პატარიძეს უპასა, ზაზამ ხუთიოდ მეტრიდან არაზუსტად დაარტყა. ტაიმის მიწურულს ზირაქაძის ძლიერი დარტყმული ვარდანიძემ ოსტატურად მოიგერია.

მეორე ნახევრის დასაწყისშივე შესძლეს სტუმრებმა ბურთის გატანა, ინასარიძემ კარგად გადააწოდა ლაშა ალადაშვილს, საჯარიმოში შესულმა რუსთაველმა კი შანსი არ დაუტოვა იბერიელთა კარის დარაჯს. გაშვებულმა ბურთმა გამოაცოცხლა მასპინძლები, მათ შეტევებს მოუხშირეს და საპასუხო გოლიც მალევე გაიტანეს. 59-ე წუთზე სოსო გიგიაძის წაქცევისთვის დანიშნული საჯარიმო დარტყმა 23 მეტრიდან ბრწყინვალედ შეასრულა გელა ლურსმანაშვილმა. ანგარიშის გათანაბრებამ მასპინძლებს გამარჯვების იმედი ჩაუსახა, მაგრამ პირიქით კი მოხდა. 65-ე წუთზე კედელაშვილის ჩაწოდებული საჯარიმო მცველებმა უხერხულად მოიგერიეს, ბურთი პატარიძეს მიუვიდა და, მანაც შანსი ხელიდან არ გაუშვა.

იბერიელები დარჩენილ დროში ბევრს უტევდნენ, მაგრამ მათ შეტევებს შედეგი არ მოჰყოლია. შეხვედრის მიწურულს მუმლაძეს შეეძლო გაყაიმება, მაგრამ ახლო მანძილიდან მისი დარტყმული მცველმა მოიგერია.

მატჩი, რომლის შედეგი მოულოდნელი იყო, სტუმართა დამსახურებული გამარჯვებით დასრულდა.

აღსანიშნავი კი ესეც იყო, ამ შეხვედრაში მსაჯებს თამაშგარე ერთხელაც არ დაუფიქსირებიათ, რაც დამეთანხმებით, ფეხბურთში იშვიათობაა.

# მომავალი თქვენია?..

მცხეთა
9 მაისი
18 საათი
არმაზი
500 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 2:0 სიონი**

1:0 ქორიძე (7), 2:0 დოლიძე (52)
ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, ჭანკოტაძე, ქემოკლიძე, ვ. მაისურაძე, ბარქაია, კ. ალადაშვილი, ზ. გვაზავა, დ. დოლიძე (ერაძე 83), მაზიაშვილი (ი. კაპანაძე 87), გიორგი ქორიძე, ვ. გოჩაშვილი (გ. გვაზავა 76)
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; თ. ბოკერია
სიონი: გუგუნავა, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, დ. სვანიძე, ისიანი (ლ. ამბიძე 61), მ. სამხარაძე, ე. ჯაფარიძე (ლ. გაგუა 46), მ. გოგოლაძე, თ. სამხარაძე, ტყავაძე, მოსეშვილი
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი; ფ. არჩვაძე, დ. ჯაფარიძე, ხიდაშელი
მსაჯები: გ. ასკაროლლი (ქარელი); ვ. ელოევი (ცხინვალი), ზ. ჯვარიძე; დ. ხარიტონაშვილი (ორივე თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. ამირეჯიბი

პაატა კვანტალიანი მცხეთიდან

სხვისი არ ვიცი და მე კი ხშირად მხვდებოდა თვალში „სიონის" ერთ-ერთი წარმომადგენელი, ბოთლით ხელში რომ შერბოდა მოედანზე, რათა ტრავმამიღებულ თავისიანთათვის წყალი შეეშველებინა — ყოველივე კიდევ ერთხელ შეგახსენებდა კაცს, რომ ქართულ ფეხბურთს მართლაც წყალი შესდგომია...

„სიონი" მცხეთას ამაღლებული განწყობით ეწვია. ამის საფუძველს ბოლნისელებს ზუგდიდში მოპოვებული გამარჯვება და შინ „ბათუმთან" მიღწეული ფრე აძლევდათ. ერთიცაა, სტუმრებს გიორგი ტყავაძის სახით უდავოდ ანგარიშგასაწევი ძალა დაემატათ. ისიც გასათვალისწინებელი იყო, რომ „გორდასთან" დამარცხებით „ვიტ ჯორჯიას" ინტერტოტოს გათამაშებაზე გასვლის შანსი პრაქტიკულად დაკარგული ჰქონდა და, მეტოქისგან განსხვავებით (რჩეულთა შორის დარჩენის საკითხი ბოლნისელებს ჯერაც არ გადაუწყვეტიათ), გამარჯვებისთვის ნაკლები მოტივაციაც გააჩნდა. ასე რომ, „სიონს" ერთი შეხვედვით წარმატების მოპოვების არცთუ მცირე შანსი ჰქონდა, მაგრამ მისდა სამწუხაროდ ვერ გამოიყენა. მანამდე კი...

მე-7 წუთზე ქემოკლიძემ მოედნის ცენტრიდან გამოზომილი პასით ხელსაყრელ პოზიციაში დატოვა გიორგი ქორიძე, მანაც კარიდან გამოვარდნილ გუგუნავას თავზე გადაუგდო ბურთი და ანგარიშიც გაიხსნა. ხუთი წუთის შემდეგ მაზიაშვილმა საჯარიმოში შეჭრილი ალადაშვილი მოძებნა, ამ უკანასკნელმაც ბურთი ძირს დაუშვებლად ძლიერად დაარტყა, თუმც კარს ოდნავ ააცილა. 30-ე წუთზე გვაზავა-გოჩაშვილი-ქორიძის სამსვლიანი კომბინაცია იქნებ გოლითაც დამთავრებულიყო, ქორიძეს საბოლოო დარტყმის დროს მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინა. წუთის შემდეგ მცველმა ჭანკოტაძემ, რომელიც ხშირად ერთვებოდა შეტევებში, გოჩაშვილი შეატოვა სტუმართა მეკარეს, თუმცა „დინამოსთვის" ორი გოლის გამტან ფეხბურთელს ისიანი წამოეპარა უკნიდან და სახიფათო მდგომარეობაც განიმუხტა. რას აკეთებდა ამ დროის განმავლობაში „სიონი"? მასპინძელთა საგრძნობი უპირატესობის მიუხედავად, სტუმრები მდგომარეობას არ ეგუებოდნენ, ბევრს მოძრაობდნენ, კონტრშეტევებსაც ახორციელებდნენ და დროგამოშვებით ბურთსაც მშვენივრად იჭერდნენ. ვინ იცის, ქვემოქართლელებს სხვა მეტოქესთან იქნებ ემარჯვათ კიდეც, მაგრამ „ვეტერინარები" იმ დღეს ერთ-ერთ საუკეთესო მატჩს ატარებდნენ.



გიორგი ქორიძემ პირველი გოლი თავად გაიტანა, მეორე თემურ დოლიძეს (მარცხნივ) გაატანინა და სამადლობელიც მიიღო

მურმან ლორთქიფანიძე მცხეთიდან

მასპინძლებს უპირატესობა არც მეორე ტაიმში დაუკარგავთ. გოლიც მატჩის განახლებიდან 7 წუთის შემდეგ გავიდა ბოლნისელთა კარში — გიორგი ქორიძე მარჯვენა ფრთიდან, ბურთიანად დიდი სისწრაფით შეიჭრა „სიონის" საჯარიმოში, მის გამოზომილად ჩაწოდებულზე კი დოლიძეს ბურთის თავით კარში გადაგზავნა არ გასჭირვებია ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა მასპინძლებს ხუთი წუთის შემდეგაც მიეცათ — კახა ალადაშვილმა, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე, ეფექტური პასი მისცა გოჩაშვილს, მანაც მცველთან ჭიდილში იმარჯვა და ერთი ერთზე დარჩა გუგუნავასთან, თუმცა წონასწორობადაკარგულ მეკარეს ბურთი ფეხებში გაარტყა. „ვიტ ჯორჯიას" ამის შემდეგაც არაერთხელ შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მაგრამ ფეხბურთელები დასკვნით ფაზაში ცდებოდნენ — ხან არაზუსტად ურტყავდნენ ბურთს, ხანაც გუგუნავა ყოჩაღობდა. სტუმრები კი მეორე ნახევარშიც თავგამოდებით იბრძოდნენ, მაგრამ...

უნიათო ქართულ ფეხბურთს შეჩვეულთ ვიტ ჯორჯიელთა თამაში პატარა იმედს გვიტოვებს. ნებისმიერი სახის პასის მიწოდების საოცრად მაღალი ხარისხი გახლავთ ფაქტორი, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა მასპინძელთა გამარჯვებისთვის და რომელიც ერთიორად ზრდის „ვიტ ჯორჯიას" მომავლის გუნდობის პერსპექტივას... თუმც „ვიტ ჯორჯიას" მომავლის გუნდად შერაცხვა იქნებ ნაჩქარევიც იყოს, რადგან საამისოდ ქართულ ფეხბურთს უნდა ჰქონდეს მომავალი. აქვს კი მომავალი ჩვენს ფეხბურთს?



რკინიგზელთა თავდამსხმელი ჰამლეტ წივწივაძე რკინიგზელთა ლიბერო ედიშერ ალადაშვილს გაურბის

| | |
|---|---|
| თბილისი<br>9 მაისი<br>18 საათი<br>მიხეილ მესხი<br>800 (ტევადობა 18 000) | |

**ლოკომოტივი 1:0 მერანი**

1:0 ღუდუშაური (43)
ლოკომოტივი: დოლაბერიძე, ბალაშვილი, ჩიხრაძე, ბარნოვი, დ. მუჯირი (კაციაშვილი 70), გოგობერიშვილი, კ. მელქაძე, შ. ხუჯაძე (დ. გოდერძიშვილი 46), დ. ბაქრაძე, გ. ღუდუშაური (ნ. მინდიაშვილი 86), წივწივაძე
*სათადარიგონი:* დ. ჯანელიძე; კოტორაშვილი, ნ. მელაძე, ზ. არჩვაძე
მერანი: ლომაია, ცქიფურიშვილი, ასპინძელაშვილი, ე. ალადაშვილი, ხარებავა, გელა ქორიძე, ჯიშკარიანი (ბაჯელიძე 88), ბ. ამბიძე, ბერაია (თოლორდავა 46), ჩუხუა, დავითაშვილი
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; ჭინჭარაული, დ. ჭელიძე, ივანიშვილი
მსაჯები: მ. მალაღურაძე; ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი; ო. ხეცაძე (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

# ბრინჯაო არის...

კობა ინასარიძე

„ლოკომოტივმა" თავისი ფუნქცია უკვე შეასრულა. აწი ჩემპიონატში მის მონაწილეობას ფორმალობაღა თუ ეთქმის. რკინიგზელებმა ბრინჯაო ხომ გაინაღდეს და ახლა ისიც ძნელი სარწმუნოა, ქუთაისელთა „ტორპედოს" მეორეობისთვის შეეცილონ. დარჩენილ სამ ტურში, არა გვგონია, მათ ექვსქულიანი სხვაობა გააბათილონ.

„ლოკომოტივმა" გუშინწინ ის სამი ქულა მიითვალა, რომელმაც ევროპის საკლუბო ტურნირისკენ გაუხსნა გზა. თავის მხრივ, მწვრთნელი თემურ მახარაძეც მეორე შეიქმნა კოლეგებს შორის, ვინც ორ სხვადასხვა გუნდს საერთაშორისო თამაშები დაუბევა. პირველად მახარაძე სწორედ იმ „მერანმა" ასახელა, რომელიც კვირას მისმა დღევანდელმა შეგირდებმა მინიმალური სხვაობით და გაჭირვებით დაამარცხეს.

„მერანს" ცოტა იღბალი რომ ჰქონოდა, უეჭველია, ჩემპიონატის პირველი სამეულის საკითხი მინიმუმ მომდევნო ტურამდე გაურკვეველი დარჩებოდა.

თავად განსაჯეთ, „მერანმა" ოთხი ისეთი მომენტი ვერ გამოიყენა, რომელთა გაცუდებაც უფრო ძნელი იყო, ვიდრე ბურთის მეკარისთვის, მცველებისთვის დამიზნება, ანაც კარს აცილება. ათვლა კი მატჩის დასაწყისშივე დაიწყო: დავითაშვილი დოლაბერიძესთან პირისპირ რომ გავიდა, უხარისხო მოედნის გადამკიდეს ბურთი ფეხებში აებლანდა და ისე, დაარტყასავით. მერე უკვე ბერაიას წამოწყებული შეტევა გააგრძელა ჩუხუამ, რომელმაც ერთი მოძრაობით სამ ლოკომოტიველს აუბნია თავგზა და ამბიძე მეკარეს შეატოვა, თუმცა არც ამით გამოსულა რამე — ამბიძემ დაახლოებით ოცი მეტრი მარტომ, მაგრამ ბურთიანად რომ ირბინა, ბოლოს დოლაბერიძეს ნამეტანი სუსტად დაურტყა და თავისიანები მხოლოდ კუთხურის ჩაწოდებას დააჯერა. 43-ზე კი ასეთი მომენტების გაცუდებისთვის მერანელები დაისაჯნენ: ისინი დაცვაში პოზიციურად შეცდნენ. მუჯირმაც ბურთი მარჯვნივ, მცველთა ზურგსუკან გადაუგდო ხუჯაძეს, ამანაც ცარიელი კარის წინ დაუგორა ღუდუშაურს და „ლოკომოტივმაც" ის ერთადერთი, „ბრინჯაოს გოლი" გაიტანა. თუმცა კი წუთის შემდეგ, ტაიმის ბოლოს „მერანმა" ისეთი შტურმი მოუწყო მასპინძლებს, ნამდვილად საცოდაობა გახლდათ, ზედიზედ ხუთი დარტყმული ბურთიდან „ლოკომოტივის" კარის ბადეს არც ერთი რომ არ შეეხო. ჯერ ჩუხუამ, მერე დავითაშვილმა ორჯერ, ქორიძემ მცველებს ვერ ააცილეს, ბოლოს კი კუთხურიდან ჩაწოდებული დოლაბერიძემ აუღო ბერაიას. ტაიმიც აქვე მორჩა.

მახარაძის ყოფილმა თანაშემწემ, ახლა „მერანის" მწვრთნელმა სერგო გაბელიამ შესვენებაზე დავითაშვილ-ჩუხუას მესამე თავდამსხმელი თოლორდავაც დაუმატა. ვაკის სტუმართა უპირატესობაც თვალშისაცემი გახლდათ, თუმცა რა, პირველისგან განსხვავებით, მათი თითქმის ყველა დარტყმული კარს ასცდა. დოლაბერიძე ერთი-ორჯერ თუ ვიხილეთ საქმეში, ისიც მაშინ, როცა წინ გამოდიოდა და თავდამსხმელებს თავიდან აცლიდა ჩაწოდებულ ბურთს.

ყველაზე საინტერესო მატჩის ბოლოს მოხდა. გოდერძიშვილი 89-ე წუთზე, ამბიძისა არ იყოს, ლომაიასთან პირისპირ დარჩა, გოლიც თითქოს უეჭველი რომ ჩანდა, თავდამსხმელმა ბურთს ჭვინტი გაჰკრა და კარს ააცილა. „მერანის" საპასუხო შეტევისას კი, როცა იგივე ამბიძე დოლაბერიძეს ცხვირწინ დაურჩა, ძლიერად დაარტყა, ბურთი ხარიხას გადააცილა და „მერანს" იმედებიც გადაუწურა. მატჩის გადარჩენა უკვე შეუძლებელი იყო.

ერთი სიტყვით, „ლოკომოტივმა" მორიგი თამაში მოიგო და მკერდის ბრინჯაოთი დამშვენების მოლოდინშია. რკინიგზელებს საკითხავი ისღა დარჩენიათ, ვერცხლს თუ წაეპოტინებიან და იმ უკვე განაღდებულ ბრინჯაოს როდის მიიღებენ. ან კი უწინდელივით, მიიღებენ კი?..

# დინამომაც თუ მოიგო

| | |
|---|---|
| გორი<br>9 მაისი<br>18 საათი<br>ცენტრალური<br>1 000 (ტევადობა 8 230) | |

**დილა 1:2 არსენალი**

0:1, 0:2 ზირაქიშვილი (45, 57), 1:2 მარეხაშვილი (67)
დილა: თ. ილურიძე, ფეზუაშვილი, ლომიძე, გაგნიძე, აკოფიანი (ხიხალაშვილი 81), ლ. გოჩაშვილი, მარეხაშვილი, ციცქიშვილი, მ. მინდიაშვილი (სულთანიშვილი 46), რ. ახალკაცი, შატაკიშვილი
*სათადარიგონი:* სოლოლაშვილი; გუდურაშვილი, არუთუნიანი
არსენალი: ჩლაიძე, ცოტაძე, ჩიქოვანი, ვ. გველესიანი, ყოლბაია, მ. მაისურაძე, ზირაქიშვილი, აბაზაძე, ამირიძე, ა. კაკაშვილი, ხოსროშვილი
*სათადარიგონი:* აბაშიძე; ყუფარაძე, გ. სულაძე, ვ. გაგუა, კოხრეიძე, თვალაბეიშვილი
გაფრთხილება: ჩლაიძე (67)
მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ნ. ბაირამოვი (კასპი)
სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი



არმიელთა თავდამსხმელ ზაზა ზირაქიშვილს გორელთა მეკარე თამაზ ილურიძისთვის მეორე გოლი გააქვს

გიორგი ვაშაკიძე გორიდან

როგორც ჩანს, „დილასთვის" მშობლიური სტადიონი დანავსულია. წლევანდელ სეზონში გორელებმა ვერც ერთი თბილისური გუნდი ვერ დაამარცხეს. ხუთიდან მხოლოდ ორმა — „მერანმა" და თსუ-მ წამოიღეს გორიდან თითო ქულა (შესაბამისად 3:3 და 0:0), ხოლო „ლოკომოტივმა", „ვიტ ჯორჯიამ" და აგერ „არსენალმა" სულაც გამარჯვებულებმა დატოვეს გორის სარბიელი. ახლა ერთადერთ „დინამოს" ელის მატჩი ქართლის შუაგულში. 19 მაისს, ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში, იგი სავარაუდოდ, იუბილარი ჩემპიონის რანგში ესტუმრება გორს და თუ მასპინძელთა დღევანდელ მდგომარეობას გავითვალისწინებთ, ადვილი შესაძლებელია, დინამოელებმა თბილისელებს რენომე შეუნარჩუნონ.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 54-ე წლისთავს გორი საზეიმო ალლუმით შეხვდა. თამაშის დაწყებამდე ათი წუთით ადრე მატჩის ინსპექტორი შოთა ხინჩაგაშვილი შეფიქრიანებული ჩანდა, პოლიცია არ ჩანსო. ჩემპიონატის მეორე წრიდან ფედერაციის ჩინოსნებმა მასპინძელ გუნდებს კატეგორიულად მოსთხოვეს, შეხვედრის ორგანიზებულად ჩატარებისთვის სტადიონზე პოლიციის, სახანძროს და სამედიცინოს წარმომადგენლები აუცილებლად უნდა იყვნენო.

თუმცა ხინჩაგაშვილი მალე დამშვიდდა. სტადიონის შემოსასვლელთან წესრიგის დამცველები გამოჩნდნენ, ალლუმი იყო და დაგვაყოვნეს, აგერ ახლაღა გაგვათავისუფლესო — თქვა ერთ-ერთმა პოლიციელმა.

თავად მატჩს კი ორივე გუნდი გულდამშვიდებული შეხვდა. როგორც „დილას", ისე „არსენალს" წლეულს თავი ქუდში აქვთ. გავარდნა არც ერთს ელის. ალბათ სასურველიც კი იქნებოდა, რომ მათ ლაღი ბურთაობა გაეჩაღათ, მაგრამ თავი დიდად არც შეიწუხეს.

თუ ტაიმების მიხედვით ვიმსჯელებთ, ვიტყვი, რომ პირველი ნახევარი „არსენალის" იყო. მართალია, ზირაქიშვილის გოლი ტაიმის უკანასკნელ წუთზე გავიდა, მაგრამ შედეგი ლოგიკური გამოვიდა. მეორე ნახევარში არმიელები დაცვაში ჩასხდნენ და კონტრშეტევებზე თამაშს ამჯობინებდნენ. თუ ამ მატჩიდან ვინმეს გამოყოფა ეგების, ესენი უდავოდ სტუმრები — თავდამსხმელი ზაზა ზირაქიშვილი და მეკარე თემურ ჩლაიძე არიან. ზაზამ თავისი საქმე პირნათლად მოიხადა, ორი გოლი ხომ გაიტანა, მაგრამ ბევრიც გააცუდა. ჩლაიძემ კი „დილას" გოლის შემდეგ მოიწადინა და მასპინძლებს ცოცხალი თავით ბურთი არ გაატანინა.

ზემოთ ვთქვი, გუნდებმა თავი არ მოიკლეს-მეთქი, მაგრამ ისე რა მომენტები მაინც შექმნეს.

სხვა რა, არსენალელებმა გამარჯვების დღეს გაიმარჯვეს, „დილამ" კი წაგებით ერთგულ ქომაგს ისევ გული დასწყვიტა და ზეიმი სევდიან ნოტაზე დაასრულა.

# კოლხეთი — [illegible] წინ, ოდიშო?

| | |
|---|---|
| ხობი<br>9 მაისი<br>18 საათი<br>ცენტრალური<br>150 (ტევადობა 15 000) | |

**ოდიში 0:2 კოლხეთი**

0:1 ე. გვასალია (5), 0:2 გიორგაძე (10)
ე. გვასალიამ ვერ გაიტანა პენალტი (68, მეკარე)
ოდიში: გოგია, რ. გაბისონია, შონია, აკობია, კაკულია, შელია, ცაცუა, კუტალია, იოსავა, გოგოხია (ტაბალუა), გვიჩია
*სათადარიგო:* მარკოზია
კოლხეთი: მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, გ. გიორგაძე, ანჯაფარიძე, ლალანიძე (ამაშუკელი 74), ტრაპაიძე, ბულუხია, ე. გვასალია (შავგულიძე 74), კალანდაძე, მ. ქობულაძე (შალამბერიძე 46)
*სათადარიგონი:* ჩემია; ბურკვაძე, ჩადუნელი, პაპავა
გაფრთხილება: ცაცუა (77), ამაშუკელი (77)
მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); ა. ორდინიძე (ონი), ა. ქარქაშაძე (თბილისი); გ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

თენგიზ ძოჩუა ხობიდან

ზუგდიდში „ოდიში" — „სიონის" მატჩისას მასპინძლებს მსაჯები რომ შემოელახათ, იმის მერე დიდი დრო არ იყო გასული, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციამ უკვე იმსჯელა ამ საკითხზე და მისმა განაჩენმა ზუგდიდელები და ფოთელები ხობში დაუპირისპირა ერთმანეთს. ფედერაციამ მარტო ეს არ იკმარა და მამუკა ნაყოფიასა და ზაზა აფაქიძის დისკვალიფიკაციას ხუთიოდე დღის წინ გამართულ თსუ — „ოდიშის" შეხვედრის შემდეგ კობა კვეკვესკირიც მიამატა. ყოველივე ამის გამო ზუგდიდელთა მოგების ისედაც მცირე შანსი კიდევ უფრო შემცირდა.

ფოთელები კი ხობში საბრძოლო განწყობით იყვნენ ჩამოსულნი.

თვით მატჩზე კი ბევრი არაფერი ითქმის. ცალ კარში თამაში ხომ გინახავთ? ზუსტად ასეთი იყო. არა, ზუგდიდელები მარცხს წინასწარ სულაც არ იყვნენ შეგუებულნი, იბრძოდნენ, ცდილობდნენ, ხეირიანად შეეტიათ და პირველ ჯგუფში დარჩენის თეორიული შანსი პრაქტიკულად ექციათ, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო.

ანგარიში მეხუთე წუთზე გაიხსნა. კოლხმა ელდარ გვასალიამ საჯარიმოს სიახლოვეს მასპინძელთა გადაცემა ჩაჭრა, გზად მცველი მოატყუა, საჯარიმოში შეიჭრა, მეკარე შოთა გოგია მოძრაობაზე დაიჭირა და მარცხენა დაბალ კუთხეში გაუტანა.

აი, მეათე წუთზე გასული მეორე გოლი კი მართლაც ლამაზი გამოდგა. მამუკა ბულუხიამ მარჯვენა ფლანგზე საჯარიმოს ახლოს მიიღო ბურთი, საჯარიმოში შესვლისთანავე პენალტის ნიშნულთან მყოფ გვასალიას გადააწოდა, აქ კი თვით ელდარსაც შეეძლო, კარში დაერტყა, მაგრამ ქუსლით გიორგაძეს დაუგორა და მშვენიერი „სამკუთხედი" ფოთელთა მეოთხე ნომერმა ძლიერი დარტყმით დაასრულა. გოგია კვლავ უძლური იყო.

ამის მერე ზუგდიდელები ოდნავ გააქტიურდნენ და სამიოდ წუთში ამ მატჩში თავიანთი ყველაზე სახიფათო მომენტიც შექმნეს. კუტალიამ გამოზომილი გადაცემით გოგოხია მეკარესთან პირისპირ გაიყვანა. მან წინ გამოსულ მამუკა გვასალიას თავზე გადაუგდო ბურთი, მაგრამ იგი კარს ზემოდან დაეცა.

ფოთელთა უპირატესობა აშკარა იყო. მათ კიდევ ერთი გოლი გაიტანეს. ლალანიძის მიერ ჯარიმიდან ძლიერად დარტყმული ბურთი გოგიამ ხელში ვერ შეიმაგრა და იქვე მყოფმა ბულუხიამ კარში შეაგდო, მაგრამ არბიტრმა თამაშგარე დააფიქსირა.

მეორე ტაიმში ფოთელთაგან აღნიშვნის ღირსი გოჩა ტრაპაიძე იყო. მან იმდენი ირბინა და იბრძოლა, მთელ გუნდს ეყოფოდა. ეტყობოდა, გულით სურდა, ერთი გოლი მაინც გაეტანა, მაგრამ არ გამოუვიდა.

ერთადერთი საინტერესო, რაც მეორე ნახევარში მოხდა, ზუგდიდელთა კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი იყო. საჯარიმოში სახიფათოდ შეჭრილი ლალანიძე კობა შონიამ აკრძალული ხერხით შეაჩერა და არბიტრის გადაწყვეტილებამაც არ დააყოვნა.

გვასალია — გოგიას დუელი ამ უკანასკნელის სასარგებლოდ დასრულდა.

ბათუმი. „დინამო“. 11 მაისი. 17 საათი

## საქართველო — ჩეხეთი

პირველი მატჩი 2:2

მსაჯები: კ. ალექსიევი; კ. ნიკოლოვი, კ. მერეზოვი (სამივე ბულგარეთი); ს. კახიანი (საქართველო)
უეფა-ს დელეგატი: მ. სპახო (ბოსნია)

UEFA UNDER-18 Championship

# შორი და ახლო შვედეთი

იუზა კაციტაძე ბათუმიდან

ჩვენი ნაკრები ჩეხებთან საპასუხო მატჩისთვის მზადებას 5 მაისიდან შეუდგა ბათუმში და, ჩანს, ნაყოფიერადაც იშრომა. მართალია, ნაკრების მთავარი მწვრთნელი გუშინ ვრცელ ინტერვიუზე ვერ დავითანხმეთ, მაგრამ საგაზეთოდ ორიოდ სიტყვა მაინც დავტყუეთ.

**— კმაყოფილი ხართ ბათუმში შეკრებით?**

— ყველაფერი ნორმალურადაა. ბათუმმა გულთბილად გვიმასპინძლა. ქალაქის ხელმძღვანელობამ დიდი ყურადღება გამოიჩინა გუნდის მიმართ. შეიძლება ითქვას, საუკეთესო პირობები შეგვიქმნა.

**— ბიჭებზე რას იტყვით, მზად არიან საბრძოლველად?**

— ამას თამაში გვიჩვენებს.

**— შვედეთში მოხვედრის ამ შანსის გამოუყენებლობა როგორ იქნება?!**

— მაგაში გეთანხმებით, ყველაფერი უნდა გავიღოთ ამ მიზნის მისაღწევად.

**— პირველი მატჩისგან განსხვავებით ნაკრების შემადგენლობაში რა ცვლილებებია?**

— ბათუმში შეკრება 19-მა ფეხბურთელმა გაიარა. წინა შემადგენლობიდან ლადო ბურდულს და ლევან გვაზავას შეველიეთ. ისინი ჩემს მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდნენ. ორი ახალი მოთამაშე გვყავს — შალვა აფხაზავა („ბათუმი“) და გრიგოლ იმედაძე („ტორპედო“). ორივესი დიდი იმედი მაქვს.

**— საკონტროლო თამაშის გამართვა მოგისწრიათ?..**

— ქობულეთის „შუქურას“ და ბათუმის „კოლეჯის“ შერეულ შემადგენლობას ვეთამაშეთ.

**— შედეგი?**

— ანგარიშს რა მნიშვნელობა აქვს, მგონი, 5:2 მოვიგეთ.

**— კიდევ რას გვეტყვით?**

— ხომ გითხარით, ჯერ მატჩი დამთავრდეს...

ნაკრების თავკაცი მეტად აღარ შეგვიწუხებია. „კოპალამ“ თავისი საქმე იცის და ღმერთმა ხელი მოუმართოს, ნაშუადღევს ჩვენები ბოლოჯერ გავიდნენ „დინამოზე“ სავარჯიშოდ. ერთ საათში სტადიონს ჩეხებმაც მოაკითხეს.

ჩეხ 18-წლამდელთა ნაკრები გუშინ, დღის ორის ნახევრისთვის ჩამოფრინდა ბათუმს „ბოინგით“. სტუმრებმა „ინტურისტში“ დაბინავებისთანავე სტადიონს მიაშურეს. ჩეხთა გუნდის თავკაცმა, წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა, მილოშ კვაჩეკმა ვარჯიშის შემდეგ ეს გვითხრა:

— ოპავაში ძალიან მძიმე თამაში გვქონდა. სიმართლე გითხრათ, ქართველებისგან დიდ წინააღმდეგობას არ მოველოდით და ამიტომაც დავისაჯეთ. კიდევ კარგი, წაგებას გადავრჩით. ბათუმში რთული ამოცანის წინაშე ვართ, მაგრამ იმედი არ გადაგვიწურავს. ვფიქრობ, გუნდებს თანაბრად გაუჭირდებათ. ევროპის ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე გასვლის შანსებსაც თანაბრად ვაფასებ. ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს, მოსაგებად გავალთ მინდორზე. რა გამოგვივა, ამას ერთად ვნახავთ. ჩვენი გუნდის შემდგენლობა უცვლელია. ბიჭებმა, თავს დავდებთო. მე კი მათი მჯერა.

კვაჩეკმა თავისი გუნდის ფეხბურთელებიც ჩამოგვითვალა: ჩუდოვსკი („ბანიკი“), მიულერი („სპარტა“), გრიგერა („ბრნო“), სვიტაკი („ბანიკი“), კოუნოვსკი („სლავია“), პოლაკი („ბრნო“), კობილიკი („სიგმა“), როსიცკი („სპარტა“), ბაროში („ბანიკი“), პოლაჩეკი („სლავია“), შპილაჩეკი („ოპავა“), ჰაეკი („სპარტა“), მატუშეკი, სილბორდი (ორივე — „ბუდეოვიცე“), ტიხაჩეკი („პლზენი“), დრობნი („ბლშანი“), დორგი, შადეკი („სპარტა“).

საქართველო — ჩეხეთის ბულგარელ მსაჯთა ტრიოს ბათუმში თამაშის დღეს მოელიან. შეხვედრას კარმენ ალექსიევი განსჯის, დამხმარეებად კი ორი კრასიმირი — ნიკოლოვი და მერეზოვი ეყოლება. სათადარიგო ფიფას ქართველი არბიტრი სოსო კახიანია.

უეფამ ამ მატჩზე დელეგატად ბოსნიელი მეჰმედ სპახო მოავლინა. სპახომ გუშინვე შეამოწმა ბათუმის „დინამოს“ სტადიონის მზადყოფნა და დამაკმაყოფილებლადაც შეაფასა.

სხვათა შორის, ბოსნიელი, 12 მაისს 12 საათისთვის ქუთაისში „გივი კილაძის“ სტადიონსაც ჩაუტარებს ინსპექციას.



ნაკრებს სადღეისოდ „ბათუმის“ თავდამსხმელი შალვა აფხაზავაც შეუერთდა

# ილოცეთ ტორპედოსთვის!

ესეც ასე! საქართველოს თასის ფინალს აქამდე თუ სხვა ელფერი დაჰკრავდა, წლეულს ასე ნამდვილად არ იქნება. 26 მაისს, როგორც ცნობილია, აქამდე თასის მარადიული ფინალისტები „დინამო“ და „ბათუმი“ ქვეყნის მთავარ სარბიელზე ნამდვილად ვერ იბურთავებენ, ამ დღეს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ეროვნულ სტადიონზე თასის იმერული ფინალი „ტორპედო“ — „სამგურალი“ გაიმართება. რატომ ექნება ამ ფინალს განსაკუთრებული ხიბლი?

იმად, რომ ამ მატჩს სხვათა ბედის გადაწყვეტაც ხვდა წილად. ალბათ, გახსოვთ შაბათის „სარბიელში“ მოყვანილი ჩვენი ვარაუდები იმის შესახებ, თუ ვის უნდა ერგოს სანუკვარი ევროსაგზურები. ამაში თავად ფეხბურთის ფედერაციაც ვერ გაერკვა ბოლომდე და დასახმარებლად უეფას მიმართა. ჰოდა, იქიდან 7 მაისს გენერალური მდივნის ვალერი ჩოლარიას სახელზე საპასუხო ფაქსი მოვიდა:

„უეფას 1999-2000 წლის სეზონისთვის მოქმედი წესები დარჩება ძალაში. ესე იგი, თუ თასის მფლობელს ჩემპიონატში სათანადო ადგილის დაკავების შედეგად უეფას თასის გათამაშებაში მონაწილეობა გარანტირებული აქვს, იგი უეფას თასზე ითამაშებს, როგორც თასის მფლობელი და შესაბამისად გაათავისუფლებს ადგილს გუნდისთვის, რომელიც ჩემპიონატში მომდევნო ადგილზე გავიდა (საქართველოს შემთხვევაში მესამე ადგილზე გასული გუნდი). თასის დამარცხებული ფინალისტი უეფას თასის გათამაშებაში მონაწილეობას არ მიიღებს“.

აქედან რა გამოდის. თუკი თასი „ტორპედომ“ აიღო, ამ შემთხვევაში უეფას მეორე საგზურს ალბათ ბრინჯაოს მფლობელი „ლოკომოტივი“ მოიპოვებს, ინტერტოტოზე კი მეოთხე ადგილზე გასული გავა. თუ სანუკვარი ჯილდო „სამგურალმა“ მოიპოვა, მაშინ წყალტუბოელები როგორც თასის მფლობელები, „ტორპედო“ კი — როგორც მეორეადგილოსანი, უეფას თასზე გავლენ. ამ შემთხვევაში, „ლოკომოტივს“ ინტერტოტოს დაჯერება მოუწევს, დანარჩენებმა კი ჭირი მოგჭამათ.

ასე რომ, თასის ფინალში „ტორპედოს“ გულშემატკივრობა „ლოკომოტივმა“, „კოლხეთმა“ და სავარაუდოდ „ბათუმმა“ უნდა გასწიონ, თუკი თავიანთი მიზნების ასრულება განუზრახავთ. ერთი სიტყვით, რკინიგზელებმა და ზღვისპირელებმა „ტორპედოსთვის“ უნდა ილოცონ.

გიორგი ვაშაძიძე

# მიხეილ მესხი — სტადიონი ვაკეში!

მიხეილ მესხი — სახელი, რომელიც...

მიხეილ მესხი — ფეხბურთელი, რომელიც...

მიხეილ მესხი — კაცი, რომელიც...

მიხეილ მესხი — ...

მგონი, ყველაფერი ცხადია.

სად, რომელ ქვეყანაში, რომელ სტადიონზე ყოფილა შემთხვევა, რომ მატჩის შესვენებისას ფეხბურთელის უკეთ დასანახად ქომაგთ ტრიბუნა შეეცვალოთ?

და არაერთ ქვეყანაში, არაერთ გადაჭედილ სტადიონს დაუგუგუნებია „მესხი, მესხი, მესხი!“

ჰოდა, ასე — ამიერიდან როცა თბილისში, ვაკე-ბაგების საზღვარზე მდებარე, უწინ კოხტა, მაგრამ ახლა წამხდარ სტადიონზე სტუმრობას დააპირებთ, შეგიძლიათ თქვათ — „მიხეილ მესხზე“ მივდივარო.

ამიერიდან ყოფილ „ლოკომოტივს“, შემდეგ „ვაკეს“ თუ „26 მაისს“ დიდი ქართველი ფეხბურთელის სახელი ეწოდება.

და კითხვა — აქამდე სად იყავით? თუმცაღა მაინც — გმადლობთ!

კობა ინასარიძე

# ნეტავ ბენზინი სად ნახეს?

ნორვეგიის ეროვნული ნაკრები თბილისიდან რომ შინ გაემგზავრა, ნახევარი ბარგი-ბარხანა აქვე დატოვა და ფიქრით ისევ საქართველოში დარჩა.

თურმე ნუ იტყვით, თბილისის აეროპორტის თანამშრომლებს მათსავე უსაფრთხოებაზე ეზრუნათ და თვითმფრინავში ჩასხდომის დროს სტუმრებს იმდენი ჩანთა დაატოვებინეს, ერთი მიკროავტობუსი გაივსო. ისე არ იფიქროთ, თითქოს ნორვეგიელებს საქართველოდან კონტრაბანდა გაჰქონდათ. მათი სამშობლოში ხელცარიელად დაბრუნების მიზეზი დღეს საქართველოში ერთობ პოპულარული ნავთობპროდუქტი ყოფილა — სტუმართა ბარგი თურმე ბენზინის სუნად ყარდა.

ხუთშაბათს „შერატონთან“ კი სწორედ ის მანქანა იდგა, რომელიც ლურჯ-წითელი ჩანთებით გამოეტენათ.

ნორვეგიელებს თბილისში ნაკრების ადმინისტრატორი გამოუგზავნიათ, დაუბარებიათ, „შერატონს“ მიაკითხე და იქ დატოვებულ სუნგასულ ბარგს, ქართული სპორტული გაზეთებიც გამოაყოლეო.

კობა ინასარიძე



შინ გაბრუნებული იონ კარეუ მისიანებივით დიდხანს ელოდა ამ ჩანთებს

# უცნაური და საკვირველი

თავიდანვე კი იყო დაგეგმილი, მაგრამ შემდეგ შეცვალეს პირვანდელი გადაწყვეტილება, ოღონდ ცოტა არ იყოს, უცნაურად.

ხვალ, 12 მაისს, თბილისში, ეროვნულ სტადიონზე, ამხანაგური საქველმოქმედო მატჩი ჩატარდება. ერთმანეთის პირისპირ საქართველოს კლუბების და ახალგაზრდული ნაკრებები უნდა წარსდგნენ.

ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებთა ახლადდანიშნულმა მწვრთნელებმა — იოჰან ბოსკამპმა და მურთაზ ხურცილავამ ის 28 ფეხბურთელი გამოიძახეს, რომელთაც ხვალ მოუწევთ თამაში. ეგაა, მათ მიერ დასახელებული 28 კანდიდატიდან ვინ დაიცავს კლუბების ნაკრების ღირსებას და ვინ ახალგაზრდული გუნდის სახელით გამოვა, ცნობილი არ არის. სიაში ერთადერთი ლეგიონერია, ბელგიური „რასინგ მეხელენის“ ნახევარმცველი გიორგი ანჩაბაძე. გამოძახებულთა სრული სია კი ასეთია:

მეკარეები: გრიგოლ ჭანტურია (ტორპედო), მამუკა ქორიძე (გორდა), გიორგი ლომაია (მერანი);

მცველები: ბადრი ახვლედიანი (ტორპედო), ვასილ მაისურაძე, გიორგი ჭანკოტაძე (ორივე ვიტ ჯორჯია), დავით ჭიჭვეიშვილი, თენგიზ სიჭინავა (ორივე ბათუმი), თენგიზ კობიაშვილი, გიორგი შაშიაშვილი (ორივე თსუ), ბიძინა ნიკოლეიშვილი (იბერია), არჩილ შაკიაშვილი (სიონი), კახა სიდამონიძე (გორდა);

ნახევარმცველები: მამუკა აფციაური (სამგურალი), კახა ჩხეტიანი (ტორპედო), ვასილ გიგიაძე (იბერია), გიორგი ანჩაბაძე (რასინგ მეხელენი), დავით მუჯირი (ლოკომოტივი), შალვა ისიანი (სიონი), გოჩა ტრაპაიძე (კოლხეთი)

თავდამსხმელები: ვლადიმერ გოჩაშვილი (ვიტ ჯორჯია), დავით ჯანაშია, გიორგი მეგრელაძე, გიორგი იმედაძე (სამივე ტორპედო), გიორგი შენგელია, რევაზ გლუნჩაძე (ორივე სამგურალი), ზაზა ზირაქიშვილი (არსენალი), ლევან ხომერიკი (ბათუმი).

როგორც შემადგენლობიდან ჩანს, მასში საერთოდ არ ფიგურირებენ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები, არადა, ბოსკამპმა და ხურცილავამ თქვეს, ნაკრების საბაზო გუნდი მაინც „დინამო“ იქნებაო.

უცნაურიც ესაა, მაგრამ, როგორც გვითხრეს, „დინამო“ და კლუბების ნაკრები შეხვდებიან ერთმანეთს. გარდა ამისა, 12 მაისს კიდევ ერთი თამაში ყოფილა დაგეგმილი. შეხვედრები 16 და 18 საათებზე დაიწყება და ორივეგან „დინამო“ ითამაშებსო, გვითხრეს გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში. მოდი და გაიგე, შეუძლიათ კი მარად ჩემპიონებს შესვენების გარეშე ერთ დღეს ზედიზედ ორი თამაშის ჩატარება. ან ეს რა საჭირო იყო?

ერთი კია, ამ მატჩების მთლიანი შემოსავალი (ბილეთის ფასი ლარია) აფხაზეთის ფონდში ჩაირიცხება.

გიორგი ვაშაძიძე

# სასწაულად უცნაური

„ვილა პარკზე“ მიმდინარე მატჩის შემხედვარე ფეხბურთში საერთოდ ჩაუხედავი ადამიანიც კი მიხვდებოდა, რომ ბირმინგემში რაღაც განსაკუთრებული ხდებოდა. ალბათ, ასეთი შეხვედრების დამსახურებაა, რომ ინგლისურ ფეხბურთს ამდენი ქომაგი ჰყავს. ძნელი წარმოსადგენია, ამგვარი ამბები გერმანიის ან იტალიის ჩემპიონატში საერთოდ მოხდეს, ინგლისში კი თითქმის ყოველ სეზონში.

მაშ ასე, „ასტონ ვილა“ — „ჩარლტონი“. ერთი შეხედვით განსაკუთრებული არაფერი: გუნდი, რომელიც თითქმის მთელი პირველი წრე ლიდერობდა პრემიერლიგას, მაგრამ შემდეგ დაძაბულობას ვერ გაუძლო და თანდათან დაქვეითდა, ტურნირის დებიუტანტს მასპინძლობდა, რომელიც იმისთვის იბრძვის, რომ მომავალ სეზონშიც ძლიერებს შორის იყოს. მაგრამ ფეხბურთი, მით უმეტეს ბრიტანული, ერთი შეხედვით არ იზომება.

დასაწყისშივე ცხადი გახდა, რომ მატჩი არაორდინალური იქნებოდა. მასპინძელმა გრეტ ბერიმ მესამე წუთზე საკუთარ კარში გაიტანა, მეშვიდეზე კი მიზანი გაისწორა და ბურთი მეტოქის კარში შეაგდო. პირველი ტაიმი ბერის გოლების ამარა დარჩა.

აი, მეორე ნახევარი ემოციურად გადატვირთული გამოდგა. ჯერ კლაივ მენდონკამ დააწინაურა სტუმრები, 11 წუთში ჯულიან ჯოაკიმმა გაათანაბრა, სულ რამდენიმე ათეულ წამში ჯონ რობინსონმა კვლავ ლონდონელ გულშემატკივრებს გაუხარა გული, მაგრამ იმავე ჯოაკიმმა კიდევ ერთი შეაგდო და ტაბლო ორმა სამიანმა დაამშვენა. დაძაბულობამ პიკს გადააბიჯა, მე-80 წუთზე კი ძალიან საინტერესო რამ მოხდა — ლიდსელმა მსაჯმა მაიკ რილიმ „ჩარლტონს“ მეკარე გაუძევა და ეს მაშინ, როცა სტუმრებს სათადარიგო გოლკიპერი საერთოდ არ ჰყავდათ. პეტერსონმა საჯარიმოს გარეთ დასცა ხელსაყრელ პოზიციაში მყოფი ჯოაკიმი. მისი ადგილი კარში სტივ ბრაუნმა დაიკავა და ისეთი რთული ბურთები აილო, იქნებ „ჩარლტონის“ თავკაცმა ალან კერბიშლიმ ამიერიდან მისი ამპლუის შეცვლაზე იფიქროს.

მერე „ასტონ ვილაც“ ათი კაცით დარჩა — რილიმ პეტერსონის გზას ბირმინგემელი მცველი უოტსონი გაუყენა უხეშობისთვის. და ამ დროს მაიკლ ოუქსის კართან ჯარიმა დაინიშნა. გაირინდა ბირმინგემი, გაყუჩდა ლონდონელთა მხარდამჭერი ჯგუფი და ყველა ერთად დენი მილსს მიაცქერდა, პირველი ზიზღით, უკანასკნელი კი იმედით, რომელიც მართლაც რომ ბოლოს კვდება...

„ჩარლტონი“ პრემიერლიგიდან ბოლოსწინა ტურში გავარდნას გადაურჩა, მილსის დარტყმული ბურთი „ასტონ ვილას“ კარის ბადეში გაფართხალდა და იმიტომ. სტუმარ ფეხბურთელებს და ქომაგებს თვალზე ცრემლი არ შორდებოდათ, დამსახურებული, ვაჟკაცობით მოპოვებული სიხარულის ცრემლი. ისე, ნაღდად ალალი იყო, საოცარი მატჩი „ჩარლტონმა“ სასწაულადვე მოიგო და გავარდნა-არგავარდნის საკითხი მომავალს გადაულოცა.

— საოცრად ემოციური მატჩი იყო და ძალიან მიხარია, რომ ეს ემოციები ჩვენთვის დადებითი გამოდგა. ვფიქრობ, ხალხი, ვინც შეხვედრა იხილა, უკმაყოფილო არ დარჩებოდა, ფეხბურთი ხომ ასეთი თამაშებით მდიდრდება. დღეს ბიჭებმა ნამდვილი სასწაული მოახდინეს, დიდი მადლობა მათ ამისთვის — გრძნობებს ვერ მალავდა შაბათის გმირთა მწვრთნელი ალან კერბიშლი.

სასწაული არა, მაგრამ მნიშვნელოვანი რამ მოხდა მიდლსბროში, სადაც ინგლისური ფეხბურთის მშვენება „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩაბრძანდა. ამ მატჩში პირველიდან ბოლო წამამდე იგრძნობოდა სტუმრის ყოველგვარი უპირატესობა — კლასში, სისწრაფეში, აზროვნებაში. შედეგიც შესაბამისი იყო, „მანჩესტერი“ შინ სამი ქულით და კვლავ ლიდერად დაბრუნდა.

კვირას შვარცერის კარში ბურთი ორჯერ შევარდა. პირველად ვეტერანმა ტედი შერინგემმა გაიტანა წესების სრული დაცვით, მეორედ, პირველი ტაიმის ბოლო წამებზე, დუაიტ იორკმა შეაგდო თამაშგარედან. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, მსაჯმა შერინგემის გოლი არ ჩათვალა, იორკის გატანილის შემდეგ კი ხელი ცენტრისკენ გაიშვირა და ტაბლოზეც 0:1 დაიწერა, ანგარიში, რომელიც აღარ შეცვლილა.

ამგვარად, როგორც უკვე ვთქვით, ალექს ფერგიუსონის გუნდი პირველ ადგილს დაუბრუნდა, თუმცა დღეს „მანჩესტერმა“ შეიძლება კვლავ მეორეზე ჩაინაცვლოს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ლიდსში ჩასული ჩემპიონი, [illegible] „არსენალი“ გაიმარჯვებს ან ქულას მაინც აიღებს.

[illegible] ლივერპულთან, [illegible], „ევერტონის“ თავგადაკლული ქომაგიც კი რომ ვერ ინატრებდა. მასპინძლებმა დედაქალაქურ „ვესტ ჰემს“ არც მეტი, არც ნაკლები, 6 უპასუხო გოლი გაუტანეს და საქვეყნოდ მოსჭრეს თავი. კევინ კემპბელმა ჰეთ-თრიქი შეასრულა და ჯამში ბოლო 5 შეხვედრაში 9 გოლი დააგროვა.

უცნაურობებმა არც ქალაქ ბლექბერნს აუარეს გვერდი, სადაც შაბათს აწ უკვე პირველი დივიზიონის ბინადარი, ყოვლად უსახური „ნოტინგემ ფორესტი“ ჩავიდა და მასპინძლები უბედურებაში ჩაითრია. დიახ, „ბლექბერნმა“ წააგო. 1995 წლის ინგლისის ჩემპიონი 99 პროცენტით უკვე ქვედა ლიგაშია და ახლა მას მხოლოდ სასწაულიღა თუ უშველის.

ალბათ, დააკვირდით, რამდენჯერ გამოვიყენეთ სიტყვები — სასწაული და უცნაური. რას იზამ, ფაქტი ჯიუტია — პრემიერლიგის გათამაშების ბოლოსწინა, 37-ე ტური სწორედ რომ სასწაულად უცნაური გახლდათ.

**დავით ძოვზირიძე**

## ინგლისი

### XXXVII ტური

**ბლექბერნი 1:2 ნოტინგემი**

0:1 ფრიდმენი (12), 1:1 გალაჰერი (25), 1:2 ბარტ-უილიამსი (56)

ბლექბერნი: ფილანი, კროფტი (ჯონსონი 61), ენჩოსი, პიკოკი, დევიდსონი, გილესპი, კერსლი, უილკოქსი, დაფი (დანი 68), გალაჰერი, იანსენი (დეივისი 59)

ნოტინგემი: კროსლი, ლუი-ჟანი, გაფი, ჩეტლი, ბონალაირი, პორფირიო (ალუ 70), პალმერი, ბარტ-უილიამსი, როჯერსი, ჰერვუდი (ედვარდსი 90), ფრიდმენი

გაფრთხილება: უილკოქსი, ლუი-ჟანი, პორფირიო

გაძევება: ჩეტლი (45)

მსაჯი: პოლი

**დერბი 0:0 ქოვენთრი**

დერბი: პოომი, კარბონარი, პრაიორი, ლაურსენი, დელაპი (ჰარპერი 78), ერანიო, პაუელი, შნური, ბეკი (ბაიანო 58, მიურეი 76), სტარიჯი, ვანჩოპე

ქოვენთრი: ჰედმანი, ედვორსი, შოუ, ბრინი, ჰოლი, ტელფერი, სოლტვედტი, მაკალისტერი, ბოტენგი, ჰაკერბი (ალოიზი 87), ვილანი

გაფრთხილება: პაუელი, ედვორსი

მსაჯი: ელკოკი

**მიდლსბრო 0:1 მანჩესტერი**

0:1 იორკი (45)

მიდლსბრო: შვარცერი, სტოკდეილი (ბეიკერი 45), ვიკერსი, გევინი (კემპბელი 72), პალისტერი, გორდონი, მასტო, სამერბელი, თაუნსენდი, რიკარდი, დინი

მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, მეი, სტამი, ირვინი, ბექემი, კინი (ბათი 25), სქოულზი (ფ. ნევილი 90), ბლომკვისტი (კოული 67), იორკი, შერინგემი

გაფრთხილება: თაუნსენდი, მასტო, კემპბელი, სქოულზი, შერინგემი, გ. ნევილი

მსაჯი: ბარბერი

**ლესტერი 2:0 ნიუკასლი**

1:0 იზეტი (20), 2:0 კოტი (41)

ლესტერი: არპექსედი, სევიჯი, სინკლერი, კამარკი, ელიოტი, იზეტი, ლენონი, მილერი (ზაგორაკისი 30), გაპი, კოტი, ოუქსი

ნიუკასლი: ჰარპერი, ლი, სპიდი, დომი, ბარტონი, ფერგიუსონი (ძეცბაია 45), ბიეროლი, დაბიზასი, სოლანო (გლასი 45), ჰამანი, შირერი

გაფრთხილება: დაბიზასი

მსაჯი: რენი

**ასტონ ვილა 3:4 ჩარლტონი**

0:1 ბერი (3ს.კ.), 1:1 ბერი (7), 1:2 მენდონკა (56), 2:2 ჯოაკიმი (67), 2:3 რობინსონი (68), 3:3 ჯოაკიმი (79), 3:4 მილსი (89)

ასტონ ვილა: ოუქსი, უოტსონი, კალდერვუდი (ვესელი 61), საუთგეიტი, რაიტი, სტოუნი, დრეპერი (ეჰიოგუ 61), ტეილორი, ბერი, მერსონი, ჯოაკიმი

ჩარლტონი: პეტერსონი, მილსი, რუფუსი, ტილერი, პაუელი, სტიუარტი, რედფირნი (ბარნსი 83), კინსელა, რობინსონი (ბრაუნი 81), ჯონსი, მენდონკა (პრინგლი 83)

გაფრთხილება: ტეილორი, რედფირნი, ჯონსი

გაძევება: პეტერსონი (80), უოტსონი (89)

მსაჯი: რილი

**შეფილდი 1:0 ლივერპული**

1:0 კრესველი (87)

შეფილდი: სრნიჩეკი, აზერტონი, იონკი, უოქერი, კარბონე, ბუსი (კრესველი 79), სტეფანოვიჩი, ტომი, რუდი (მაკკივერი 82), სონერი, ჰასლამი (ალექსანდერსონი 57)

ლივერპული: ფრიდელი, სტონტონი, მაკმანამანი, ლეონარდსენი, რედნაპი (ჰერი 82), რიდლე, ბერგერი (ტომპსონი 65), ინსი, მატეო, კარაგერი, ჟერარდი (სონგი 46)

გაფრთხილება: ჟერარდი

მსაჯი: ჯონსი

**უიმბლდონი 0:2 საუთჰემპტონი**

0:1 ბიტი (72), 0:2 კეჩლოული (84)

უიმბლდონი: სალივანი, კანინჰემი, კიმბლი, პერი, ბლექველი, ერლი, რობერტსი, ლიბერნი, კენედი, კორტი, ჰარტსონი

საუთჰემპტონი: ჯონსი, დოდი, მერსდენი (ბერესფორდი 76), ლუნდეკვამი, მონკუ, მ. ჰიუზი, ბენალი, ბიტი, დ. ჰიუზი (ლე ტისიე 70), კეჩლოული (ჰილი 86), ჰახარსი

გაფრთხილება: რობერტსი, მერსდენი

მსაჯი: დანი

**ევერტონი 6:0 ვესტ ჰემი**

1:0 კემპბელი (14), 2:0 ბოლი (25პ), 3:0 ჰაჩისონი (38), 4:0, 5:0 კემპბელი (52, 77), 6:0 ჯეფერსი (87)

ევერტონი: მირე, უეირი, უოტსონი, შორტი, ანსუორსი, ბოლი, ჰაჩისონი, დაკურტი, ჯემილი, კემპბელი, ჯეფერსი

ვესტ ჰემი: ჰისლოპი, სინკლერი, ფერდინანდი, რადოკი, ფოე, მინტო, ლამპარდი, ბერკოვიჩი, ლომასი, დი კანიო, რაიტი (კელერი 60)

გაფრთხილება: ფერდინანდი, რაიტი, ფოე, სინკლერი

მსაჯი: უილკი

**ტოტენჰემი 2:2 ჩელსი**

0:1 პოიეტი (4), 1:1 ივერსენი (38), 2:1 ჟინოლა (64), 2:2 გოლდბეკი (72)

ტოტენჰემი: უოქერი, კარი, კემპბელი, სკაილზი, ტარიკო, ანდერტონი, ფროინდი (კლემენსი 82), შერვუდი, ჟინოლა (დომინგუში 87), ივერსენი, არმსტრონგი

ჩელსი: ჰიჩკოკი, ფერერი, ლებეფი, დესაი, ლე სო, პეტრესკუ (დი მატეო 65), უაიზი, მორისი (გოლდბეკი 65), პოიეტი, ფლო, ძოლა (ფორსელი 54)

გაფრთხილება: დომინგუში, ფერერი, დესაი, დი მატეო, პოიეტი

მსაჯი: ელერეი



მიდლსბრო — მანჩესტერი 0:1. დუაიტ იორკს მატჩის ერთადერთი გოლი გააქვს

REUTERS მიდლსბროდან

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მანჩესტერი | 36 | 21 | 12 | 3 | 78:36 | 42 | 75 | 18 | 13 | 4 | 1 | 43:17 | 26 | 43 | 18 | 8 | 8 | 2 | 35:19 | 16 | 32 |
| 2 | არსენალი | 36 | 21 | 12 | 3 | 58:16 | 42 | 75 | 18 | 13 | 5 | 0 | 33:5 | 28 | 44 | 18 | 8 | 7 | 3 | 25:11 | 14 | 31 |
| 3 | ჩელსი | 37 | 19 | 15 | 3 | 55:29 | 26 | 72 | 18 | 11 | 6 | 1 | 27:12 | 15 | 37 | 19 | 8 | 9 | 2 | 28:17 | 11 | 33 |
| 4 | ლიდსი | 36 | 17 | 12 | 7 | 59:32 | 27 | 63 | 18 | 11 | 5 | 2 | 31:9 | 22 | 38 | 18 | 6 | 7 | 5 | 28:23 | 5 | 23 |
| 5 | ასტონ ვილა | 37 | 15 | 10 | 12 | 51:45 | 6 | 55 | 19 | 10 | 3 | 6 | 33:28 | 5 | 33 | 18 | 5 | 7 | 6 | 18:17 | 1 | 22 |
| 6 | ვესტ ჰემი | 37 | 15 | 9 | 13 | 42:53 | -11 | 54 | 18 | 10 | 3 | 5 | 28:26 | 2 | 33 | 19 | 5 | 6 | 8 | 14:27 | -13 | 21 |
| 7 | დერბი | 37 | 13 | 13 | 11 | 39:43 | -4 | 52 | 19 | 8 | 7 | 4 | 22:19 | 3 | 31 | 17 | 4 | 6 | 7 | 15:23 | -8 | 18 |
| 8 | ლივერპული | 37 | 14 | 9 | 14 | 65:49 | 16 | 51 | 18 | 9 | 5 | 4 | 41:24 | 17 | 32 | 19 | 5 | 4 | 10 | 24:25 | -1 | 19 |
| 9 | მიდლსბრო | 37 | 12 | 15 | 10 | 48:50 | -2 | 51 | 19 | 7 | 9 | 3 | 25:18 | 7 | 30 | 18 | 5 | 6 | 7 | 23:32 | -9 | 21 |
| 10 | ლესტერი | 37 | 12 | 13 | 12 | 40:45 | -5 | 49 | 19 | 7 | 6 | 6 | 25:25 | 0 | 27 | 18 | 5 | 7 | 6 | 15:20 | -5 | 22 |
| 11 | ტოტენჰემი | 37 | 11 | 14 | 12 | 46:48 | -2 | 47 | 18 | 7 | 7 | 4 | 27:23 | 4 | 28 | 18 | 4 | 7 | 7 | 18:22 | -4 | 19 |
| 12 | ნიუკასლი | 37 | 11 | 12 | 14 | 47:53 | -6 | 45 | 18 | 7 | 5 | 6 | 25:24 | 1 | 26 | 19 | 4 | 7 | 8 | 22:29 | -7 | 19 |
| 13 | შეფილდი | 37 | 12 | 7 | 18 | 40:42 | -2 | 43 | 19 | 7 | 5 | 7 | 20:15 | 5 | 26 | 18 | 5 | 2 | 11 | 20:27 | -7 | 17 |
| 14 | ევერტონი | 37 | 11 | 10 | 16 | 42:45 | -3 | 43 | 19 | 6 | 8 | 5 | 22:12 | 10 | 26 | 18 | 5 | 2 | 11 | 20:33 | -13 | 17 |
| 15 | უიმბლდონი | 37 | 10 | 12 | 15 | 40:60 | -20 | 42 | 19 | 7 | 7 | 5 | 22:21 | 1 | 28 | 18 | 3 | 5 | 10 | 18:39 | -21 | 14 |
| 16 | ქოვენთრი | 37 | 11 | 8 | 18 | 37:49 | -12 | 41 | 18 | 8 | 5 | 5 | 24:19 | 5 | 29 | 19 | 3 | 3 | 13 | 13:30 | -17 | 12 |
| 17 | საუთჰემპტონი | 37 | 10 | 8 | 19 | 35:64 | -29 | 38 | 18 | 8 | 4 | 6 | 27:26 | 1 | 28 | 19 | 2 | 4 | 13 | 8:38 | -30 | 10 |
| 18 | ჩარლტონი | 37 | 8 | 12 | 17 | 41:55 | -14 | 36 | 18 | 4 | 7 | 7 | 20:19 | 1 | 19 | 19 | 4 | 5 | 10 | 21:36 | -15 | 17 |
| 19 | ბლექბერნი | 36 | 7 | 12 | 17 | 37:51 | -14 | 33 | 18 | 6 | 4 | 8 | 21:18 | 3 | 22 | 18 | 1 | 8 | 9 | 16:27 | -11 | 11 |
| 20 | ნოტინგემი | 37 | 6 | 9 | 22 | 34:69 | -36 | 27 | 18 | 2 | 7 | 9 | 17:31 | -14 | 13 | 19 | 4 | 2 | 13 | 17:38 | -21 | 14 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| იორკი (მანჩესტერი) | 18 |
| ოუენი (ლივერპული) | 17 |
| ჰასელბაინკი (ლიდსი) | 17 |
| ანელკა (არსენალი) | 17 |

**XXXVIII ტური**

16 მაისი

| | | |
|---|---|---|
| ნიუკასლი | - | ბლექბერნი (0:0) |
| ჩელსი | - | დერბი (2:2) |
| საუთჰემპტონი | - | ევერტონი (0:1) |
| ნოტინგემი | - | ლესტერი (1:3) |
| ვესტ ჰემი | - | მიდლსბრო (0:1) |
| ჩარლტონი | - | შეფილდი (0:3) |
| მანჩესტერი | - | ტოტენჰემი (2:2) |
| არსენალი | - | ასტონ ვილა (2:3) |
| ლივერპული | - | უიმბლდონი (0:1) |
| ქოვენთრი | - | ლიდსი (0:2) |

## I დივიზიონი

### XXXXVI ტური

**ბრისტოლი 1:0 ნორვიჩი**

1:0 პინამონტე (40)

**ბერი 1:0 პორტ ვეილი**

1:0 ვესტი (67)

**ჰადერსფილდი 0:0 ქრიუ**

**იფსვიჩი 4:1 შეფილდ იუნ.**

1:0 მეჯილტონი (18), 2:0 სკოუკროფტი (32), 3:0 დაიერი (45), 3:1 დონისი (63), 4:1 ნეილორი (79)

**ოქსფორდი 5:0 სტოკპორტი**

1:0 გილშერტი (33), 2:0 პაუელი (43), 3:0 ბიშემი (44), 4:0 მერფი (63), 5:0 ტომსონი (90)

**პორტსმუთი 0:2 ბოლტონი**

0:1 იოჰანსენი (21), 0:2 გუდიონსონი (67)

**ქუინზ პარკი 6:0 კრ. პალასი**

1:0 კულჩარი (8), 2:0, 3:0 კივომია (43, 56), 4:0 სკალი (76), 5:0 ბრიკერი (82), 6:0 კივომია (85)

**სანდერლენდი 2:1 ბირმინგემი**

1:0 გრეინგერი (38), 2:0 ფილიპსი (63), 2:1 ქუინი (71)

**სვინდონი 1:3 ბარნსლი**

1:0 გრიფინი (7), 1:1 ჯონსი (9), 1:2 ბალოკი (28), 1:3 დაიერი (75)

**ტრანმერი 3:1 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 ვან ბლერკი (17ს.კ.), 2:0 აირონსი (19პ), 2:1 დე ფრეიტასი (75), 3:1 კელი (87)

**უოტფორდი 1:0 გრიმსბი**

1:0 კენედი (43)

**ვულვზი 2:3 ბრედფორდი**

1:0 ფლო (12), 1:1 ბიგრი (25), 1:2 მილსი (41), 1:3 ბლეიკი (64), 2:3 სიმპსონი (81)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი | 46 | 31 | 12 | 3 | 91:28 | 105 |
| ბრედფორდი | 46 | 26 | 9 | 11 | 82:47 | 87 |
| იფსვიჩი | 46 | 26 | 8 | 12 | 69:32 | 86 |
| ბირმინგემი | 46 | 23 | 12 | 11 | 66:37 | 81 |
| უოტფორდი | 46 | 21 | 14 | 11 | 65:56 | 77 |
| ბოლტონი | 46 | 20 | 16 | 10 | 78:59 | 76 |
| ვულვზი | 46 | 19 | 16 | 11 | 64:43 | 73 |
| შეფილდ იუნ. | 46 | 18 | 13 | 15 | 71:66 | 67 |
| ნორვიჩი | 46 | 15 | 17 | 14 | 62:61 | 62 |
| ჰადერფსილდი | 46 | 15 | 16 | 15 | 62:71 | 61 |
| გრიმსბი | 46 | 17 | 10 | 19 | 40:52 | 61 |
| ვესტ ბრომვიჩი | 46 | 16 | 11 | 19 | 69:76 | 59 |
| ბარნსლი | 46 | 14 | 17 | 15 | 59:56 | 59 |
| კრ. პალასი | 46 | 14 | 16 | 16 | 58:71 | 58 |
| ტრანმერი | 46 | 12 | 20 | 14 | 63:61 | 56 |
| სტოკპორტი | 46 | 12 | 17 | 17 | 49:60 | 53 |
| სვინდონი | 46 | 13 | 11 | 22 | 59:81 | 50 |
| ქრიუ | 46 | 12 | 12 | 22 | 54:78 | 48 |
| პორტსმუთი | 46 | 11 | 14 | 21 | 57:73 | 47 |
| ქუინზ პარკი | 46 | 12 | 11 | 23 | 52:61 | 47 |
| პორტ ვეილი | 46 | 13 | 8 | 25 | 45:75 | 47 |
| ბერი | 46 | 10 | 17 | 19 | 35:60 | 47 |
| ოქსფორდი | 46 | 10 | 14 | 22 | 48:71 | 44 |
| ბრისტოლი | 46 | 9 | 15 | 22 | 57:80 | 42 |

*პირველი დივიზიონიდან პრემიერლიგაში უკვე გადავიდნენ „სანდერლენდი“ და „ბრედფორდი“, ხოლო მესამე საგზურისთვის პლეი ოფში შეხვდებიან „უოტფორდი“ — „ბირმინგემი“, „ბოლტონი“ — „იფსვიჩი“. პირველი მატჩები 16, ხოლო საპასუხო 19 მაისს გაიმართება, ფინალი კი 31 მაისს „უემბლიზე“.*

*პირველი დივიზიონი დატოვეს „ბერიმ“, „ოქსფორდმა“ და „ბრისტოლმა“. მათ შეცვლიან: „ფულემი“, „უოლსოლი“ და პლეი ოფში გამარჯვებული. პლეი ოფში 16 და 19 მაისს შეხვდებიან „ვიგანი“ — „მანჩესტერ სიტი“, „პრესტონი“ — „ჯილინჰემი“. ფინალი ჩატარდება „უემბლიზე“ 30 მაისს.*

## გერმანია

XXXI ტური

**ფრაიბურგი 2:1 გლადბახი**

1:0 ბაია (41), 1:1 ჰაუსვაილერი (62), 2:1 პავლინი (88)
ცქიტიშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (80)
ფრაიბურგი: გოლცი, შუმანი, დიარა, ჰერმელი, კობიაშვილი, კოლი, გიუნეში (პავლინი 83), ცქიტიშვილი, ბაია (შ. მიულერი 90), ვაისჰაუპტი, ვასმერი (სელიმი 59)
მიონხენგლადბახი: ალბუშტინი, ვიტეჩეკი, ებერლი, ჰაუსვაილერი, სოპიჩი (რაიტერი 84), ასანინი, პასლაკი, ფრონცეკი, დაისლერი (ვილა 58), პოლსტერი (ფელდჰოფი 58), პეტერსონი
გაფრთხილება: კოლი, ალბუშტინი, დაისლერი, პასლაკი
მსაჯი: შტარკი

**ბაიერნი 1:1 ჰერტა**

1:0 იანკერი (12), 1:1 შმიდტი (72)
ბაიერნი: კანი (შოიერი 54), კუფური, მათეუსი (ფინკი 46), ლინკე, სალიჰამიჯიჩი, იერემისი, ტარნატი, ეფენბერგი, ბასლერი, ციკლერი, იანკერი (დაეი 46)
ჰერტა: კირალი, ვაიტი, ჰ. ჰერცოგი (კოვიჩი 64, არაჩიჩი 80), სვერისონი, რეკდალი, შმიდტი, ნოიენდორფი, ჰარტმანი, სანე, ვოში, პრეეტცი
გაფრთხილება: ბასლერი, ჰერცოგი, ვაიტი
მსაჯი: კოოპი

**დორტმუნდი 1:0 ლაუტერნი**

1:0 შაპუიზა (11)
დორტმუნდი: ლემანი, კ. ბაუმანი, როიტერი, ნიეგუსი, სტევიჩი, ნერლინგერი, დედე, რიკენი, მიოლერი, ჰერლიხი (ჰენგენი 89), შაპუიზა (ბარბარესი 75)
კაიზერსლაუტერნი: რაინკე, რამზი (რიშე 75), კოხი, შიონბერგი, შეფერი (რიდლი 37), ვაგნერი, რატინიო (ბალაკი 64), ბუკი, სფორცა, მარშალი, როსლერი
გაფრთხილება: დედე, ბაუმანი, მიოლერი, როიტერი, ბალაკი, ვაგნერი
მსაჯი: ფანდელი

**ლევერკუზენი 2:0 ბოხუმი**

1:0 კირსტენი (21), 2:0 ჰეიდუკი (63)
ლევერკუზენი: მატიშეკი, ჟივკოვიჩი, რ. კოვაჩი, ნოვოტნი, ჰაინცე, რეები (მაიერი 59), რამელო, ზე რობერტო, ჰეიდუკი (ლენჰოფი 85), რაიხენბერგერი (ნ. კოვაჩი 80), კირსტენი
ბოხუმი: კიშკო, ფარენჰორსტი, სუნდერმანი, ვალდოხი, ტოპლაკი, დიკჰაუტი (კუნცი 70), რაისი, შინდცილორცი, მაჰდავიკია (ბასტურკი 53), ბუკლი, დრინჩიჩი (გაუდინო 70)
გაფრთხილება: ჰეიდუკი, რამელო, რაისი
მსაჯი: კემლინგი

**ვოლფსბურგი 1:1 ნიურნბერგი**

0:1 ბაუმანი (29), 1:1 პრეგერი (90)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, მალტრიცი, კლეჩეცკი (ონილი 40), ტომსენი, ქებრიცი (ბაუმგარტი 41), დამაიერი, გრაინერი, კაპეტანოვიჩი (შრიოდერი 63), აკონორი, იუსკოვიაკი, პრეგერი
ნიურნბერგი: კიომპკე, ნიკლი, ფ. ბაუმანი, ვან ეკი, შტორცენჰოფეკერი, ლიოში (გიუნტერი 55), დრილერი, ოეხლერი, გერბერი, ჩირიჩი, კურტი (ვაიგლი 60)
გაფრთხილება: გრაინერი, ვან ეკი
მსაჯი: კრუგი

**დუისბურგი 1:2 შალკე**

1:0 ჰაიტო (37), 1:1 მიულერი (47), 1:2 მულდერი (82)
ჰაიტომ ვერ გაიტანა პენალტი (90)
დუისბურგი: სტაუჩე, კომლიენოვიჩი, ემერლინგი, ჰაიტო, ჰირში, ვოლტერსი, ბუგერა, ტიოფტინგი, ვედაუ, დიალო (ანდერსენი 59), შპისი
შალკე: რეკი, ვან ჰოგდალემი, დე კოკი, ა. მიულერი, ტაპალოვიჩი, ბიუსკენსი, ჰელდი, ნემეცი, ალპუგანი, ჰამი (ვილმოტსი 59), მულდერი
გაფრთხილება: ჰაიტო, ჰირში, ალპუგანი, მულდერი, ტაპალოვიჩი
მსაჯი: ვაკი



მეთხუთმეტედ გაჩემპიონება მიუნხენელმა ფეხბურთელებმა ამგვარად დაასველეს

# წინ მეორე ფრონტია

**ჰამბურგი 3:0 მიუნხენი**

1:0 გროთი (69), 2:0 ბუტი (73პ), 3:0 გროთი (89)
ჰამბურგი: ბ. ბუტი, პანადიჩი, ჰოოგმა, ჰერჩი, ფ. ერნსტი, გროთი, ჰოლერბახი (კურტიანუ 46), გრამოცისი, კირიაკოვი (დოლი 63), დემბინსკი, იებოა
მიუნხენი: მ. ჰოფმანი, ვანენბურგი, ზელიჩი (ისაკა 70), ჯორჯესი (დინზეი 46), კურცი, ტაისი, ბორიმიროვი, ჩიჟეკი, ოუაკილი, ჰობში (შროტი 63), ვინკლერი
გაფრთხილება: ერნსტი, ჰოლერბახი, კურცი, მ. ჰოფმანი, ოუაკილი, შროტი
მსაჯი: მერკი

**ჰანზა 3:0 შტუტგარტი**

1:0 რემერი (29), 2:0, 3:0 მაიაკი (80, 89)
ჰანზა: პიკენჰაგენი, რემერი, ვაილანდტი, ელერსი, ვიბრანი, იასერი, ლანგე, ემარა (მაიაკი 64), ბრაიტკროიცი (განსაუგე 87), აგალი (ჰოლეჩეკი 81), ნოივილი
შტუტგარტი: ციგლერი, კისი, ტიამი, ოხვალდი, კარნელი, სოლდო, ცაიერი, ჯორჯევიჩი (რისტიჩი 74), პინტო (ლისტეში 68), აკპობორი (ტ. როსტი 82), ბობიჩი
გაფრთხილება: ბრაიტკროიცი, ჰოლეჩეკი, ნოივილი, სოლდო, აკპობორი, კარნელი, ჯორჯევიჩი
გაძევება: სოლდო (45)
მსაჯი: შტრამპე

**ვერდერი 1:2 აინტრახტი**

0:1 შური (55), 0:2 სობოჩიკი (70), 1:2 ბოდე (72)
ვერდერი: ფ. როსტი, აილტსი (მაქსიმოვი 46), ვიკი, ბენკენი (ვეტენდორფი 72), ტოდტი, ფიუტერერი (დაბროვსკი 39), ფლოკი, ბოდე, ჰ. ჰერცოგი, ბოგდანოვიჩი, ფრინგსი
აინტრახტი: ნიკოლოვი, იანსენი, ბინდევალდი, კუჩერა (პედერსენი 43), შური, ცამპახი (ბრინკმანი 70), ვებერი, ბ. შნაიდერი, სობოჩიკი, ჩენ იანგი (ხუბჩევი 84), ფიორტოფტი
გაფრთხილება: ფუტერერი, ტოდტი, პედერსენი, შური
მსაჯი: ფლაიშერი

მსაჯის საფინალო სასტვენი გაისმა თუ არა, „ბაიერნის" ფეხბურთელები ერთმანეთს გადაეხვივნენ. ხვენა-კოცნით რომ გული იჯერეს, ურთიერთს თავზე ბავარიული ლუდი ასხეს. მიზეზს თავად მიხვდებოდით, „ბაიერნთან" ერთად მთელი მიუნხენი ზეიმობდა საყვარელი კლუბის მეთხუთმეტედ გაჩემპიონებას.

ბერლინის „ჰერტასთან" საშინაო მატჩში „ბაიერნს" ჩემპიონობის ოფიციალურად გასაფორმებლად ერთი ქულაც ჰყოფნიდა. წარმატებაში დარწმუნებულმა ქომაგებმა კვირას „ოლიმპიაშტადიონის" ტრიბუნები მთლიანად შეავსეს. „ბაიერნმაც" არ გააწბილა გულშემატკივარი. მიუნხენელებმა თამაში ძალიან კარგად დაიწყეს და მე-12 წუთზე ანგარიშიც გახსნეს. ლოთარ მათეუსმა ბრწყინვალედ ითამაშა, თავის საჯარიმოში ბერლინელთა შეტევა ჩაშალა, ბურთიანად მთელი მინდორი გადასერა და ჩინებული პასით კარსტენ იანკერი ხელსაყრელ მდგომარეობაში გაიყვანა, ამანაც უმლიერესი დარტყმით „ბაიერნი" დააწინაურა. იანკერის გოლმა მასპინძელთა სათადარიგო სკამზე მსხდომი ფეხბურთელები კარგ ხასიათზე დააყენა და თამაშის ბოლომდე დარჩენილი დრო მხიარულად გაატარეს. მათ გუნება ვერც „ჰერტას" საპასუხო გოლმა გაუფუჭა. ეტყობა, იმ დღეს „ბაიერნის" წარმატების ყველას სჯეროდა.

„დღევანდელი დღე ყველაზე ბედნიერია ჩემს ცხოვრებაში. გახდე გერმანიაში უძლიერესი, ეს მართლაც უდიდესი მიღწევაა" — ემოციას ვერ ფარავდა თამაშის შემდეგ შტეფან ეფენბერგი, გერმანიაში დღესდღეისობით ერთ-ერთი ყველაზე დაფასებული ფეხბურთელი. აღსანიშნავია, რომ „ეფე" თავის კარიერაში პირველად გახდა ქვეყნის ჩემპიონი. ეს მან ძალიან ემოციურადაც გამოხატა — ტრიბუნაზე ავარდა და ცრემლმორეულ ცოლსა და ვაჟს გადაეხვია.

„ერთ ფრონტზე ომი მოვიგეთ, ახლა „მანჩესტერთან" ჩემპიონთა ლიგის ფინალში მეორე და უმთავრესი ბრძოლა გველის" — განაცხადა მიუნხენელთა მთავარმა მწვრთნელმა, ოტმარ ჰიტცფელდმა, რომელიც ჩემპიონობამ ისე გაახარა, მესამე ფრონტი სულ გადაავიწყდა. შეგახსენებთ, „ბაიერნი" გერმანიის თასის ფინალშიც არის გასული.

„ფრაიბურგმა" შაბათს ბუნდესლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა. მეორე ბუნდესლიგაში უკვე დაქვეითებულ „გლადბახს" შინ გაჭირვებით კი მოუგო, მაგრამ რაც მთავარია, სამი ქულა მიამატა აქტივს. პირველ ტაიმში მასპინძელთა შორის ყველაზე მეტად ლევან კობიაშვილი და ლევან ცქიტიშვილი აქტიურობდნენ. კობიაშვილს ტაიმის მიწურულს ანგარიშის გახსნაც შეეძლო, მაგრამ ახლოდან თავით მცველს გაარტყა ბურთი. 41-ე წუთზე ცქიტიშვილმა წამოიწყო კარგი შეტევა, რომლის დაგვირგვინებაც ტუნისელმა ბაიამ არ აცალა — მოჭრილი დარტყმით „ფრაიბურგი" წინ გაიყვანა. მეორე ტაიმი მასპინძელთა შეტევით დაიწყო, კობიაშვილმა კარგადაც დაარტყა მაგრამ მეკარემ იმარჯვა, ბურთი კუთხურზე მოიგერია. 62-ე წუთზე „ფრაიბურგის" საჯარიმოში შექმნილი არეულობით ჰაუსვაილერმა ისარგებლა და თავით წონასწორობა აღადგინა. 80-ე წუთზე თავად ჰაუსვაილერი შეცდა, საკუთარ საჯარიმოში ბაია წააქცია, მსაჯმაც უყოყმანოდ დანიშნა პენალტი, რომელიც... ცქიტიშვილმა... ვერ გამოიყენა. მისი დარტყმული ბურთის აღება (და არა მოგერიება) ბუნდესლიგაში პირველად მოთამაშე ალბუშტინს არ გასჭირვებია. ეს „ფრაიბურგისთვის" ზედიზედ მესამე გამოუყენებელი თერთმეტმეტრიანი გახლდათ. ამის შემდეგ სტუმრებს შეეძლოთ გატანა, მაგრამ გოლცთან პირისპირ გასულმა შვედმა იორგენ პეტერსონმა ვერ ივარგა. ისე, რაც პეტერსონს ამ სეზონში მომენტები ჰქონდა, ნახევარი მაინც რომ გოლად ექცია, „გლადბახი" ბოლო ადგილზე ნაღდად არ იქნებოდა.

მატჩის ბოლოს „ფრაიბურგმა" შეუტია და გადამწყვეტი გოლიც გაიტანა. ამას წინათ თბილისში საქართველოს ნაკრებთან ნათამაშებმა მირან პავლინმა შორიდან ზუსტი დარტყმით ბუნდესლიგაში თავისი პირველი ბურთი შეაგდო. თამაშიც, რომლის ლოგიკური შედეგი ფრე უფრო იქნებოდა, „ფრაიბურგის" გამარჯვებით დასრულდა.

„ბაიერნის" გაჩემპიონებამდე ერთი დღით ადრე „ლევერკუზენმა" „ბოხუმს" უმასპინძლა და 2:0 მოუგო, თუმცა თამაშით თუ ვიმსჯელებთ, კრისტოფ დაუმის გუნდს აშკარად გაუჭირდა. 21-ე წუთზე რობერტ კოვაჩის პასით კირსტენმა ულამაზესი გოლი გაიტანა. „ბოხუმს" ორ წუთში ანგარიშის გათანაბრების კარგი შანსი მიეცა — მეკარესთან პირისპირ გასულმა დრინჩიჩმა ისიც მოატყუა და ცარიელ კარში დაარტყა, მაგრამ ბურთს ზედ ხაზზე იმავე კოვაჩმა მიუსწრო და „ლევერკუზენი" იხსნა. მეორე ტაიმში სტუმრებს კიდევ სამჯერ შეეძლოთ გატანა, მაგრამ მატიშეკი მარჯვებდა. 63-ე წუთზე კი ამერიკელმა ფრენკი ჰეიდუკმა „ბოხუმს" მეორე გოლი გაუტანა და მატჩის ბედიც გადაწყვიტა.

„ჩვენს თამაშს კარგს ვერ ვუწოდებ, თუმცა რაც მთავარია, სამი ქულა მოვიპოვეთ. კარგი იქნება, თუ ხვალ „ბაიერნი" — „ჰერტას" მატჩში მიუნხენელები მოიგებენ, რადგან ამ შემთხვევაში მეორე ადგილს და ჩემპიონთა ლიგაში პირდაპირ მოხვედრას ახლავე გავინაღდებთ" — ამ სიტყვებიდანაც გამოჩნდა, რომ დაუმს ჩემპიონობის იმედი აღარ ჰქონდა.

„დორტმუნდმა" ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში უმთავრეს კონკურენტ „კაიზერსლაუტერნს" უმასპინძლა და შაპუიზას გოლით 1:0 მოიგო. სტუმრებმა შეხვედრა ძალიან ცუდად ჩაატარეს და თამაშის ბოლოსღა გამოცოცხლდნენ, თუმცა მატჩის გადარჩენა ველარ შეძლეს. ბოლო წუთებზე მარშალის მიერ პირველად დარტყმული ბურთი ლემანმა მოიგერია, მეორედ კი ბუნდესლიგის შარშანდელმა ბომბარდირმა კარს ააცილა. ბოლოს „ლაუტერნს" კუთხურის დროს მეკარერაინკეს „დორტმუნდის" საჯარიმოში ჩასვლამაც ვერ უშველა.

ჩემპიონთა ლიგის საგზურის კიდევ ერთმა პრეტენდენტმა „ვოლფსბურგმა" საკუთარ მინდორზე დასარჩენად მებრძოლ „ნიურნბერგს" ვერ მოუგო. თუმცა მოგებას ვინ ჩივის, ვოლფსბურგელებმა ქულის გადარჩენაც ძლივს შეძლეს. 90-ე წუთზე თავი გუნდის ლიდერმა როი პრეგერმა გამოიჩინა — 1:1.

ფრანკფურტის „აინტრახტთან" საშინაო მარცხს შეეწირა ბრემენის „ვერდერის" აწ უკვე ყოფილი მწვრთნელი ფელიქს მაგათი. გუშინ იგი კლუბის მენეჯერმა ვილი ლემკემ დაიბარა და გამოუცხადა ამიერიდან „ვერდერს" შენს ნაცვლად თომას შააფი გაწვრთნისო. შააფის დებიუტი ამ თანამდებობაზე „შალკესთან" გადადებულ მატჩში შედგება. ეს თამაში დღეს ბრემენში გაიმართება.

ლემკესვე თქმით, შააფი გუნდს ამ სეზონის ბოლომდე ანუ სულ ოთხ მატჩში უხელმძღვანელებს.

**ვანო ოქროპირიძე**

## მეორე ბუნდესლიგა

XXIX ტური

**ფორტუნა 2:2 ულმი**

0:1 გორა (21), 0:2 პლოილერი (47), 1:2 ბრდარიჩი (52), 2:2 რენი (85)

**კიკერსი 2:0 კიოლნი**

1:0 კარლი (42), 2:0 აზიზი (90)

**დიუსელდორფი 1:1 ჰანოვერი**

0:1 კობილანსკი (58), 1:1 ადო (85)

**ფიურტი 1:2 კარლსრუე**

0:1 ბოიმერი (13), 0:2 კრიგი (83პ), 1:2 კლეე (87)

**გიუტერსლო 2:1 ვატენშაიდი**

0:1 ფაინბირი (6), 1:1 ვაიდემანი (45), 2:1 ბოცინოვი (57)

**კოტბუსი 0:3 ზტ. პაული**

0:1 მარინი (13), 0:2 კლასნიჩი (25), 0:3 მარინი (45)

**ურდინგენი 3:0 უნტერჰახინგი**

1:0 ვან დერ ჰაარი (14), 2:0 შპიცაკი (69), 3:0 შერბე (89პ)

**ობერჰაუზენი 2:1 მაინცი**

0:1 ჰოლიკელა (11), 1:1 ლიპინსკი (20პ), 2:1 ა. ვებერი (88)

**ბერლინი 1:1 არმინია**

1:0 ვალკერი (13), 1:1 ბომე (38)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნტერჰახინგი | 29 | 17 | 4 | 8 | 37:23 | 55 |
| არმინია | 29 | 16 | 6 | 7 | 49:27 | 54 |
| ბერლინი | 29 | 14 | 7 | 8 | 43:35 | 49 |
| ფიურტი | 29 | 13 | 9 | 7 | 38:23 | 48 |
| კარლსრუე | 29 | 15 | 3 | 11 | 47:37 | 48 |
| ულმი | 29 | 12 | 12 | 5 | 53:45 | 48 |
| ჰანოვერი | 29 | 13 | 7 | 9 | 44:32 | 46 |
| მაინცი | 29 | 11 | 7 | 11 | 38:39 | 40 |
| კიკერსი | 29 | 11 | 7 | 11 | 31:37 | 40 |
| ფორტუნა | 29 | 9 | 10 | 10 | 46:49 | 37 |
| კიოლნი | 29 | 9 | 9 | 11 | 38:44 | 36 |
| ზტ. პაული | 29 | 10 | 6 | 13 | 35:41 | 36 |
| ობერჰაუზენი | 29 | 7 | 12 | 10 | 32:42 | 33 |
| გიუტერსლო | 29 | 8 | 7 | 14 | 34:46 | 31 |
| კოტბუსი | 29 | 6 | 11 | 12 | 32:38 | 29 |
| ვატენშაიდი | 29 | 6 | 9 | 14 | 24:36 | 27 |
| ურდინგენი | 29 | 6 | 9 | 14 | 30:44 | 27 |
| დიუსელდორფი | 29 | 4 | 13 | 12 | 30:43 | 25 |

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბაიერნი | 31 | 22 | 6 | 3 | 70:23 | 47 | 72 | 16 | 13 | 3 | 0 | 44:13 | 31 | 42 | 15 | 9 | 3 | 3 | 26:10 | 16 | 30 |
| 2 | ლევერკუზენი | 31 | 17 | 11 | 3 | 60:27 | 33 | 62 | 16 | 9 | 6 | 1 | 32:13 | 19 | 33 | 15 | 8 | 5 | 2 | 28:14 | 14 | 29 |
| 3 | ჰერტა | 31 | 15 | 8 | 8 | 49:31 | 18 | 53 | 15 | 12 | 1 | 2 | 30:9 | 21 | 37 | 16 | 3 | 7 | 6 | 19:22 | -3 | 16 |
| 4 | ლაუტერნი | 31 | 15 | 6 | 10 | 44:42 | 2 | 51 | 16 | 10 | 3 | 3 | 30:19 | 11 | 30 | 15 | 5 | 3 | 7 | 14:24 | -10 | 18 |
| 5 | დორტმუნდი | 31 | 14 | 9 | 8 | 43:31 | 12 | 50 | 16 | 13 | 2 | 1 | 32:9 | 23 | 41 | 15 | 1 | 7 | 7 | 11:22 | -11 | 10 |
| 6 | ვოლფსბურგი | 31 | 13 | 10 | 8 | 50:42 | 8 | 49 | 16 | 9 | 5 | 2 | 34:16 | 18 | 32 | 15 | 4 | 5 | 6 | 16:26 | -10 | 17 |
| 7 | ჰამბურგი | 31 | 12 | 10 | 9 | 41:37 | 4 | 46 | 16 | 8 | 5 | 3 | 22:13 | 9 | 29 | 15 | 4 | 5 | 6 | 19:24 | -5 | 17 |
| 8 | დუისბურგი | 31 | 12 | 9 | 10 | 42:41 | 1 | 45 | 15 | 8 | 4 | 3 | 26:17 | 9 | 28 | 16 | 4 | 5 | 7 | 16:24 | -8 | 17 |
| 9 | მიუნხენი | 31 | 11 | 8 | 12 | 43:45 | -2 | 41 | 15 | 7 | 4 | 4 | 23:15 | 8 | 25 | 16 | 4 | 4 | 8 | 20:30 | -10 | 16 |
| 10 | შალკე | 30 | 9 | 11 | 10 | 34:44 | -10 | 38 | 15 | 5 | 5 | 4 | 18:18 | 0 | 21 | 15 | 4 | 5 | 6 | 16:26 | -10 | 17 |
| 11 | ფრაიბურგი | 31 | 9 | 9 | 13 | 33:38 | -5 | 36 | 16 | 5 | 6 | 5 | 17:16 | 1 | 21 | 15 | 4 | 3 | 8 | 16:22 | -6 | 15 |
| 12 | ჰანზა | 31 | 8 | 10 | 13 | 45:53 | -8 | 34 | 16 | 7 | 5 | 4 | 29:20 | 9 | 26 | 15 | 1 | 5 | 9 | 16:32 | -16 | 8 |
| 13 | შტუტგარტი | 31 | 7 | 12 | 12 | 36:44 | -8 | 33 | 15 | 6 | 5 | 4 | 21:14 | 7 | 23 | 16 | 1 | 7 | 8 | 15:30 | -15 | 10 |
| 14 | ნიურნბერგი | 31 | 6 | 15 | 10 | 36:47 | -11 | 33 | 15 | 2 | 11 | 2 | 20:21 | -1 | 17 | 16 | 4 | 4 | 8 | 16:26 | -10 | 16 |
| 15 | ვერდერი | 30 | 7 | 8 | 15 | 33:44 | -11 | 29 | 15 | 2 | 6 | 7 | 19:22 | -3 | 12 | 15 | 5 | 2 | 8 | 15:21 | -6 | 17 |
| 16 | ბოხუმი | 31 | 7 | 8 | 16 | 36:56 | -20 | 29 | 15 | 5 | 3 | 7 | 19:23 | -4 | 18 | 16 | 2 | 5 | 9 | 17:33 | -16 | 11 |
| 17 | აინტრახტი | 31 | 6 | 10 | 15 | 34:51 | -17 | 28 | 15 | 4 | 6 | 5 | 19:20 | -1 | 18 | 16 | 2 | 4 | 9 | 15:31 | -16 | 10 |
| 18 | გლადბახი | 31 | 4 | 8 | 19 | 38:71 | -33 | 20 | 15 | 4 | 3 | 8 | 23:31 | -8 | 15 | 16 | 0 | 5 | 11 | 15:40 | -25 | 5 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| პრეეტცი (ჰერტა) | 19 |
| კირსტენი (ლევერკუზენი) | 18 |
| ელბერი (ბაიერნი) | 13 |

XXXII ტური

14 მაისი
გლადბახი - ჰამბურგი (0:3)
ჰერტა - ჰანზა (2:1)

15 მაისი
აინტრახტი - დორტმუნდი (1:3)
ბოხუმი - ვოლფსბურგი (1:4)
დუისბურგი - ლევერკუზენი (0:2)
მიუნხენი - ვერდერი (1:4)
შტუტგარტი - ფრაიბურგი (0:2)
ნიურნბერგი - ბაიერნი (0:2)

16 მაისი
შალკე - ლაუტერნი (1:4)

## იტალია

# მილანი თვალს ხუჭავს

### XXXII ტური

**ლაციო 2:0 ბოლონია**

1:0 ალმეიდა (50), 2:0 ვიერი (89)
ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო (ფავალი 78), ნესტა, მიხაილოვიჩი, პანკარო, კონსეისაო (ოკონი 82), სტანკოვიჩი, ალმეიდა, ლომბარდო (დე ლა პენია 67), მანჩინი, ვიერი
ბოლონია: ანტონიოლი, პარამატი (კაპიოლი 44), პაგანინი, მანგონე, ლუჩიჩი, ბეტარინი, ერიბერტო (ბინოტო 71), ინგესონი, მაროკი, კ. ანდერსონი, სინიორი (სიმუტენკოვი 71)
გაფრთხილება: ერიბერტო, ლომბარდო, კ. ანდერსონი
მსაჯი: ბოჯი

**იუვენტუსი 0:2 მილანი**

0:1, 0:2 ვეა (46, 64)
იუვენტუსი: პერუცი, ფერარა (ტუდორი 3), მონტერო, დი ლივიო, კონტე, ტაკინარდი, დეშამი, ანრი (პეროტა 72), ფ. ინძაგი, ამორუზო (ფონსეკა 66)
მილანი: აბიატი, სალა, კოსტაკურტა, მალდინი, ჰელვეგი, ალბერტინი (ნგოტი 92), ამბროზინი, გული, ლეონარდო (ბობანი 46), ბირჰოფი, ვეა
გაფრთხილება: დეშამი, ტუდორი, სალა, გული, ვეა, ამბროზინი, ფ. ინძაგი
მსაჯი: ჩეზარი

**სამპდორია 3:2 ფიორენტინა**

0:1 რუი კოშტა (20პ), 1:1 მონტელა (29), 1:2 ჰაინრიხი (41), 2:2 მონტელა (50), 3:2 პალმიერი (78)
სამპდორია: ფერონი, უგო (კასტელინი 72), ფრანჩესკეტი, გრანდონი (საკიჩი 46), ბალერი (იაკოპინო 76), დორივა, პეკია, ლაილი, ორტეგა, მონტელა, პალმიერი
ფიორენტინა: ტოლდო, პადალინო, ფალკონე (ესპოზიტო 81), რეპკა, ტორიჩელი, კოისი, ჰაინრიხი, ამოროზო, რუი კოშტა, ოლივეირა (ფიჩინი 55), ედმუნდო
გაფრთხილება: ამოროზო, ორტეგა, უგო, ტორიჩელი, ფრანჩესკეტი, კასტელინი, ფიჩინი
გაძევება: კოისი (33), პადალინო (91)
მსაჯი: ბეტინი

**ემპოლი 2:2 ვენეცია**

1:0 ზალაიეტა (50), 2:0 ტონეტო (70), 2:1, 2:2 რეკობა (72პ, 90)
ემპოლი: მაცი, ფუსკო, ბიანკონი, ბიზოლი, ლუჩენტი, პანე, მორონე, ტონეტო, კრიბარი (დი ნაპოლი 67), ზალაიეტა (კერბონე 73), ბონომი
ვენეცია: ტაიბი, ბრიოსკი (დი ფრანჩესკი 27, პისტონე 68), პავანი, ლუპი, დალ კანტო (ტუტა 65), კარნაშალი, მიჩელი, ვოლპი, პედონე, რეკობა, მანიერო
გაფრთხილება: ფუსკო, კრიბარი, დე ფრანჩესკი, პისტონე, ტონეტო
გაძევება: ნოველინო (80 ვენეციას მწვრთნელი)
მსაჯი: მესინა

**პიაჩენცა 2:0 რომა**

1:0 რასტელი (32), 2:0 სტატუტო (80)
პიაჩენცა: ფიორე, ლამაკი, პოლონია, ვერხოვოდი, დელი კარი, ბუზო (სტროპა 70), მანიგეტი, სტატუტო, კრისტალინი, რასტელი (პიოვანი 38), ს. ინძაგი (დიომიჯი 65)
რომა: კონსელი, ლანძარო (ალეინიჩევი 58, ბარტლეტი 73), ძაგო, ალდაირი, კანდელა, ტომაზი, დი ბიაჯო, დი ფრანჩესკო, პაულო სერჟიო (გაუტიერი 5), დელვეკიო, ტოტი
გაფრთხილება: დელი კარი, ვერხოვოდი, კრისტალინი, სტატუტო, ტომაზი, ძაგო
მსაჯი: ბოლონინო

**ვიჩენცა 2:3 უდინეზე**

0:1, 0:2 ამოროზო (36პ, 47პ), 1:2 ძაული (50), 1:3 ვალემი (59), 2:3 დიჩარა (61)
ვიჩენცა: ბრივიო, სტოვინი, აურელიო (მენდესი 82), დიჩარა, სკენარდი, დაბო, ვივიანი, ბეგეტო (ამბროზეტი 63), ძაული (ტისკი 86), ოტერო, სკარლატო
უდინეზე: ტურჩი, ძანკი, გარგო, პიერინი, ჟენო, ჯანიკედა, ვალემი (ვან დერ ვეგტი 64), ბაკინი (ნავასი 33), ლოკატელი, სოსა (ბერტოტო 80), ამოროზო
გაფრთხილება: ვივიანი, ჯანიკედა, სოსა, სკენარდი, ძაული, ლოკატელი
მსაჯი: კოლინა

**კალიარი 3:1 სალერნიტანა**

0:1 დი ვაიო (25), 1:1 მბომა (39), 2:1, 3:1 ბერეტა (67, 92)
კალიარი: სკარპი, ვილა, გრასადონია, კენტურიონი, ვაზარი, ბერეტა, კ. ძანეტი, კავეცი (აბეიხონი 75), მაჩელარი, მბომა (მუცი 64), ონილი (კალონი 93)
სალერნიტანა: ბალი, ბოლიჩი, მონაკო (ტოსტო 50), ფრეზი, დელ გროსო, გატუზო, ბერნარდინი, ვანუკი (კიანეზე 84), ჯამპაოლო, დი მიკელე (როსი 75), დი ვაიო
გაფრთხილება: მონაკო, დელ გროსო, ფრეზი, ძანეტი, ბოლიჩი, გრასადონია
მსაჯი: როდომონტი

**ინტერი 1:3 პარმა**

1:0 რონალდო (24), 1:1 სტანიჩი (47), 1:2 ასპრილია (48), 1:3 ფუზერი (62)
ინტერი: ფრეი, ბერგომი, სიმიჩი, კოლონეზე (ვესტი 77), ხ. ძანეტი, კოე, სიმეონე, ვინტერი, რ. ბაჯო, რონალდო, ვენტოლა (ჯორკაეფი 59)
პარმა: ბუფონი, ტურამი, სენსინი, კანავარო, სტანიჩი (აპოლონი 78), დ. ბაჯო, ბოგოსიანი, ვანოლი, კიეზა (ასპრილია 11), ფიორე (ფუზერი 46), ბალბო
გაფრთხილება: ვინტერი, კოლონეზე, კანავარო, რ. ბაჯო, ძანეტი
მსაჯი: რაკალბუტო

**პერუჯა 0:1 ბარი**

0:1 ოსმანოვსკი (30)
პერუჯა: მაცანტინი, ილარიო (ტენტონი 78), მატრეკანო, რიპა, კოლონელო, პეტრაკი, ოლივე, ტედესკო (ლეჰკოსუო 53), რაპაიჩი, ნაკატა, კავიედესი (ბუკი 56)
ბარი: მანჩინი, ნექროიზი (მადსენი 59), გარსია, ინოჩენტი, დე აშენტისი, ძამბროტა, დ. ანდერსონი, მარკოლინი (ჯორჯეტი 53), ბრესანი, მასინგა, ოსმანოვსკი (გერერო 81)
გაფრთხილება: ილარიო, დე აშენტისი, ინოჩენტი, ოლივე
გაძევება: მატრეკანო (91)
მსაჯი: ტომბოლინი

REUTERS ტურინიდან



იუვენტუსი — მილანი 0:2. მილანელი ბირჰოფი ტურინელ მონტეროს, კონტეს და ანრის შორის

ლიბერიელმა ჟორჟ ვეამ „იუვენტუსს“ მეორე ტაიმში ორი გოლი გაუტანა — „მილანმა“ მოიგო 2:0. ამრიგად, ალბერტო ძაკერონის გუნდი, „მილანი“, პირველობის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე ისევ ინარჩუნებს სკუდეტოს მოპოვების შანსს. მილანელი შავ-წითლები ლიდერს, რომის „ლაციოს“ კვლავ ერთი ქულით ჩამორჩებიან. „ლაციომ“ „ბოლონიას“ იმავე ანგარიშით, 2:0 სძლია.

ტურინის „სტადიო დელე ალპიზე“ თამაში, შესვენების შემდეგ, წამების განახლებული იყო, როდესაც ვეამ ანგარიში გახსნა. შემდეგ ლიბერიელმა მეორეც შეაგდო და სტატისტიკის მოყვარულებს ჩაანიშნინა, რომ „მილანმა“ „იუვენტუსს“ 1994 წლის მარტის შემდეგ პირველად მოუგო მისსავე სტადიონზე. თუმცა ეს მეორეხარისხოვანი ამბავია. უმთავრესი, ბუნებრივია, ის არის, შესძლებს თუ ვერა „მილანი“ „ლაციოს“ გადასწრებას და ისტორიაში მეთექვსმეტე სკუდეტოს დასაკუთრებას.

ვისთან რჩება სათამაშო ძაკერონის ფეხბურთელებს? გავარდნილ ანუ სუსტ და აბსოლუტურად უსტიმულო „ემპოლისა“ და სერია A-ში სულთმობრძავ ანუ სუსტ და ძალიან შემართებულ „პერუჯასთან“. „ლაციოს“ კი გაცილებით სერიოზული მეტოქეების წინააღმდეგობა ელის. რომაელები ჯერ „ფიორენტინას“ ხვდებიან, მერე „პარმას“.

„ლაციოსა“ და „ფიორენტინას“ შეხვედრა უმნიშვნელოვანესია, რადგან მეოთხე ადგილზე მყოფ ფლორენციელებს მეხუთეზე მყოფი უდინელებისგან სამად სამი ქულა აშორებთ და ფეხი რომ დაუცდეთ, დაკარგავენ პოზიციას, რომელიც მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ავტომატური გასვლის უფლებას იძლევა. რაც შეეხება „ლაციოს“ ბოლო თამაშს „პარმასთან“, სავარაუდოა, რომ იმ დროისთვის პარმელებს ოთხეულში ადგილი დაბევებული ექნებათ და რომაელებს გულით ველარ ეთამაშებიან.

„ჩვენ, ახლა, თვალი უნდა დავხუჭოთ და არც კი ვიკითხოთ, რა ხდება სხვა სტადიონებზე. იმედი მაქვს, ორი კვირის მერე ისევ რომ გამოვიხედავთ, საკუთარ თავს ჩემპიონის კვარცხლბეკზე აღმოვაჩენთ“ — განაცხადა ძაკერონიმ, რომელმაც თუ პირველსავე სეზონში შეძლო „მილანის“ გაჩემპიონება, ბუნებრივია, როგორც მწვრთნელს, დიდი მომავალი და პატივი ელის.

ტურინში მილანელებმა უპირატესად თავდაცვა და კონტრშეტევათა იმედად ყოფნა ამჯობინეს. იღბალიც მათ მხარეს აღმოჩნდა: პირველ ტაიმში ფილიპო ინძაგიმ და ალესიო ტაკინარდიმ ხელსაყრელი მომენტები გაუშვეს ხელიდან. გარდა ამისა, „იუვენტუსი“ უძლიერესი შემადგენლობით არ გახლდათ მოედანზე, მისი ფრანგი ვარსკვლავი, ზინედინ ზიდანი კი ისეა დაშავებული, რომ ვერც დარჩენილ ორ შეხვედრაში ითამაშებს.

პირველი ტაიმი „ლაციომაც“ ნერვიულად ჩაატარა და გოლი ვერ გაიტანა, მეორეში კი საკუთარ თავს და „ბოლონიის“ წინააღმდეგობას სძლია, რაც მთავა[illegible] ალმეიდასა და კრისტიან ვიერის გოლებში [illegible], რომ [illegible] ალმეიდამ სერია A-ში პირველი გოლი გაიტანა. მისი 25 მეტრიდან დარტყმული ბურთი ბოლონიელი მეკარისთვის, ფრანჩესკო ანტონიოლისთვის აუღებელი გამოდგა.

ალმეიდასა და ვიერის გოლებს შორის დაახლოებით 40 წუთი იყო, რომლის განმავლობაში „ბოლონია“ არ დანებებულა და ერთ ეპიზოდში, საფინალო სასტვენამდე ასე ათი წუთით ადრე, კინაღამ გაათანაბრა კიდეც ანგარიში — რუსმა იგორ სიმუტენკოვმა ბურთი ძელს გაარტყა.

ზემოთ „ფიორენტინა“ ვახსენეთ. ვთქვით, რომ ჯოვანი ტრაპატონის გუნდს ბოლო ორ ტურში დიდი ბრძოლები ელის, რათა ოთხეულში ადგილი არ დაკარგოს. აი, ფლორენციელებს გენუაში, ბოლოსწინა ადგილზე მყოფ „სამპდორიასთან“ რომ არ წაეგოთ, ახლა სხვანაირად ექნებოდათ საქმე.

ტრაპატონის ქვეშევრდომები ძალიან ღელავენ. შედეგად, პირველ ტაიმში სანდრო კოისმა, მსაჯის დამატებულ წუთებში კი პასკუალე პადალინომ მიიღო წითელი ბარათი. გენუელთაგან ორი გოლი ვინჩენცო მონტელამ გაიტანა, მაგრამ გამარჯვებამ მაინც ვერ გაიყვანა გუნდი უსაფრთხო ადგილას.

„პარმამ“ „სან სიროზე“ „ინტერს“ მოუგო. შეგახსენებთ, რომ ამ შედეგს ბევრი წინასწარმეტყველებდა. საქმე ისაა, რომ თუ „პარმა“ ოთხეულში ადგილს დაიმკვიდრებს, ავტომატურად გავა ჩემპიონთა ლიგაში, ხოლო უეფას თასის მოპოვებულ საგზურს („პარმა“ იტალიის თასის მფლობელია) თასის ნახევარფინალისტებს, „ინტერსა“ და „ბოლონიას“ შორის გამარჯვებულს გადაულოცავს. როგორც ჩანს, „ინტერმა“ ეს გზა უფრო იოლად მიიჩნია, ვიდრე მეშვიდე ადგილისთვის ბრძოლა.

**პაპუნა ძიდია**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ლაციო | 32 | 19 | 8 | 5 | 62:29 | 33 | 65 | 16 | 11 | 4 | 1 | 39:13 | 26 | 37 | 16 | 8 | 4 | 4 | 23:16 | 7 | 28 |
| 2 | მილანი | 32 | 18 | 10 | 4 | 53:33 | 20 | 64 | 16 | 12 | 3 | 1 | 31:17 | 14 | 39 | 16 | 6 | 7 | 3 | 22:16 | 6 | 25 |
| 3 | პარმა | 32 | 15 | 10 | 7 | 54:33 | 21 | 55 | 16 | 9 | 6 | 1 | 27:12 | 15 | 33 | 16 | 6 | 4 | 6 | 27:21 | 6 | 22 |
| 4 | ფიორენტინა | 32 | 16 | 6 | 10 | 53:39 | 14 | 54 | 16 | 13 | 3 | 0 | 35:9 | 26 | 42 | 16 | 3 | 3 | 10 | 18:30 | -12 | 12 |
| 5 | უდინეზე | 32 | 15 | 6 | 11 | 48:49 | -1 | 51 | 16 | 9 | 4 | 3 | 24:18 | 6 | 31 | 16 | 6 | 2 | 8 | 24:30 | -6 | 20 |
| 6 | რომა | 32 | 13 | 9 | 10 | 62:47 | 15 | 48 | 16 | 12 | 3 | 1 | 40:15 | 25 | 39 | 16 | 1 | 6 | 9 | 22:32 | -10 | 9 |
| 7 | იუვენტუსი | 32 | 13 | 9 | 10 | 38:34 | 4 | 48 | 16 | 9 | 4 | 3 | 22:14 | 8 | 31 | 16 | 4 | 5 | 7 | 16:20 | -4 | 17 |
| 8 | ინტერი | 32 | 12 | 7 | 13 | 55:50 | 5 | 43 | 16 | 9 | 3 | 4 | 40:23 | 17 | 30 | 16 | 3 | 4 | 9 | 15:27 | -12 | 13 |
| 9 | ბოლონია | 32 | 11 | 10 | 11 | 41:42 | -1 | 43 | 16 | 8 | 4 | 4 | 29:18 | 11 | 28 | 16 | 3 | 6 | 7 | 12:24 | -12 | 15 |
| 10 | ბარი | 32 | 9 | 15 | 8 | 39:42 | -3 | 42 | 16 | 6 | 8 | 2 | 17:14 | 3 | 26 | 16 | 3 | 7 | 6 | 22:28 | -6 | 16 |
| 11 | კალიარი | 32 | 11 | 7 | 14 | 47:46 | 1 | 40 | 16 | 9 | 4 | 3 | 32:18 | 14 | 31 | 16 | 2 | 3 | 11 | 15:28 | -13 | 9 |
| 12 | ვენეცია | 32 | 10 | 9 | 13 | 33:41 | -8 | 39 | 16 | 8 | 5 | 3 | 20:13 | 7 | 28 | 16 | 2 | 4 | 10 | 13:28 | -15 | 10 |
| 13 | პიაჩენცა | 32 | 10 | 7 | 15 | 46:49 | -3 | 37 | 16 | 9 | 4 | 3 | 33:19 | 14 | 31 | 16 | 1 | 3 | 12 | 13:30 | -17 | 6 |
| 14 | პერუჯა | 32 | 10 | 6 | 16 | 40:58 | -18 | 36 | 16 | 10 | 3 | 3 | 29:19 | 10 | 33 | 16 | 0 | 3 | 13 | 11:39 | -28 | 3 |
| 15 | სალერნიტანა | 32 | 9 | 7 | 16 | 34:49 | -15 | 34 | 16 | 8 | 4 | 4 | 24:15 | 9 | 28 | 16 | 1 | 3 | 12 | 10:34 | -24 | 6 |
| 16 | ვიჩენცა | 32 | 8 | 9 | 15 | 25:41 | -16 | 33 | 16 | 7 | 4 | 5 | 17:16 | 1 | 25 | 16 | 1 | 5 | 10 | 8:25 | -17 | 8 |
| 17 | სამპდორია | 32 | 8 | 9 | 15 | 35:53 | -18 | 33 | 16 | 7 | 6 | 3 | 24:15 | 9 | 27 | 16 | 1 | 3 | 12 | 11:37 | -26 | 6 |
| 18 | ემპოლი * | 32 | 4 | 10 | 18 | 25:56 | -31 | 20 | 16 | 4 | 5 | 7 | 16:22 | -6 | 17 | 16 | 0 | 5 | 11 | 9:34 | -25 | 5 |

*„ემპოლის“ დაკლებული აქვს ორი ქულა

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 20 |
| ამოროზო (უდინეზე) | 19 |
| დელვეკიო (რომა) | 17 |
| კრესპო (პარმა) | 16 |
| ბირჰოფი (მილანი) | 16 |

**XXXIII ტური**
16 მაისი

რომა - კალიარი (3:4)
მილანი - ემპოლი (1:1)
ვენეცია - ინტერი (2:6)
ბარი - იუვენტუსი (1:1)
ფიორენტინა - ლაციო (0:2)
უდინეზე - პერუჯა (3:1)
პარმა - პიაჩენცა (6:3)
ბოლონია - სამპდორია (1:1)
სალერნიტანა - ვიჩენცა (0:1)

## სერია B

### XXXIII ტური

**რეჯანა 1:3 ჯენოა**
0:1 რუოტოლო (12), 1:1 მორელო (50), 1:2 ფრანკიოზო (75), 1:3 რუოტოლო (92)

**ვერონა 0:0 ტორინო**

**ტრევიზო 1:0 პესკარა**
1:0 ბორტოლუცი (13)

**რეჯინა 0:0 ატალანტა**

**რავენა 1:1 ნაპოლი**
1:0 დელანო (2), 1:1 მაგონი (91)

**ლუკეზე 1:1 კიევო**
0:1 ფრანკი (6), 1:1 ტარანტინო (28)

**ფ. ანდრია 1:1 ჩეზენა**
0:1 ბონაცოლი (32), 1:1 კორადი (59)

**კრემონეზე 1:1 მონცა**
0:1 დავერზა (47), 1:1 კავერძანი (93)

**ბრეშა 2:0 ტერნანა**
1:0 ფაბრისი (61ს.კ.), 2:0 უბნერი (69)

**ლეჩე 2:0 კოზენცა**
1:0, 2:0 კამპოლონგი (67, 78)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერონა | 33 | 16 | 11 | 6 | 55:31 | 59 |
| ტორინო | 33 | 17 | 7 | 9 | 50:30 | 58 |
| ლეჩე | 33 | 16 | 8 | 9 | 41:34 | 56 |
| ატალანტა | 33 | 13 | 13 | 5 | 41:26 | 54 |
| ტრევიზო | 33 | 14 | 12 | 7 | 46:33 | 54 |
| რეჯინა | 33 | 13 | 14 | 6 | 38:29 | 53 |
| პესკარა | 33 | 15 | 8 | 10 | 43:36 | 53 |
| ბრეშა | 33 | 13 | 13 | 7 | 38:27 | 52 |
| ნაპოლი | 33 | 11 | 14 | 8 | 34:29 | 47 |
| რავენა | 33 | 10 | 12 | 11 | 38:44 | 42 |
| ჯენოა | 33 | 10 | 11 | 12 | 47:47 | 41 |
| მონცა | 33 | 9 | 13 | 11 | 30:34 | 40 |
| კიევო | 33 | 9 | 13 | 11 | 33:38 | 40 |
| ჩეზენა | 33 | 8 | 13 | 12 | 30:35 | 37 |
| ფ. ანდრია | 33 | 9 | 10 | 14 | 29:41 | 37 |
| კოზენცა | 33 | 9 | 9 | 15 | 34:47 | 36 |
| ტერნანა | 33 | 7 | 14 | 12 | 30:44 | 35 |
| ლუკეზე | 33 | 7 | 11 | 15 | 29:36 | 32 |
| რეჯანა | 33 | 5 | 13 | 15 | 31:44 | 28 |
| კრემონეზე | 33 | 3 | 11 | 19 | 29:61 | 20 |

# ჩავისუნთქოთ ყველამ ერთად

## ესპანეთი

### XXXIII ტური

**ატლეტიკო 2:3 ბეტისი**

1:0 ხუან გონსალესი (23), 2:0 ბარახა (30), 2:1 ოლი (64), 2:2, 2:3 ფინიდი (72პ, 77)
ატლეტიკო: მოლინა, შამოტი, ტონი, სანტი, სერენა (ტევენე 82), ჟუნინიო, რობერტო (ვენტურინი 70), მენა, ბარახა, ხუან გონსალესი (სოლარი 63), ხოსე მარი
ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, მერინო, ოლი, ფილიპესკუ, ალექსისი, კანიასი, ბენხამინი, ფერნანდო, ფინიდი, დენილსონი
გაფრთხილება: ტონი, სანტი, ჟუნინიო, მენა
გაძევება: სანტი (71)
მსაჯი: კარმონა მენდესი

**ვილიარეალი 2:3 ბარსელონა**

1:0 ალფარო (26), 1:1 კლუივერტი (46), 1:2 კოკუ (56), 2:2 მოიზესი (72), 2:3 რივალდო (78)
ვილიარეალი: ლუის პასკუალი, პალოპი, პასკუალი (ვალტერ გაიტანი 69), ტელესი, ტაშევსკი, აიტორ არეგი (დიასი 67), გარსია სანხუანი, რობერტო, ალფარო (კრისტიანსენი 80), ალბერტო, მოიზესი
ბარსელონა: ჰესპი, რაიციგერი, აბელარდო, სერხი, ფ. დე ბური, გვარდიოლა, სელადესი (რ. დე ბური 74), კოკუ, ზენდენი, რივალდო, კლუივერტი
გაფრთხილება: პალოპი, ტელესი, ტაშევსკი, აიტორ არეგი, გარსია სანხუანი, ალფარო, ალბერტო, რაიციგერი, აბელარდო, სერხი
მსაჯი: ესკინას ტორესი

**ოვიედო 1:0 ესტრემადურა**

1:0 დუბოვსკი (88)
ოვიედო: ესტებანი, რაბანიროვი, მორენო, ივან იგლესიასი (ივან ანია 60), პომპეი (ფაბიო პინტუ 70), ბანიო, პაულო ბენტო, ესკურსა, ნადი, დელი ვალდესი, დუბოვსკი
ესტრემადურა: გასპერჩიჩი, ფელიქსი, კალა, სოტო (პოლი 66), ოსკარი, ბელენგერი, დავიდი, ვიოდო (პედრო ხოსე 33), ტონი ველამასანი, ესპოზიტო (ხუანიტო 81), გაბრიჩი
გაფრთხილება: რაბანიროვი, ივან იგლესიასი, ბანიო, ესპოზიტო
მსაჯი: იტურალდე გონსალესი

**ალავესი 2:0 ვალიადოლიდი**

1:0, 2:0 გერარდი (8, 85)
ალავესი: ტიტო, კარმონა, ბელსუე, ბერუე, იბონ ბეგონია, პაბლო გომესი, გერარდი (ივან როჩა 87), დესიო, სივორი, მანიო (ვიტამინა სანჩესი 64), სალინასი (კანაბალი 65)
ვალიადოლიდი: სეზარი, მარკოსი, სანტამარია, პენია, ტორეს გომესი, ჩემა (ემილიო 73), ტურიელი, აროლდ ლოსანო, დუტუელი, ალბერტო (პეტერნაკი 67), კლიმოვიჩი
გაფრთხილება: იბონ ბეგონია, ვიტამინა სანჩესი, სანტამარია, აროლდ ლოსანო
მსაჯი: ბრიტო არსეო

**სალამანკა 0:1 ვალენსია**

0:1 ვლაოვიჩი (23)
სალამანკა: სტელეა, კორინო, პავლიჩიჩი, ლანა, ტაირა, ედუ ალონსო, როხერიო (ლუნარი 78), ჯოვანელა, კარდეტი (სილვანი 65), ველისკა, კასარტელი
ვალენსია: კანისარესი, ჯუკიჩი, ბიორკლუნდი (როში 46), კარბონი, ანგლომა, ხუანფრანი (შვარცი 52), მენდიეტა, ფარინოსი, მიია, კ. ლოპესი, ვლაოვიჩი (ანგულო 65)
გაფრთხილება: პავლიჩიჩი, ტაირა, როხერიო, ხუანფრანი, ანგულო
მსაჯი: ჯაპონ სევილია

**ტენერიფე 2:2 რასინგი**

1:0 მისტა (13), 1:1 სალვა (60), 1:2 ამავისკა (68), 2:2 პიერი (89)
ტენერიფე: უნსუე, ალექსისი, ბალესტეროსი, ხავი ლოპესი, იოკანოვიჩი, დანი, ჩანო, ემერსონი, ხუანელე (პინილია 46), მისტა, მაკაი (პიერი 67)
რასინგი: გროდასი, მელბერგი, არსენო, სიეტესი, ტაისი, ისმაელი, ვიქტორი, ამავისკა (ვივარ დორადო 78), სალვა, მაგალანეში (შუსტიკოვი 46), მუნიტისი
გაფრთხილება: ალექსისი, იოკანოვიჩი, ჩანო, პინილია, მისტა, არსენო, სიეტესი, სალვა
გაძევება: ჩანო (52), დანი (71)
მსაჯი: დუდენ იბანესი

**მალიორკა 1:0 სარაგოსა**

1:0 ბიაჯინი (42პ)
მალიორკა: როა, მ. სოლერი, მარსელინო, ოლაისოლა, იბაგასი (ფერნანდო ნინიო 73), სტანკოვიჩი, ლორენი, ფ. სოლერი (პაუნოვიჩი 25), ენგონგა, დანი, ბიაჯინი (კარერასი 83)
სარაგოსა: ხუანმი, აგუადო, პაბლო (იორდი 73), სუნდგრენი, პაკო, გარიტანო (არაგონი 70), ხოსე იგნასიო (მარკოს ვალესი 57), კილი გონსალესი, ტორო აკუნია, მილოშევიჩი, გ. ლოპესი
გაფრთხილება: როა, მ. სოლერი, მარსელინო, ოლაისოლა, აგუადო, ხოსე იგნასიო, მილოშევიჩი, გ. ლოპესი
მსაჯი: გარსია არანდა

**ესპანიოლი 3:0 სელტა**

1:0 დე ლუკასი (59), 2:0 გალკა (74პ), 3:0 ტამუდო (77)
ესპანიოლი: ტონი, კრისტობალი, ნანდო, პოჩეტინიო, სერხიო, გალკა, არტეაგა, კაპდევილა, დე ლუკასი (პაჩეტა 79), დარიო სილვა (ბენიტესი 76), ტამუდო (კიკე მარტინი 83)
სელტა: დუტრუელი, მიჩელ სალგადო, კასერესი, ოსკარ ვალესი (ეგენი 33), ჯოროვიჩი, ტომასი (კრუიფი 65), კარპინი, მოსტოვოი (კაირესი 87), მაკელელე, რევივო, სანჩესი
გაფრთხილება: არტეაგა, ეგენი, ჯოროვიჩი, კარპინი, რევივო
მსაჯი: იტურალდე გონსალესი

**დეპორტივო 1:1 ბილბაო**

0:1 ი. გერერო (25), 1:1 დონატო (80)
დეპორტივო: სონგო, რომერო, ნაიბეტი (ბონისელი 63), მაურო სილვა, ფრანი, სკალონი, კონსეისაო (ბასირი 57), ზიანი (მაჯი 73), დონატო, პაულეტა, ტურუ ფლორესი
ბილბაო: ი. ეჩებერია, ალკორტა, ფელიპე, ლარასაბალი, ლაკრუსი, ურუტია, ი. გერერო (ალკისა 73), ხოსე მარი, ხავი გონსალესი, ესკუერო (ურსაისი 77), ხ. ეჩებერია (იესტე 57)
გაფრთხილება: ნაიბეტი, სკალონი, კონსეისაო, ფელიპე, ურუტია, ი. გერერო, ხ. ეჩებერია
გაძევება: ფელიპე (69), ბონისელი (81)
მსაჯი: პერეს ბურული

**სოსიედადი 3:2 რეალი**

1:0 იდიაკესი (31), 2:0 კოვაჩევიჩი (47პ), 2:1 გუტი (49), 2:2 სავიო (52პ), 3:2 კოვაჩევიჩი (74)
სოსიედადი: ალბერტო, არანსაბალი, გომესი, ლორენი, პიკაბეა, ლოპეს რეკარტე, დე პედრო, არამბურუ (ანტია 80), სა პინტუ (ალდეონდო 70), კოვაჩევიჩი, იდიაკესი (ფუენტესი 89)
რეალი: ილგნერი, პანუჩი, რობერტო კარლოსი, სანჩისი (ტოტი 76), ივან კამპო, რედონდო, ზეედორფი, იერო (კარანკა 49), მიატოვიჩი, სავიო, მორიენტესი (გუტი 42)
გაფრთხილება: ლორენი, ლოპეს რეკარტე, არამბურუ, სა პინტუ, იდიაკესი, პანუჩი
მსაჯი: პრადოს გარსია

ჩაიარა 33-ე ტურმაც. მაინცდამაინც დიდი ცვლილებები მას არ მოუტანია, თუმცა პრიზიორობისთვის მებრძოლი „დიდი ხუთეულის" რამდენიმე წევრისთვის ცუდი გამოდგა.

ცუდი გამოდგა ტური ვიგოს „სელტასთვის", რომელიც ბარსელონაში, „ესტადიო ოლიმპიკ დე მონხუიკზე" 36-ედ ესტუმრა „ესპანიოლს" და 26-ედ წააგო.

წამგებიანი გამოდგა ტური სამეფო კლუბისთვისაც. მადრიდის „რეალი" ულამაზეს „ესტადიო ანოეტაზე" 55-ედ დაუპირისპირდა სან სებასტიანის „სოსიედადს" და მეჩვიდმეტედ დამარცხდა.

ცუდი, თუმცა ზემოხსენებულ ორ კლუბთან შედარებით, დადებითი გამოდგა 33-ე ტურის მატჩი ლა კორუნიას „დეპორტივოსთვის" ზღვისპირელები თითქმის გადაჭედილ „ესტადიო რიასორზე" ბასკურ „ბილბაოს" მასპინძლობდნენ, მაგრამ ლუის ფერნანდესის კლუბის წინააღმდეგობა ვერ დაძლიეს. ეგ კი არა, ერთი ხანობა აგებდნენ კიდეც.

„დიდი ხუთეულის" კიდევ ორმა წევრმა — „მალიორკამ" და „ვალენსიამ" თავიანთი შეხვედრები მოიგეს, კონკურენტთა წაფორხილებით ისარგებლეს და შესაბამისად, სამი და ერთქულიანი მარაგი შეიქმნეს.

„დიდი ხუთეულის" ლიდერი, როგორც მოგახსენეთ, „მალიორკაა", თუმცა იგი გვარიანად ჩამორჩება „ბარსელონას". ლიდერსა და მეორეადგილოსანს შორის სხვაობა ცხრა ქულაა, პირველობის დასრულებამდე კი მხოლოდ ხუთი ტურია დარჩენილი.

კატალონიელები სტუმრად ეთამაშებოდნენ „ვილიარეალს". „ესტადიოს ელ მადრიგალი", რომელიც მხოლოდ 12 ათას გულშემატკივარს იტევს, გადაჭედილიყო. პატარა სარბიელის ტრიბუნებზე შეკრებილმა ქომაგებმა თვალსასეირო ორთაბრძოლა იხილეს, რომელიც, მათდა სამწუხაროდ, მასპინძელთა მარცხით დასრულდა.

— რივალდო შესანიშნავი ფეხბურთელია. დარწმუნებული ვარ, თუ მან ასე გააგრძელა, ევროპისა და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელებენ — ეს სიტყვები ლუის ვან გაალის, მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მწვრთნელის მიერაა თქმული.

რივალდომ, იგივე ვიტორ ბარბოსა ფერეირამ, „ვილიარეალთან" კვლავ გაიბრწყინა — თავად ხომ გაიტანა და „ბარსელონას" პირველი ორი გოლიც მან შექმნა. გარდა ამისა, პატრიკ კლუივერტს ორჯერ შესანიშნავად მიაწოდა ბურთი, თუმც ჰოლანდიელი სცოდავდა. რაც შეეხება რივალდოს 21-ე გოლს, იგი ულამაზესი და ამასთანავე გამარჯვების მომტანი აღმოჩნდა.

დარჩენილ ხუთ ტურში „ბარსელონას" განრიგი ასეთია: შინ „ვალიადოლიდთან", სტუმრად „ალავესთან" და „ბილბაოსთან", შინ „ბეტისთან" და სულ ბოლო ტურში სტუმრად „სარაგოსასთან".

მეორეადგილოსანი „მალიორკა" „სარაგოსას" მასპინძლობდა. ესპანეთის სუპერთასის მფლობელთა პრეზიდენტმა გუილემ რეინესმა შეხვედრის წინა დღეს პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც კლუბის მომავალზე ისაუბრა და კიდევ ერთხელ, ამჯერად უკვე ოფიციალურად განაცხადა, რომ მეორე ადგილზე გასვლის შემთხვევაში ფეხბურთელები სოლიდურ პრემიებს მიიღებდნენ.

რამდენიმე ათასი დოლარი ფეხბურთელებს რომ არ აწყენთ, ეს თავადაც კარგად იციან და მოგებით მიზნისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს. „მალიორკას" მიზანი კი წლეულს მეორე ადგილია. გუნდს მეტოქის ძლევა გაუჭირდა — სანამ ექსატლეტიკოელმა ლეონარდო ანხელ ბიაჯინიმ პენალტი არ გაიტანა, მანამ მასპინძლები მხოლოდ ქულას სჯერდებოდნენ.

რაც შეეხება „მალიორკას" დარჩენილ შეხვედრებს, კალენდარი ასეთია: სტუმრად „რასინგთან", შინ „ესტრემადურასთან", სტუმრად „რეალთან", შინ „სელტასთან" და სტუმრად „ვალენსიასთან". ალბათ, თავადაც შეამჩნევდით, რომ „მალიორკას" პრიზიორობის ბედი ძირითადად სწორედ ბოლო სამ შეხვედრაში გაირკვევა.

მესამე ადგილზე იტალიელი მწვრთნელის კლაუდიო რანიერის „ვალენსიაა". ესპანეთის ოთხგზის ჩემპიონი კლუბი „სალამანკას" სტუმრობდა. ერთი რამ თამამად შეიძლება ითქვას — სტუმრები დამხვდურთ აშკარად სჯობდნენ, თუმცა მხოლოდ მინიმალური სხვაობით მოიგეს.

„ვალენსიას" პრეზიდენტი პედრო კორტესი, რამდენიმე კოლეგის დარად, გუნდს პრიზიორთა შორის მოხვედრის შემთხვევაში პრემიებს შეჰპირდა. გარდა ამისა, პრეზიდენტმა დასძინა, რომ „ვალენსიას" ხელმძღვანელობა ხორვატ გორან ვლაოვიჩთან, არგენტინელ კლაუდიო ლოპესთან და რუმინელ ადრიან ილიესთან ახალ კონტრაქტების გაფორმებას აპირებს.

აქვე „ვალენსიას" დარჩენილი თამაშების კალენდარსაც შემოგთავაზებთ: შინ „ესპანიოლთან", სტუმრად „სოსიედადთან", შინ „ოვიედოსთან", სტუმრად „ტენერიფესთან" და შინ „მალიორკასთან". ცნობისთვის: ესპანეთის ჩემპიონატების ისტორიის მანძილზე „ვალენსიას" 11-ჯერ უმასპინძლია „მალიორკასთვის" და არც ერთხელ არ დამარცხებულა.

მეხუთე ადგილზეა „რეალი". სამეფო კლუბს ჩემპიონატის მიწურულს გვარიანი პრობლემები შეექმნა, რაც განხეთქილების პირველი ნიშნებია. გუნდმა, როგორც იცით, ხორვატი თავდამსხმელი დავორ შუკერი გააგდო. სოსიედადში წაგებული თამაშის შემდეგ მწვრთნელის, ჯონ ტოშაკის მისამართით ხმა აიმაღლა „რეალის" მეორე ხორვატმა რობერტ იარნიმ, ხოლო ჰოლანდიელი კლარენს ზეედორფის სეზონის ბოლოს კლუბიდან წასვლის საკითხი უკვე გადაწყვეტილი ყოფილა.

„რეალის" პრეზიდენტმა ლორენსო სანსმა ორიოდ დღის წინ უარყო ხმები, თითქოსდა კლუბი რონალდოს და ზინედინ ზიდანის შეძენას აპირებს. სანსის თქმით, ასეთი დონის ფეხბურთელების ყიდვის საშუალება „რეალს" დღესდღეობით არ აქვს.

და ბოლოს, ლაკორუნიელები. მათ ბილბაოელებთან შეხვედრაზე ერთს, მაგრამ უმთავრესს გეტყვით — ლაკორუნიელმა დონატომ უძლიერესად გაისროლა და გააყაიმა. „ბილბაოს" მეკარე იმანოლ ეჩებერიამ დონატოს მიერ, ცენტრსიქიდან ანუ „დეპორტივოს" ნახევრიდან დარტყმული ბურთი ვერ მოიგერია.

**ლაშა გოდუაძე**


REUTERS

ვილიარეალი — ბარსელონა 2:3. ბარსელონელთა ჰოლანდიელმა ფილიპ კოკუმ მიმდინარე ჩემპიონატში მეათე გოლი გაიტანა

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბარსელონა | 33 | 21 | 6 | 6 | 75:37 | 38 | 69 | 17 | 12 | 2 | 3 | 47:21 | 26 | 38 | 16 | 9 | 4 | 3 | 28:16 | 12 | 31 |
| 2 | მალიორკა | 33 | 18 | 6 | 9 | 43:25 | 18 | 60 | 17 | 12 | 3 | 2 | 26:8 | 18 | 39 | 16 | 6 | 3 | 7 | 17:17 | 0 | 21 |
| 3 | ვალენსია | 33 | 17 | 7 | 9 | 53:33 | 20 | 58 | 16 | 9 | 5 | 2 | 31:12 | 19 | 32 | 17 | 8 | 2 | 7 | 22:21 | 1 | 26 |
| 4 | სელტა | 33 | 15 | 12 | 6 | 62:35 | 27 | 57 | 16 | 11 | 5 | 0 | 42:12 | 30 | 38 | 17 | 4 | 7 | 6 | 20:23 | -3 | 19 |
| 5 | რეალი | 33 | 17 | 5 | 11 | 66:54 | 12 | 56 | 16 | 11 | 2 | 3 | 39:21 | 18 | 35 | 17 | 6 | 3 | 8 | 27:33 | -6 | 21 |
| 6 | დეპორტივო | 33 | 16 | 9 | 8 | 47:37 | 10 | 55 | 17 | 10 | 5 | 2 | 30:13 | 17 | 35 | 16 | 5 | 5 | 6 | 17:24 | -7 | 20 |
| 7 | სოსიედადი | 33 | 13 | 10 | 10 | 41:36 | 5 | 49 | 17 | 11 | 4 | 2 | 30:14 | 16 | 37 | 16 | 2 | 6 | 8 | 11:22 | -11 | 15 |
| 8 | ბილბაო | 33 | 13 | 9 | 11 | 38:43 | -5 | 48 | 16 | 8 | 5 | 3 | 22:14 | 8 | 29 | 17 | 5 | 4 | 8 | 16:29 | -13 | 19 |
| 9 | სარაგოსა | 33 | 13 | 8 | 12 | 47:43 | 4 | 47 | 16 | 8 | 3 | 5 | 27:21 | 6 | 27 | 17 | 5 | 5 | 7 | 20:22 | -2 | 20 |
| 10 | ესპანიოლი | 33 | 11 | 13 | 9 | 36:35 | 1 | 46 | 16 | 6 | 8 | 2 | 18:13 | 5 | 26 | 17 | 5 | 5 | 7 | 18:22 | -4 | 20 |
| 11 | ვალიადოლიდი | 33 | 12 | 7 | 14 | 31:37 | -6 | 43 | 17 | 10 | 3 | 4 | 21:12 | 9 | 33 | 16 | 2 | 4 | 10 | 10:25 | -15 | 15 |
| 12 | ბეტისი | 33 | 12 | 7 | 14 | 39:44 | -5 | 43 | 16 | 7 | 3 | 6 | 20:19 | 1 | 24 | 17 | 5 | 4 | 8 | 19:25 | -6 | 19 |
| 13 | ოვიედო | 33 | 10 | 12 | 11 | 35:45 | -10 | 42 | 17 | 7 | 5 | 5 | 17:15 | 2 | 26 | 16 | 3 | 7 | 6 | 18:30 | -12 | 16 |
| 14 | ატლეტიკო | 33 | 10 | 9 | 14 | 48:44 | 4 | 39 | 17 | 7 | 6 | 4 | 33:16 | 17 | 27 | 16 | 3 | 3 | 10 | 15:28 | -13 | 12 |
| 15 | რასინგი | 33 | 9 | 10 | 14 | 38:46 | -8 | 37 | 16 | 5 | 4 | 7 | 20:20 | 0 | 19 | 17 | 4 | 6 | 7 | 18:26 | -8 | 18 |
| 16 | ალავესი | 33 | 10 | 7 | 16 | 33:49 | -16 | 37 | 17 | 9 | 4 | 4 | 22:12 | 10 | 31 | 16 | 1 | 3 | 12 | 11:37 | -26 | 6 |
| 17 | ვილიარეალი | 33 | 7 | 11 | 15 | 39:51 | -12 | 32 | 17 | 5 | 6 | 6 | 23:23 | 0 | 21 | 16 | 2 | 5 | 9 | 16:28 | -12 | 11 |
| 18 | ესტრემადურა | 33 | 7 | 10 | 16 | 21:47 | -26 | 31 | 16 | 6 | 3 | 7 | 12:19 | -7 | 21 | 17 | 1 | 7 | 9 | 9:28 | -19 | 10 |
| 19 | ტენერიფე | 33 | 5 | 13 | 15 | 34:54 | -20 | 28 | 17 | 3 | 9 | 5 | 20:24 | -4 | 18 | 16 | 2 | 4 | 10 | 14:30 | -16 | 15 |
| 20 | სალამანკა | 33 | 6 | 6 | 21 | 25:56 | -31 | 24 | 16 | 6 | 4 | 6 | 20:22 | -2 | 22 | 17 | 0 | 2 | 15 | 5:34 | -29 | 2 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| რაული (რეალი) | 22 |
| რივალდო (ბარსელონა) | 21 |
| კ. ლოპესი (ვალენსია) | 17 |
| კოვაჩევიჩი (სოსიედადი) | 16 |

**XXXIV ტური**

16 მაისი

ბარსელონა - ვალიადოლიდი (1:0)
ბილბაო - ვილიარეალი (1:0)
ბეტისი - დეპორტივო (2:2)
სარაგოსა - ატლეტიკო (0:0)
რასინგი - მალიორკა (1:1)
ესტრემადურა - ტენერიფე (1:1)
რეალი - ოვიედო (0:1)
სელტა - სოსიედადი (0:2)
ვალენსია - ესპანიოლი (1:2)
სალამანკა - ალავესი (0:1)

* ფრჩხილებში — პირველი წრის შედეგები

## მეორე დივიზიონი

### XXXVI ტური

**ლეიდა 0:2 მალაგა**

0:1 რუანო (54), 0:2 კატანია (56)

**ატლეტიკო B 0:1 სევილია**

0:1 მოია (82)

**ალბასეტე 2:0 ოსასუნა**

1:0 ვანიჩი (85), 2:0 ლეანდრო (94)

**ლას პალმასი 0:0 რეკრეატივო**

**ლოგრონიესი 1:0 ნუმანსია**

1:0 ტეხერა (16)

**რაიო 1:2 კომპოსტელა**

1:0 ბოლო (3), 1:1 მაურისიო (51), 1:2 ჩანგი (89)

**ბარსელონა B 4:1 ერკულესი**

1:0, 2:0 ნაკოი (32, 46), 3:0 ლუისი (52), 3:1 სტანკოვიჩი (61), 4:1 მიგელ ანხელი (71პ)

**სპორტინგი 2:0 მერიდა**

1:0 მონჩუ (36), 2:0 ჩერიშევი (74)

**ეიბარი 0:0 ლეგანესი**

**ტოლედო 1:1 ბადახოსი**

1:0 კინი (26პ), 1:1 კასტილიო (40)

**მალიორკა B — ორენსე**

გვიან ღამით დასრულდა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალაგა | 36 | 19 | 11 | 6 | 62:40 | 68 |
| რაიო | 36 | 16 | 12 | 8 | 57:44 | 60 |
| ატლეტიკო B | 36 | 17 | 9 | 10 | 58:47 | 60 |
| ტოლედო | 36 | 16 | 11 | 9 | 48:40 | 59 |
| ნუმანსია | 36 | 17 | 8 | 11 | 57:36 | 59 |
| სევილია | 36 | 16 | 10 | 10 | 51:43 | 58 |
| ლას პალმასი | 36 | 14 | 14 | 8 | 48:35 | 56 |
| ოსასუნა | 36 | 14 | 12 | 10 | 41:37 | 54 |
| ლეიდა | 36 | 14 | 12 | 10 | 41:38 | 54 |
| რეკრეატივო | 36 | 12 | 15 | 9 | 33:22 | 51 |
| კომპოსტელა | 36 | 13 | 12 | 11 | 47:41 | 51 |
| მერიდა | 36 | 13 | 11 | 12 | 42:35 | 50 |
| ბადახოსი | 36 | 12 | 11 | 13 | 29:31 | 47 |
| ალბასეტე | 36 | 10 | 14 | 12 | 28:33 | 44 |
| სპორტინგი | 36 | 11 | 11 | 14 | 35:41 | 44 |
| ლოგრონიესი | 36 | 11 | 11 | 14 | 42:49 | 44 |
| ლეგანესი | 36 | 10 | 13 | 13 | 34:39 | 43 |
| ბარსელონა B | 36 | 12 | 5 | 9 | 46:54 | 41 |
| მალიორკა B | 35 | 11 | 7 | 17 | 42:52 | 40 |
| ეიბარი | 36 | 8 | 7 | 21 | 30:54 | 31 |
| ერკულესი | 36 | 7 | 10 | 19 | 30:56 | 31 |
| ორენსე | 35 | 6 | 6 | 23 | 33:67 | 24 |

# ყურადღება!

უეფას გუშინდელ საგანგებო სხდომაზე გადაწყდა, რომ იუგოსლავია ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობას გააგრძელებს. იუგოსლავიისა და ნატოს დაპირისპირებამ უეფას აფიქრებინა, ომით გატანჯული ქვეყანა გათამაშებიდან მოეხსნა, მაგრამ გადაიფიქრა და შესარჩევი ტურნირის მონაწილეთა შორის დატოვა.

— უეფამ მართებული გადაწყვეტილება მიიღო. სასიხარულოა, რომ უეფამ პირველ რიგში იუგოსლავიის სპორტული ინტერესი გაითვალისწინა და არა ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა — განაცხადა იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ბრანკო ბულატოვიჩმა.

იუგოსლავია ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობას კი მიიღებს, მაგრამ იმავე უეფას გადაწყვეტილებით, შინ გასამართ შეხვედრებს ნეიტრალურ ქვეყანაში ჩაატარებს. ბულატოვიჩმა განაცხადა, რომ იუგოსლავია უახლოეს დღეებში საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციას დაუკავშირდება ამ ქვეყნის რომელიმე სტადიონის გამოყენებასთან დაკავშირებით.

გუშინდელ საგანგებო სხდომაზე უეფამ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შექმნილ დაძაბულ პოლიტიკურ ვითარების გამო შეფერხებულ თამაშების განახლებული ვარიანტი წარადგინა:

II შესარჩევ ჯგუფში, ალბანეთი ნორვეგიას შინ ტირანაში 5 ივნისს უმასპინძლებს. იმავე დღეს ლატვია რიგაში სლოვენიას შეხვდება. ალბანეთი — სლოვენიას თამაში 9 ივნისს ტირანაში გაიმართება.

VII შესარჩევ ჯგუფში მაკედონია ხორვატიას 5 ივნისს სკოპიეში შეხვდება. იმავე დღეს დუბლინში ირლანდია ხორვატიას უმასპინძლებს. იუგოსლავია მალტას 9 ივნისს მიიღებს, თუმცა სად, ეს ჯერ დადგენილი არ არის. 9 ივნისსვე ირლანდია მაკედონიას უმასპინძლებს.

IX შესარჩევ ჯგუფში ბოსნია — ლიტვას თამაში 5 ივნისს სარაევოში გაიმართება. ფარერები ბოსნიას 9 ივნისს ტოფტირში მიიღებს.

## ლიგის თასის ფინალი



REUTERS სენ დენიდან

გახარებული ლანსელები ლიგის თასით

## საფრანგეთი

**ლანსი 1:0 მეცი**

1:0 მორეირა (56)

ლანსი: ვარმუზი, სიკორა, მანიე, დეუ, ისმაელი, რული, დალმა (ნიარკო 90), მორეირა (დებევი 77), შმიცერი (ბრუნელი 80), ვერელი

მეცი: ლეტიზი, პიერი, სტრასერი, კასტენდოჩი, რეჟისი (ასუარი 69), ტუაი, რიზეტო (კრაუში 60), ბოფენი, მეირო, ვან ჰანდენჰოვენი (შემელი 80), იესტროვიჩი

გაფრთხილება: მეირო (20), მორეირა (25), იესტროვიჩი (40), ნუმა (64), რული (68), ვერელი (87), დალმა (90)

საფრანგეთში ლიგის თასის გათამაშებას საკმაოდ დიდი ინტერესი აქვს. ამის დასტურია ამ ტურნირის ფინალიც, რომელიც „სტად დე ფრანსზე“ გაიმართა და 80 000-მდე მაყურებელი დაესწრო.

ამ წარმატების წყალობით „ლანსმა“ წლეულსაც გაიჭრა ფანჯარა ევროპაში. მეტად დაძაბული და ძნელი სეზონის შემდეგ „სისხლისა და ოქროს ფერებმა“ თავიანთ ერთგულ ქომაგებს კლუბის ისტორიაში პირველი თასი უძღვნეს.

20 მილიონი ფრანკი — ასეთი იყო „ლანსის“ ბიუჯეტი ათი წლის წინ. მას შემდეგ ამ გუნდმა ძალიან ბევრს მიაღწია, როგორც სპორტული ისე ფინანსური გაგებით. შარშან იგი საფრანგეთის ჩემპიონი გახდა და ჩემპიონთა ლიგაშიც არც თუ ურიგოდ გამოვიდა, რამაც მისი ხაზინა საკმაოდ გაამდიდრა.

ლიგის თასის მოგებით ჩრდილოელებმა კი 12 მილიონი ფრანკი შეიმატეს, მათ მიერ დამარცხებულ „მეცს“ 8 მილიონი ერგო. მიუხედავად ამისა, მომავალი სეზონიდან „მეცის“ ბიუჯეტი 135 მილიონიდან 90-მდე შემცირდება, რაც იმითაა გამოწვეული, რომ ლოტარინგიელებმა უეფას თასზე თამაშის უფლება ვერ მოიპოვეს.

მატჩი „ლანსის“ შეტევებით დაიწყო. მე-6 წუთზე ექსბასტიელი სირილ რულის საჯარიმოში ჩაწოდებულზე ყველას ტონი ვერელმა დაასწრო, მაგრამ მისი თავურის შემდეგ ბურთი მცირედით ასცდა ლეტიზის კარს. ათიოდ წუთში შმიცერმა დაასვა ბურთი თავზე ვერელს, მაგრამ მისი დარტყმა კვლავ არაზუსტი გამოდგა.

ამის მერე თამაში თითქოს დაწყნარდა, მაგრამ ამით ფეხბურთელების ნერვები ნამდვილად არ დაწყნარებულა. ხუთი წუთის ინტერვალით შეხვედრის მთავარმა მსაჯმა ჯერ მეირო გააფრთხილა, შემდეგ კი მორეირა. მთლიანად კი ბატონ კოლომბოს შვიდჯერ მოუწია ყვითელი ბარათის ჯიბიდან ამოღება.

პირველ ტაიმში კიდევ რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა ორივე გუნდის კართან, მაგრამ ანგარიშის გახსნა ვერავინ შეძლო. შესვენების შემდეგ უპირატესობა კვლავ „ლანსის“ მხარეს იყო. ჯერ ვერელმა ჩამოიცილა ლამაზად რამდენიმე მოწინააღმდეგე და კარგად დაარტყა, მაგრამ ლეტიზის ვერ აჯობა, შემდეგ ექსსტრასბურელი პასკალ ნუმას თავური გააუვნებელყო „მეცის“ კარის დარაჯმა.

56-ე წუთზე კი ისიც უძლური იყო დანიელ მორეირას წინააღმდეგ. „ლანსის“ თავდამსხმელმა ბურთი მკერდზე მიიღო და ძირსდაუშვებლად უძლიერესად დაარტყა. ბურთი ლეტიზის კარის ცხრიანში შეფრინდა. მართლაც ლამაზი გოლი იყო.

„უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ ლიგის თასს და უეფას საგზურს დავეუფლეთ, მით უმეტეს, რომ ამის შესაძლებლობა ჩემმა გოლმა მოგვცა. ყოველი ფრანგი ფეხბურთელისთვის უდიდესი სიხარულია „სტად დე ფრანსზე“ ამდენი მაყურებლის თვალწინ თამაში და გამარჯვება. ეს ნამდვილად განსაკუთრებული, დაუვიწყარი რამაა“ — თქვა მატჩის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას ფინალის ერთადერთი გოლის ავტორმა.

დარჩენილ დროში „მეცი“ ბევრს ეცადა, მაგრამ ანგარიშის გათანაბრება ვერ შეძლო. შარშან სწორედ ამ ორი გუნდის პაექრობაში, ჩემპიონატის ბოლო ტურში გადაწყდა ოქროს მედლების ბედი. 9 მაისს „მეცმა“ შინ „ლიონს“ მოუგო, მაგრამ ოსერში ფრის გამხერხებელ „ლანსს“ ბურთების შეფარდებით მაინც ჩამორჩა. წლეულს 8 მაისს კი „ლანსმა“ კიდევ ერთი ტიტული აწაპნა ლოტარინგიელებს. ასე რომ, ისინი უკვე ერთმანეთს გადამტერებულებად შეიძლება ჩავთვალოთ.

„უეფას თასისთვის საფუძვლიანად მოვემზადებით. რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, ჩვენი ფეხბურთელების უმეტესობას შევინარჩუნებთ. მხოლოდ დეუ (ბარსელონა) და დალმა (გუნდი ჯერჯერობით უცნობია) დაგვტოვებენ. ახალ ფეხბურთელებს კი გულისყურით შევარჩევთ“ — თქვა გამარჯვებულთა პრეზიდენტმა ჟერვე მარტელმა.

ახალი სეზონიდან ჩრდილოურ გუნდში, ალბათ, ნიმელი საკო (II დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირი), კანელი მეკარე შაბერი, მონპელიელი რობერი, ბასტიელი ჟურიეტი, ევერტონელი (ინგლისი) დაკური და ახალგაზრდა ჰავრელი ბუმსონგი ითამაშებენ. ძალიან საინტერესო იყო, გააგრძელებდა თუ არ „ლანსში“ მოღვაწეობას მწვრთნელი დანიელ ლეკლერი.

ლანსელთა დამრიგებლის მატჩისშემდგომმა კომენტარმა ყველა ეჭვი გაფანტა: „ბატონ მარტელს ვუთხარი, რომ მუშაობის გაგრძელების და ახალი წარმატებების მიღწევის სურვილი მქონდა.“

**გაგი გურული**

## შოტლანდია

XXXIV ტური

**რეინჯერსი 0:0 ჰართსი**

**აბერდინი 1:2 დანდი**

0:1 ბოიაკი (41), 0:2 ანდერსონი (87), 1:2 ვინტერსი (90)

**დანდი იუნ. 0:0 კილმარნოკი**

**დანფერმლაინი 1:2 სელტიკი**

0:1, 0:2 ჯონსონი (2, 44), 1:2 კოილი (83)

**სენტ ჯონსტონი 0:0 მოზერველი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 34 | 22 | 7 | 5 | 72:29 | 73 |
| სელტიკი | 34 | 19 | 8 | 7 | 79:32 | 65 |
| კილმარნოკი | 34 | 14 | 12 | 8 | 45:27 | 54 |
| სტ. ჯონსტონი | 34 | 14 | 11 | 9 | 37:37 | 53 |
| დანდი | 34 | 12 | 7 | 15 | 33:54 | 43 |
| მოზერველი | 34 | 9 | 11 | 14 | 32:48 | 38 |
| აბერდინი | 34 | 10 | 7 | 17 | 39:63 | 37 |
| ჰართსი | 34 | 9 | 9 | 16 | 35:47 | 36 |
| დანდი იუნ. | 34 | 8 | 10 | 16 | 35:42 | 34 |
| დანფერმლაინი | 34 | 4 | 16 | 14 | 26:54 | 28 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ლარსონი (სელტიკი) | 28 |
| უოლესი (რეინჯერსი) | 19 |
| დოდსი (დანდი იუნაიტედი) | 15 |

## თურქეთი

31-ე ტური: საქარია — ტრაბზონი 1:1; ანკარაგიუჯიუ — ქარაბუქი 1:1; ქოჯაელი — ერზურუმი 1:1; ბეშიქთაში — გალათასარაი 1:1; ალთაი — გენჩლებირლიგი 0:0; დარდანელი — ისთანბული 5:1; გაზიანთეფი — ადანა 3:1; ანთალია — სამსუნი 1:2; ბურსა — ფენერბაჰჩე 1:3.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 31 | 22 | 7 | 2 | 82:28 | 73 |
| ბეშიქთაში | 31 | 20 | 8 | 3 | 50:25 | 68 |
| ფენერბაჰჩე | 31 | 20 | 5 | 6 | 77:26 | 65 |
| ტრაბზონი | 31 | 17 | 7 | 7 | 45:31 | 58 |
| გენჩლებირლიგი | 31 | 12 | 10 | 9 | 46:38 | 46 |
| ქოჯაელი | 31 | 13 | 6 | 12 | 40:35 | 45 |
| ანთალია | 31 | 13 | 6 | 12 | 41:42 | 45 |
| გაზიანთეფი | 31 | 11 | 11 | 9 | 46:44 | 44 |
| ისთანბული | 31 | 11 | 7 | 13 | 44:49 | 40 |
| სამსუნი | 31 | 10 | 7 | 14 | 35:49 | 37 |
| ალთაი | 31 | 10 | 6 | 15 | 42:56 | 36 |
| ანკარაგიუჯიუ | 31 | 9 | 8 | 14 | 43:49 | 35 |
| ბურსა | 31 | 10 | 4 | 17 | 45:66 | 34 |
| ადანა | 31 | 9 | 6 | 16 | 33:51 | 33 |
| ერზურუმი | 31 | 8 | 9 | 14 | 36:60 | 33 |
| საქარია | 31 | 8 | 8 | 15 | 40:48 | 32 |
| დარდანელი | 31 | 7 | 8 | 16 | 33:44 | 29 |
| ქარაბუქი | 31 | 4 | 7 | 20 | 21:58 | 19 |

## პოლონეთი

25-ე ტური: ზაგლებიე — ვიძევი 0:1; პოლონია — სტომილი 0:1; ვისლა — ბელხატოვი 4:0; ოდრა — ლეხი 2:0; პოგონი — რაძიონკოვი 3:2; გურნიკი — ამიცა 0:0; ლკს — კატოვიცე 3:2; რუხი — ლეგია 0:1.

„ვისლა“ 5 ტურით ადრე ჩემპიონია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 25 | 22 | 1 | 2 | 67:18 | 67 |
| ვიძევი | 25 | 16 | 1 | 8 | 42:28 | 49 |
| ლეხი | 25 | 15 | 2 | 8 | 49:29 | 47 |
| ლეგია | 25 | 12 | 8 | 5 | 31:21 | 44 |
| პოლონია | 25 | 11 | 6 | 8 | 35:27 | 39 |
| გურნიკი | 25 | 8 | 9 | 8 | 28:25 | 33 |
| რაძიონკოვი | 25 | 8 | 8 | 9 | 31:31 | 32 |
| ზაგლებიე | 25 | 8 | 8 | 9 | 34:36 | 32 |
| სტომილი | 25 | 9 | 3 | 13 | 25:35 | 30 |
| ლკს | 25 | 7 | 8 | 10 | 28:36 | 29 |
| პოგონი | 25 | 7 | 6 | 12 | 31:46 | 27 |
| ამიცა | 25 | 7 | 6 | 12 | 28:37 | 27 |
| ოდრა | 25 | 7 | 6 | 12 | 29:35 | 27 |
| რუხი | 25 | 7 | 6 | 12 | 17:33 | 27 |
| ბელხატოვი | 25 | 7 | 5 | 13 | 24:41 | 26 |
| კატოვიცე | 25 | 5 | 5 | 15 | 21:42 | 20 |

## ლატვია

მე-5 ტური: რიგა — ვენტსპილსი 0:1; პოლიციასი — მეტალურგსი 0:5; დინაბურგი — რეზეკნე 2:0; ვალმიერა — სკონტო 0:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვენტსპილსი | 5 | 5 | 0 | 0 | 11:2 | 15 |
| მეტალურგსი | 5 | 4 | 0 | 1 | 15:2 | 12 |
| სკონტო | 5 | 4 | 0 | 1 | 7:2 | 12 |
| რიგა | 5 | 1 | 2 | 2 | 4:6 | 5 |
| დინაბურგი | 5 | 1 | 2 | 2 | 2:4 | 5 |
| ვალმიერა | 5 | 1 | 1 | 3 | 3:7 | 4 |
| პოლიციასი | 5 | 1 | 0 | 4 | 7:14 | 3 |
| რეზეკნე | 5 | 0 | 1 | 4 | 1:13 | 1 |

## ჰოლანდია

**გრააფსხაპი 1:3 აიაქსი**

1:0 გოდე (41პ), 1:1 სიბონი (47), 1:2 მელხიოტი (64), 1:3 [illegible] (85)

**ფეიენოორდი 3:1 ტვენტე**

1:0 პააუვი (6), 2:0 კაირო (14), 3:0 დალ ტომასონი (67), 3:1 დე ვიტე (82)

**უტრეხტი 1:2 ვიტესი**

0:1 იოჰემსენი (18), 1:1 მოლსი (58), 1:2 ბუთი (64)

**ვალვაიკი 4:1 კამბური**

1:0 გოვედარიცა (20), 2:0 კორნელისი (27), 2:1 დე რონი (34პ), 3:1 ლენკორი (37), 4:1 პეტროვი (87)

**ბრედა 5:0 სპარტა**

1:0, 2:0, 3:0 ა. არველაძე (18, 30, 51), 4:0 სტიუარტი (60), 5:0 ვან დერ ვერტი (89)

**ჰერენვენი 2:2 როდა**

0:1 პეტერსი (7), 1:1 დე ნოიერი (39), 2:1 სამარჯიჩი (77), 2:2 ვან დე ლუერი (89)

**ტილბურგი 4:1 მაასტრიხტი**

1:0, 2:0 ბომბარდა (22, 38), 3:0 ვალკი (50), 3:1 დე იონგი (52პ), 4:1 რამზი (86)

**ალკმაარი 1:1 ნაიმეგენი**

0:1 იანსენი (58), 1:1 ლანგერაკი (84)

**სიტარდი 6:4 ეინდჰოვენი**

1:0 სიმონსი (17), 2:0 ბუმა (26), 2:1 ვან ნისტელროი (40პ), 3:1 სიმონსი (42), 4:1 ოიერი (47ს.კ.), 5:1 სიმონსი (52), 5:2 ვან ნისტელროი (53), 6:2 სიმონსი (63), 6:3 ნილისი (79), 6:4 ლუციუსი (83)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 31 | 23 | 5 | 3 | 71:36 | 74 |
| ტილბურგი | 32 | 19 | 5 | 8 | 66:44 | 62 |
| ვიტესი | 32 | 17 | 7 | 8 | 58:41 | 58 |
| ეინდჰოვენი | 32 | 15 | 10 | 7 | 77:52 | 55 |
| როდა | 31 | 15 | 9 | 7 | 54:36 | 54 |
| აიაქსი | 32 | 15 | 8 | 9 | 69:39 | 53 |
| ჰერენვენი | 32 | 14 | 11 | 7 | 53:40 | 53 |
| ტვენტე | 32 | 12 | 12 | 8 | 47:42 | 48 |
| ალკმაარი | 32 | 11 | 12 | 9 | 47:51 | 45 |
| სიტარდი | 32 | 12 | 8 | 12 | 47:48 | 44 |
| უტრეხტი | 32 | 10 | 8 | 14 | 52:58 | 38 |
| ნაიმეგენი | 32 | 9 | 9 | 14 | 39:51 | 36 |
| გრააფსხაპი | 32 | 8 | 11 | 13 | 37:53 | 35 |
| კამბური | 32 | 7 | 10 | 15 | 35:60 | 31 |
| მაასტრიხტი | 32 | 6 | 11 | 15 | 39:59 | 29 |
| ვალვაიკი | 32 | 5 | 9 | 18 | 37:59 | 24 |
| სპარტა | 32 | 6 | 4 | 22 | 32:71 | 22 |
| ბრედა | 32 | 4 | 9 | 19 | 37:57 | 21 |

## პორტუგალია

XXXI ტური

**კამპომაიორენსე 0:2 მარიტიმუ**

0:1 ეუსებიო სოუზა (28), 0:2 მარიანუ (49)

**ბეირა მარი 2:1 ალვერკა**

1:0 რიკარდო სოუზა (22), 2:0 ფაიე (51), 2:1 აზევედო (73პ)

**რიუ ავე 0:2 ბოავიშტა**

0:1 კვამე (51), 0:2 ტიმოფტე (75)

**ამადორა 1:1 ლეირია**

0:1 ლუიშ ბირლო (85), 1:1 ანდრადე (88)

**სპორტინგი 3:1 სალგეირუში**

1:0 საბროზა (29), 2:0 იორდანოვი (51), 3:0 საბროზა (80), 3:1 ჩაგასი (85)

**აკადემიკა 1:1 ბრაგა**

0:1 ლუიშ კარლოში (4), 1:1 მონტეირო (8)

**ფარენსე 1:2 გიმარაეში**

0:1 რივა სილვა (39), 1:1 რადოუანე (66პ), 1:2 ევანდრო (90)

**შავეში 0:4 პორტუ**

0:1 ზაჰოვიჩი (12), 0:2 ჟარდელი (27), 0:3 ალოიზიო (61), 0:4 ჟარდელი (71)

**სეტუბალი — ბენფიკა**

*წუხელ გვიან გაიმართა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 31 | 22 | 6 | 3 | 75:24 | 72 |
| ბოავიშტა | 31 | 19 | 10 | 2 | 52:24 | 67 |
| სპორტინგი | 31 | 17 | 10 | 4 | 60:26 | 61 |
| ბენფიკა | 30 | 17 | 7 | 6 | 61:24 | 58 |
| გიმარაეში | 31 | 13 | 7 | 11 | 49:38 | 46 |
| ლეირია | 31 | 12 | 9 | 10 | 31:27 | 45 |
| ამადორა | 31 | 11 | 10 | 10 | 32:37 | 43 |
| სეტუბალი | 30 | 11 | 8 | 11 | 31:37 | 41 |
| სალგეირუში | 31 | 7 | 15 | 9 | 39:48 | 36 |
| მარიტიმუ | 31 | 9 | 9 | 13 | 38:40 | 36 |
| ფარენსე | 31 | 9 | 8 | 14 | 33:49 | 35 |
| ბრაგა | 31 | 8 | 11 | 12 | 34:50 | 35 |
| კამპომაიორენსე | 31 | 9 | 7 | 15 | 37:46 | 34 |
| რიუ ავე | 31 | 7 | 11 | 13 | 24:42 | 32 |
| ალვერკა | 31 | 7 | 10 | 14 | 30:43 | 31 |
| ბეირა მარი | 31 | 6 | 13 | 12 | 30:46 | 31 |
| შავეში | 31 | 5 | 10 | 16 | 36:60 | 25 |
| აკადემიკა | 31 | 4 | 9 | 18 | 29:60 | 21 |

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

# გენკი: მადლობა მუსკრონს

## ბელგია

XXXIII ტური

**ოსტენდე 0:6 ლიერსი**

0:1 პაგდორენი (16), 0:2 ჰუიმანსი (56), 0:3 სომერსი (67), 0:4 ვან დე ვეიერი (69), 0:5 სპიტენი (76), 0:6 პაგდორენი (85)

ლიერსი: დემანი, ბროკენი, ვან მეირი, ჰიფკენსი, პოორტერსი (შეყილაძე 46), ლარემანსი, ლეენი, პაგდორენი, სომერსი (სერნეელსი 70), ვან დე ვეიერი, ჰუისმანსი (სპიტენი 70)

**სტანდარდი 2:4 ლოკერენი**

0:1 ლისასი (29), 0:2 ბუდკა (32), 0:3 ლისასი (45), 1:3 ლუკუნკუ (52), 1:4 ლისასი (70), 2:4 პალდერმანსი (75)

სტანდარდი: რუნიე, რემაკლი, აფოლაბი, მედვედი (ძლეი 54), რენიე, ერნსი, ტიისი (გოდფრუა 60), დე კონდე, ლუკუნკუ, პალდერმანსი ემილ მპენზა (ბილიჩი 64)

**გენკი 2:5 ანდერლეხტი**

0:1 იაშჩუკი (19), 0:2 სტოიკა (58), 0:3 ანასტასიუ (59), 0:4 რადზინსი (70), 1:4 სტრუპარი (73პ), 1:5 რადზინსკი (81), 2:5 სტრუპარი (85პ)

**მუსკრონი 2:0 ბრიუგე**

1:0, 2:0 ბანი (36, 80)

**გენტი 0:0 ჰარელბეკი**

**კორტრაიკი 4:1 ლომელი**

0:1 ემუნი (22), 1:1 პრუნიე (45), 2:1 პეიმანსი (71), 3:1 დემკინი (87), 4:1 სტალენსი (90)

**შარლერუა 2:1 სენტ ტრუიდენი**

1:0 ბრონიო (20პ), 1:1 რუდონია (29), 2:1 ბრონო (73)

**ბევერენი 2:1 ეკერენი**

1:0 ზევლაკოვი (40), 1:1 სევერენსი (48), 2:1 სმიდი (75პ)

**ვესტერლო 1:1 აალსტი**

1:0 მიტროვიჩი (26), 1:1 ტიებო (87)

ბელგიის ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში „მუსკრონმა“ ოქროს მედლებისთვის მებრძოლ „ბრიუგეს“ კი მოუგო, მაგრამ უეფას თასზე გამსვლელ ადგილს, ალბათ, მაინც ვერ დაიკავებს. ამის მიზეზი „ანდერლეხტის“ გამარჯვებაა, რომელმაც ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერ „გენკს“ აჯობა გასვლით მატჩში. „მუსკრონის“ ხორვატმა ლეგიონერმა ზორან ბანმა ორი გოლი გაუტანა სტუმრებს, მაგრამ ეს ორი გოლი მას და მისი გუნდის ქომაგებს ნაღდად ვერ დაავიწყებს „ვესტერლოსთან“ ვერგამოყენებულ თერთმეტმეტრიანს. მაშინ რომ „მუსკრონს“ მოეგო, ახლა ხომ მას და „ანდერლეხტს“ ერთნაირი ქულათა რაოდენობა ექნებოდათ და ბრინჯაოს მედლები და ევროსაგზური უფრო რეალური გახდებოდა. ახლა კი ამ პატარა ქალაქის გუნდი მეორე დივიზიონში დაქვეითების მეორე უმთავრესი კანდიდატის „კორტრაიკის“ მიერ ანდერლეხტში სასწაულის მოხდენის იმედზე უნდა იყოს, რაც საკმაოდ ძნელი საფიქრებელია.

ელიტის რიგები კი, ფაქტობრივად, უკვე დატოვა წარსულში ცნობილი მეკარის ჟან-მარი პფაფის გაწვრთნილმა „ოსტენდემ“. მან ამ ტურის შეხვედრა შინ ჩაატარა ქართველი ლეგიონერის გელა შეყილაძის „ლიერსთან“ და სასტიკი მარცხიც იგემა 0:6. ჩვენებური მინდორზე შესვენების შემდეგ გამოჩნდა და ნაკრებში ნორვეგიასთან დაშვებული შეცდომები აღარ გაუმეორებია. სტუმრებმა პირველი ტაიმი მხოლოდ ერთბურთიანი უპირატესობით მოიგეს და ძნელი საფიქრებელი იყო, თუ „ოსტენდეს“ საბოლოოდ ასე გაანადგურებდნენ. შეხვედრის მეორე ნახევარში კი მასპინძელთა დაცვა რას აკეთებდა, ძნელი გამოსაცნობი იყო. ისინი მეტოქის შეტევების გაუვნებელყოფას ვერაფრით ახერხებდნენ და კიდევ ხუთი უპასუხო გოლი მიიღეს.

„ბრიუგეს“ მარცხით ვერ ისარგებლა „გენკმა“, რომელიც გამარჯვების შემთხვევაში ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე გაინაღდებდა ოქროს მედლებსა და ჩემპიონთა ლიგის საგზურს. „ანდერლეხტს“ უკან დასახევი გზა არ ჰქონდა, წაგებით ხომ იგი „მუსკრონს“ გასწრების საშუალებას მისცემდა. თუმცა, მარცხის მიუხედავად, „გენკი“, შეიძლება ითქვას, უკვე ბელგიის ჩემპიონია და ეს „მუსკრონის“ წყალობით, რომელმაც „ბრიუგეს“ მოუგო: ძნელი წარმოსადგენია, რომ საკმაოდ უხეირო ფორმაში მყოფმა „ჰარელბეკმა“, ბოლო ტურში, შინ „გენკის“ ძლევა შეძლოს. ბურთების შეფარდება „გენკის“ სასარგებლოდ იმდენად დიდია, რომ ფრის შემთხვევაშიც იგი „ბრიუგესთვის“ მიუწვდომელი იქნება.

**დავით სიჭინავა**



REUTERS გენკიდან

გენკი — ანდერლეხტი 2:5. მარცხის მიუხედავად დელბროეკის (მარცხნივ) „გენკი“ ალბათ მაინც გაჩემპიონდება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გენკი | 33 | 21 | 7 | 5 | 72:37 | 70 |
| ბრიუგე | 33 | 21 | 5 | 7 | 60:35 | 68 |
| ანდერლეხტი | 33 | 20 | 7 | 6 | 73:38 | 67 |
| მუსკრონი | 33 | 19 | 8 | 6 | 75:46 | 65 |
| ლოკერენი | 33 | 17 | 6 | 10 | 68:57 | 57 |
| სტანდარდი | 33 | 17 | 3 | 13 | 55:44 | 54 |
| ლიერსი | 33 | 15 | 6 | 12 | 69:47 | 51 |
| სტ. ტრუიდენი | 33 | 14 | 8 | 11 | 51:45 | 50 |
| გენტი | 33 | 13 | 10 | 10 | 51:58 | 49 |
| ეკერენი | 33 | 14 | 6 | 13 | 47:45 | 48 |
| ჰარელბეკი | 33 | 10 | 11 | 12 | 43:44 | 41 |
| ვესტერლო | 33 | 11 | 7 | 15 | 53:57 | 40 |
| აალსტი | 33 | 8 | 8 | 17 | 44:66 | 32 |
| შარლერუა | 33 | 7 | 11 | 15 | 39:52 | 32 |
| ბევერენი | 33 | 8 | 5 | 20 | 32:59 | 29 |
| ლომელი | 33 | 6 | 7 | 20 | 31:55 | 25 |
| კორტრაიკი | 33 | 6 | 7 | 20 | 48:78 | 25 |
| ოსტენდე | 33 | 4 | 10 | 19 | 27:75 | 22 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| კოლერი (ლოკერენი) | 23 |
| სტრუპარი (გენკი) | 18 |
| ულარი (გენკი) | 16 |
| ბანი (მუსკრონი) | 16 |

## რუსეთი

VI ტური

**ალანია 5:2 ნ. ნოვგოროდი**

1:0 დემეტრაძე (25 პ), 2:0 ფიოდოროვი (37), 2:1 ხოგერი (41), 3:1 კუტარბა (46 პ), 4:1 წერეთელი (75), 4:2 პოლი (85), 5:2 დემეტრაძე (88)

**კრილია სოვეტოვი 2:0 სატურნი**

1:0 ლუშჩანი (13), 2:0 საფრონოვი (56 პ)

**ურალანი 1:1 ტორპედო**

1:0 მიკალაიუნასი (1), 1:1 ორლოვსკი (73)

**ჩერნომორეცი 1:4 ლოკომოტივი**

1:0 გრაშჩენკო (25), 1:1 ლოსკოვი (40), 1:2 ხარლაჩევი (46), 1:3 ლოსკოვი (60), 1:4 ბულიკინი (75)

**შინიკი 0:3 როსტსელმაში**

0:1 კირიჩენკო (10), 0:2, 0:3 პიოსტრიაკოვი (27, 87)

**ზენიტი 1:1 როტორი**

0:1 ვერეტენნიკოვი (61), 1:1 ზაზულინი (90)

**სპარტაკი 1:0 ცსკა**

1:0 შირკო (9)

**დინამო 3:0 ჟემჩუჟინა**

1:0 რადიმოვი 16), 2:0 ტერიოხინი (77), 3:0 რადიმოვი (89)

რუსეთის ჩემპიონატის მორიგი მეექვსე ტური ლიდერთა აშკარა უპირატესობებით აღინიშნა. თანაც, თუ ცსკას კანონზომიერ მარცხს არ ჩავთვლით, მოსკოვის გუნდები ისე გაისარჯნენ, მშვენიერი რუსული მელოდრამა „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“ გაგახსენდება კაცს. „სპარტაკმა“ სწორედ ძლევამოსილი რუსული არმიის საშეფო ცსკა იმსხვერპლა და შესაბამისად, მშობლიურ არმიასაც საცხრამაისო საჩუქარი უძღვნა. „დინამომ“ სოჭელებს მოუგო, „ლოკომოტივმა“ კი ნოვოროსიისკში სკალპი აძრო „ჩერნომორეცს“.

როგორც იქნა, კლანჭები გამოილო „ალანიამაც“, რომელიც წმინდად კავკასიური წარმომავლობის ფეხბურთს თამაშობს. ეს არც არის გასაკვირი. „ალანია“ ხომ ძირითადად ქართველებით, ოსებით და კავკასიური ორიენტაციის რუსებითა და ბრაზილიელებით არის დაკომპლექტებული. სასიხარულოა, რომ ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივის“ დიდი ანგარიშით დამარცხებაში ლომის წილი სწორედ ქართველებმა დაიდეს — დემეტრაძემ ორი, წერეთელმა კი ერთი ბურთი გაიტანეს და 5:2-იც შედგა. რუსული საინფორმაციო წყაროები ერთხმად აღნიშნავენ დემეტრაძის ჩინებულ თამაშს, რომელმაც გარდა ორი გატანილი ბურთისა, ერთი საგოლე პასი და ერთიც პენალტი „გამოაცხო“.

პირველი ქულა აიღო და პირველი ბურთი გაიტანა ელისტის „ურალანმა“. სხვათა შორის, ყალმუხებმა პირველად ითამაშეს შინ, საკუთარ სტადიონზე და არც შერცხვნენ — „ტორპედო“ ის გუნდია, ვისთან ფრეც არამარტო „ურალანისთვის“, არა ერთი სხვა რუსული გუნდისთვისაც საპატიო შედეგი იქნებოდა.

პირველი გამარჯვება იზეიმა ნუგზარ ფოფხაძის „კრილიამ“, სამარელებმა რამენსკოეს „სატურნს“ მოუგეს და ცხრილში ერთი საფეხურითაც აინაცვლეს.

ცხრილის უკანასკნელი ადგილი კი „ურალანის“ მაგიერ გოგიაშვილისა და გოგრიჭიანის „ჟემჩუჟინამ“ დაიკავა...

გვიჭირს ქართველებს.

**ხვიჩა სანიძიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 9 | 8 | 0 | 1 | 17:4 | 24 |
| დინამო | 6 | 5 | 1 | 0 | 15:5 | 16 |
| ტორპედო | 7 | 4 | 2 | 1 | 8:5 | 14 |
| ლოკომოტივი | 6 | 3 | 2 | 1 | 13:5 | 11 |
| ალანია | 6 | 3 | 1 | 2 | 11:6 | 10 |
| როტორი | 6 | 3 | 1 | 2 | 6:5 | 10 |
| როსტსელმაში | 6 | 3 | 1 | 2 | 9:9 | 10 |
| ცსკა | 6 | 2 | 3 | 1 | 6:4 | 9 |
| სატურნი | 7 | 2 | 2 | 3 | 9:12 | 8 |
| ზენიტი | 6 | 1 | 4 | 1 | 7:6 | 7 |
| ნ. ნოვგოროდი | 6 | 1 | 2 | 3 | 7:9 | 5 |
| ჩერნომორეცი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:9 | 5 |
| შინიკი | 6 | 1 | 2 | 3 | 2:9 | 5 |
| კრილია | 7 | 1 | 1 | 5 | 5:12 | 4 |
| ურალანი | 6 | 0 | 1 | 5 | 1:9 | 1 |
| ჟემჩუჟინა | 6 | 0 | 1 | 5 | 2:15 | 1 |

## შვეიცარია

ფინალური ეტაპი

X ტური

**სენტ გალენი 0:0 ლოზანა**

**ლუცერნი 2:0 ქსამაქსი**

1:0 ვისი (61), 2:0 კიოგლი (79პ)

**ბაზელი 2:0 გრასჰოპერი**

1:0 ფაბინიო (54), 2:0 ჩოპი (90)

გრასჰოპერი: ცუბერბიულერი, ჰაასი (მანინი 81), მიულერი, გრენი, სმილიანიჩი, კაბანასი, ფოგელი, ტარარახე, იაკინი, ტიკვა, ყაველაშვილი (მაგრო 28, დე ნაპოლი 60)

**ციურიხი 4:0 სერვეტი**

1:0 ნიქსონი (10), 2:0 ჰოდელი (52), 3:0 ლიმა (57), 4:0 შასო (69)

ციურიხი: შორუნმუ, ტარონე, ჰოდელი, ფიშერი, კასტილიო (დი ჯორიო 46), სანტანა, ჯამარაული, ლიმა, კუნცი (ჰუბერი 70), ნიქსონი, შასო (იოდისე 71)

ხუთმატჩიანი წაუგებელი სერიის შემდეგ შაბათს სტუმრად „ბაზელთან“ დამარცხდა შვეიცარიის ჩემპიონატის ლიდერი ციურიხის „გრასჰოპერი.“ თუმცა, წაგების მიუხედავად, გუნდს პირველი ადგილი არ დაუკარგავს. დამარცხების გარდა „კალიებმა“ შემადგენლობაშიც მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადეს — მატჩის 28-ე წუთზე მიხეილ ყაველაშვილს სახეში მეტოქის თავი მოხვდა, შესაცვლელი შეიქნა და ახლა, შესაძლოა, რამდენიმე შეხვედრის გამოტოვებაც მოუხდეს. არადა, ბოლო დროს ყაველაშვილი ძალიან კარგ ფორმაში იყო, ჩემპიონატში გოლებიც საკმაო გაჰქონდა და გუნდში ერთ-ერთი საუკეთესოც გახლდათ. ტრავმის მიღებამდე მიშა ამ მატჩშიც გამოირჩეოდა, ერთ ეპიზოდში მისი თავური „ბაზელის“ მცველებმა ცარიელი კარიდან გამოიტანეს. პირველი ტაიმის მიწურულს მსაჯმა გუნდები ათ-ათი კაცით დატოვა მინდორზე. 43-ე წუთზე ჯერ გრასჰოპერელ ფოგელს არ აპატია უხეშობა, ორ წუთში კი მასპინძელი კროიცერი გააფრთხილა მეორედ.

მეორე ტაიმი მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო. რასაც 54-ე წუთზე გოლიც მოჰყვა. რიჩკოვის ფლანგური გარღვევა ფაბინიომ ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა. ამის შემდეგ „გრასჰოპერს“ ანგარიშის გათანაბრება სამჯერ შეეძლო, მაგრამ „ბაზელის“ მეკარე ჰუბერმა ორჯერ კაბანასს და ერთხელ ტიკვას ამის საშუალება არ მისცა. თამაშის ბოლო წუთები მთლიანად სტუმრების უპირატესობით წარიმართა. „გრასჰოპერმა“ მთელი გუნდით შეუტია, მაგრამ გოლი საკუთარ კარში გაუშვა. შეცვლაზე შესულმა ჩოპმა „კალიებს“ ქულის მოპოვების იმედი ჩაუკლა.

გოჩა ჯამარაულის „ციურიხს“ ფინალური ეტაპი ისე რომ დაეწყო, როგორც ახლა თამაშობს, ჩემპიონობის მოპოვების კანდიდატი ისიც იქნებოდა. „ციურიხმა“ მეათე ტურში ერთ-ერთ ლიდერ „სერვეტს“ უმასპინძლა და 4:0 გაანადგურა. მასპინძელთა გამარჯვებაში ორი საგოლე პასით ჯამარაულმაც თავისი წვლილი შეიტანა. გოჩამ ჯერ ჰოდელს გაატანინა, ხუთი წუთის შემდეგ კი ლიმას.

ჩემპიონობის კიდევ ერთი კანდიდატი — „ლოზანა“ სტუმრად „სენტ გალენთან“ ფრეს დასჯერდა — 0:0.

**ვანო ოქროპირიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 10 | 6 | 2 | 2 | 22:8 | 39 |
| სერვეტი | 10 | 5 | 1 | 4 | 12:12 | 38 |
| ლოზანა | 10 | 6 | 1 | 3 | 19:13 | 38 |
| ციურიხი | 10 | 4 | 2 | 4 | 17:12 | 33 |
| ბაზელი | 10 | 5 | 1 | 4 | 15:15 | 30 |
| ქსამაქსი | 10 | 2 | 3 | 5 | 10:20 | 25 |
| ლუცერნი | 10 | 3 | 1 | 6 | 8:16 | 24 |
| სენტ გალენი | 10 | 2 | 3 | 5 | 11:18 | 23 |

## საბერძნეთი

29-ე ტური: აეკი — კავალა 4:0; არისი — აპოლონი 2:1; ეთნიკოსი (ასტირი) — ოფი 1:0; იონიკოსი — პანელეფსინიაკოსი 3:0; ქსანთი — ეთნიკოსი (პირეოსი) 2:0; ოლიმპიაკოსი — პანათინაიკოსი 0:0; პანიონიოსი — ირაკლისი 3:2; პაოკი — ვერია 2:0; პროდეფტიკი — პანილიაკოსი 2:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 29 | 23 | 3 | 3 | 70:18 | 72 |
| აეკი | 29 | 20 | 4 | 5 | 64:24 | 64 |
| პანათინაიკოსი | 29 | 19 | 4 | 6 | 57:33 | 61 |
| პაოკი | 29 | 16 | 5 | 8 | 39:25 | 53 |
| ქსანთი | 29 | 14 | 7 | 8 | 38:27 | 49 |
| არისი | 29 | 15 | 3 | 11 | 42:38 | 48 |
| იონიკოსი | 29 | 13 | 8 | 8 | 53:34 | 47 |
| ოფი | 29 | 14 | 3 | 12 | 41:33 | 45 |
| ირაკლისი | 29 | 12 | 7 | 10 | 43:32 | 43 |
| ეთნიკოსი (ა) | 29 | 11 | 4 | 14 | 34:47 | 37 |
| კავალა | 29 | 10 | 6 | 13 | 41:57 | 36 |
| პანილიაკოსი | 29 | 9 | 5 | 15 | 32:45 | 32 |
| პროდეფტიკი | 29 | 8 | 7 | 14 | 22:31 | 31 |
| აპოლონი | 29 | 7 | 9 | 13 | 36:53 | 30 |
| პანიონიოსი | 29 | 9 | 3 | 17 | 39:47 | 30 |
| პანელეფსინ. | 29 | 5 | 11 | 13 | 19:41 | 26 |
| ვერია | 29 | 5 | 5 | 19 | 18:48 | 20 |
| ეთნიკოსი (პ) | 29 | 0 | 8 | 21 | 15:67 | 8 |

## ისრაელი

27-ე ტური. ბეითარი ბნეი იეჰუდა 1:1; ჰაპოელი (ჰაიფა) — მაკაბი (თელ ავივი) 3:2; ჰაპოელი (ფეთაჰ თიქვა) — ირონი (აშდოდი) 1:1; ჰაპოელი (თელ ავივი) — ჰაპოელი (იერუსალიმი) 3:0; მაკაბი (ჰერცლია) — ირონი (რიშონი) 3:2; მაკაბი (იაფა) — მაკაბი (ფეთაჰ თიქვა) 0:4; ჰაპოელი (ბეით შიანი) — ჰაპოელი (ქვარ სავა) 0:2; ზაფრიმი — მაკაბი (ჰაიფა) 0:2.

ჰაიფის „ჰაპოელი“ სამი ტურით ადრე ჩემპიონია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაპოელი (ჰ) | 27 | 21 | 4 | 2 | 58:14 | 67 |
| მაკაბი (თ.ა) | 27 | 17 | 3 | 7 | 66:29 | 54 |
| ბეითარი | 27 | 16 | 6 | 5 | 60:26 | 54 |
| მაკაბი (ჰ) | 27 | 17 | 3 | 7 | 55:23 | 54 |
| ჰაპოელი (თ.ა) | 27 | 14 | 7 | 6 | 43:24 | 49 |
| ჰაპოელი (ფ.თ.) | 27 | 13 | 6 | 8 | 50:38 | 45 |
| ჰაპოელი (ქს.) | 27 | 10 | 6 | 11 | 39:54 | 36 |
| მაკაბი (ჰერც.) | 27 | 10 | 4 | 13 | 31:37 | 34 |
| მაკაბი (ფ.თ) | 27 | 9 | 6 | 12 | 40:40 | 33 |
| ირონი (რ) | 27 | 9 | 6 | 12 | 45:57 | 33 |
| ჰაპოელი (ი) | 27 | 10 | 3 | 14 | 31:50 | 33 |
| ზაფრიმი | 27 | 7 | 9 | 11 | 32:32 | 30 |
| ბნეი იეჰუდა | 27 | 8 | 6 | 13 | 35:47 | 30 |
| ირონი (ა) | 27 | 7 | 8 | 12 | 34:45 | 29 |
| ჰაპოელი (ბ.შ.) | 27 | 5 | 3 | 19 | 24:72 | 18 |
| მაკაბი (იაფა) | 27 | 1 | 4 | 22 | 12:67 | 7 |

## უნგრეთი

29-ე ტური. დიოშდიორი — ფერენცვაროში 1:3; დუნაფერი — დიორ ეტო 0:0; ნიერშეგი — ზალაეგერცეგი 2:0; ვიდეოტონი — ვაცი 3:2; მტკ — გაზერი 2:0; ვაშაში — უიპეშტი 1:0; კერულეტი — შიოფოკი 2:3.

დედაქალაქის „მტკ“ ხუთი ტურით ადრე ჩემპიონია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მტკ | 29 | 24 | 2 | 3 | 70:20 | 74 |
| ფერენცვაროში | 29 | 17 | 7 | 5 | 56:34 | 58 |
| უიპეშტი | 29 | 17 | 3 | 9 | 48:32 | 54 |
| დიორ ეტო | 29 | 14 | 9 | 6 | 44:29 | 51 |
| დუნაფერი | 29 | 14 | 5 | 10 | 45:40 | 47 |
| ვაშაში | 29 | 13 | 7 | 9 | 42:37 | 46 |
| ზალაეგერცეგი | 29 | 13 | 7 | 9 | 39:34 | 46 |
| ვაცი | 29 | 12 | 7 | 10 | 43:42 | 43 |
| დიოშდიორი | 29 | 11 | 9 | 9 | 50:49 | 42 |
| დებრეცენი | 28 | 11 | 5 | 12 | 42:34 | 38 |
| გაზერი | 28 | 8 | 11 | 10 | 29:33 | 35 |
| ნიერშეგი | 29 | 9 | 8 | 12 | 41:46 | 35 |
| კიშპეშტი | 28 | 8 | 8 | 12 | 31:44 | 32 |
| ჰალადაში | 28 | 8 | 4 | 16 | 30:46 | 28 |
| ვიდეოტონი | 29 | 6 | 8 | 15 | 32:46 | 26 |
| შიოფოკი | 29 | 5 | 9 | 15 | 27:44 | 24 |
| ბვსც | 28 | 5 | 6 | 17 | 25:42 | 21 |
| კერულეტი | 29 | 4 | 5 | 20 | 34:76 | 17 |

## სლოვენია

28-ე ტური: კოროტანი — მურა 1:2; ველენიე — ბელტინჩი 2:1; ოლიმპია — ნოვა გორიცა 0:1; ტრიგლავი — მარიბორი 1:3; დომზალე — აიდოვშინა 4:1; ცელიე — კოპერი 1:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 28 | 15 | 9 | 4 | 60:28 | 54 |
| ნოვა გორიცა | 28 | 15 | 7 | 6 | 44:27 | 52 |
| ველენიე | 28 | 14 | 7 | 7 | 36:22 | 49 |
| მურა | 28 | 14 | 5 | 9 | 46:27 | 47 |
| კოროტანი | 28 | 12 | 6 | 10 | 38:38 | 42 |
| ოლიმპია | 28 | 11 | 6 | 11 | 46:37 | 39 |
| აიდოვშინა | 28 | 11 | 6 | 11 | 34:34 | 39 |
| ცელიე | 28 | 7 | 11 | 10 | 22:29 | 32 |
| დომზალე | 28 | 7 | 9 | 12 | 28:43 | 30 |
| ბელტინჩი | 28 | 8 | 5 | 15 | 31:53 | 29 |
| კოპერი | 28 | 6 | 7 | 15 | 26:51 | 25 |
| ტრიგლავი | 28 | 5 | 8 | 15 | 24:46 | 23 |

UEFA CUP

# ორმოცდამეერთე და პირველი

## თუ არ გინდათ წვიმა, გადაიხადეთ ფული...

**ხვალ, მოსკოვის განახლებულ „ლუჟნიკებში“ უეფას თასის რიგით 41-ე ფინალი გაიმართება. თუმცა, პირობითად ეს ციფრი არასწორია, რადგან შარშანდლამდე უეფას (1972 წლამდე ბაზრობათა) თასის გადამწყვეტი რაუნდი ორი მატჩისგან შედგებოდა**

ოთხშაბათს როლან კურბისის „მარსელი“ ალბერტო მალეზანის „პარმას“ დაუპირისპირდება და ამ ორი ჩინებული გუნდის ჭიდილი მაყურებლსაც შესანიშნავ სანახაობას ჰპირდება.

„ლუჟნიკების“ გაზონი ბოლო დროს ბევრჯერ გაუკრიტიკებიათ. ადგილობრივთა მცდელობის მიუხედავად, მინდორი მაინც ვერაა კარგ მდგომარეობაში, მაგრამ მოსკოვის მერის, იური ლუჟკოვის თქმით, თამაშის დაწყებისათვის ყველაფერი რიგზე იქნება.

ლუჟკოვი მატჩის ყველაზე აქტიური ორგანიზატორია. უმისოდ არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არ წყდება. როგორც მერი ამბობს, თუ მოსკოველებსა და სტუმრებს არ უნდათ რომ 12-ში წვიმა მოვიდეს, ამისათვის ფულის გადახდაა საჭირო. ლუჟკოვის ეს ნახევრადხუმრობა კარგად გამოხატავს ორგანიზატორთა განწყობას. თუმცა, რას ერჩი, შეუძლიათ და აკეთებენ... ან რატომ არ უნდა გააკეთონ?

რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის ვიაჩესლავ კოლოსკოვის განცხადებით, იტალიელები მოსკოვის გრანდ-ოტელ „მარიოტში“ განთავსდებიან, ხოლო ფრანგები „სოფიტელში“. უეფას წარმომადგენლები თბილისურის მსგავს „შერატონში“ იცხოვრებენ.

ორივე მხრიდან 2-2 ათასი ბილეთი შეუკვეთეს. სავარაუდოა 260 ჟურნალისტისა და 120 ფოტოკორესპონდენტის სტუმრობა, ამას დამატებული ტელე-რადიო მიმომხილველები. პირდაპირ ტრანსლაციას 36 ტელეკომპანია გადასცემს. ბილეთები 50-დან 500 რუსულ რუბლამდე ეღირება, 10 ათას ბილეთს კი სპორტსკოლის მოსწავლეებს უფასოდ დაურიგებენ.

მოსკოვის „ლუჟნიკებში“ ევროტურნირის, კერძოდ კი უეფას თასის ფინალი ისტორიაში პირველად ჩატარდება. ადრე ეს სარბიელი ქართველებისთვისაც „მშობლიური“ იყო. დღეს კი გაუცხოვდა, თუმცა მთლად უცხო მაინც არ უნდა იყოს.

ბაზრობათა თასის გათამაშების იდეა კი 1955 წლიდან იღებს სათავეს. ფიფას მაშინდელი ვიცე-პრეზიდენტისა და შვეიცარიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის ერნსტ ტომენის თაოსნობით ჩამოყალიბდა ორგკომიტეტი, რომელმაც მძლავრი წარმოებით გამორჩეულ ქალაქებს შორის ოფიციალური ტურნირის ჩატარება დაადგინა. ასეთები კი: ბირმინგემი, ბაზელი, კოპენჰაგენი, ბარსელონა, ლონდონი, მილანი, ლოზანა, ფრანკფურტი, ვენა, ზაგრები, კიოლნი და კიდევ რამდენიმე აღმოჩნდნენ.

ქალაქებს თავისი ნაკრებები უნდა წარმოედგინათ და პირველ გათამაშებაში ასეთი 12 მოგროვდა. თუმცა, „ქალაქური“ პრინციპი თავიდანვე დაირღვა. ბარსელონამ, ბირმინგემმა და ლოზანამ ამავე დასახელების კლუბები წარმოადგინეს, ხოლო მილანმა სულაც „ინტერი“ ათამაშა. თავიდან შეჯიბრი ჯგუფურად მიმდინარეობდა, შემდეგ კი ნახევარფინალები და ფინალი იმართებოდა.

პირველ ფინალებში ერთმანეთს „ბარსელონა“ და ლონდონის ნაკრები შეხვდნენ. 1958 წლის 5 მარტს ლონდონური „სტემფორდ ბრიჯის“ სტადიონზე თამაში 2:2 დამთავრდა. მასპინძელთაგან ერთი 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა, ტოტენჰემელმა ჯიმი გრივსმა გაიტანა. საპასუხო, 1 მაისს, „ბარსამ“ 6:0 მოუგო ბრიტანელებს (ორი გოლი ცნობილმა ლუის სუარესმა შეაგდო) და თასის მფლობელი გახდა.

პირველი ტურნირი თითქმის სამ წელიწადს გაგრძელდა, მეორე კი ორ წელიწადში ჩაატიეს და კვლავ „ბარსამ“ იმარჯვა, რომელსაც მაშინ ლეგენდარული ელინიო ერერა წვრთნიდა.

ბაზრობათა თასი სულ 13-ჯერ გათამაშდა. 1972 წლიდან კი უეფას თასი დაერქვა და მისი პირველი მფლობელი ბილ ნიკოლსონის „ტოტენჰემი“ გახდა. სახელის შეცვლამ შინაარსიც სხვაგვარი გახადა. აქედან მოყოლებული ტურნირში მხოლოდ იმათ შეეძლოთ მონაწილეობა, რომლებიც საკუთარ ჩემპიონატებში მაღალ ადგილებს დაიკავებდნენ, ხოლო 1996 წლიდან მასში ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო წრიდან ვერგასული გუნდებიც ჩაერთვნენ. ამის „ბედნიერება“ ჩვენს თბილისის „დინამოსაც“ ჰქონდა.

ყველაზე მეტჯერ შეჯიბრში იტალიურ და ინგლისურ კლუბებს უმარჯვიათ (9-ჯერ), ესპანელები პრიზს 8-ჯერ ფლობდნენ, გერმანელები 6-ჯერ, ჰოლანდიელები — 3-ჯერ, შვედები 2-ჯერ, უნგრელები, იუგოსლავიელები და ბელგიელები თითოჯერ.

ყველაზე მეტჯერ თასი „ბარსელონამ“, „იუვენტუსმა“ და „ინტერმა“ (3-3-ჯერ) მოიგეს. უმეტესი აუდიტორია კი 1979 წელს იუგოსლავიური „ცრვენა ზვეზდასა“ და დასავლეთგერმანული „მიონხენგლადბახის“ ფინალს დაესწრო ბელგრადში (87 500).

შარშან თასი იტალიურმა „ინტერმა“ მოიპოვა. რონალდომ და კომპანიამ შანსი არ დაუტოვეს თანამემამულე „ლაციოს“ — 3:0. ეს თამაში პარიზში გაიმართა და ტურნირის ისტორიაში პირველი იყო, რომელიც ერთ მატჩში ჩატარდა.

წლევანდელი ფინალისტებიდან კი ორნი — პარმელი დინო ბაჯო და მარსელელი ფაბრიციო რავანელი უკვე ფლობდნენ უეფას თასს. ეს ამბავი 1993 წელს მოხდა, როცა ორივე „იუვენტუსში“ თამაშობდნენ. თუმცა, რავანელი ორი გაფრთხილების გამო მოსკოვურ დუელს გამოტოვებს.

**სოლომონ გულისაშვილი**



სარბიელის არქივიდან

1998 წლის ფინალი. პარიზი. „ინტერი“ უეფას თასის მოგებას ზეიმობს

### ფეხბურთის რუკასთან



**ჩეხეთის** ეროვნული გუნდის მეკარემ, პეტერ კოუბამ თქვა, ესპანური „დეპორტივო ლა კორუნიადან“ წასვლა მინდაო. მიზეზი მარტივზე მარტივია და ტრადიციულზე ტრადიციული: „კონტრაქტით კიდევ ორი წელიწადი დამრჩა, მაგრამ დარჩენა აღარ მსურს. აგერ უკვე სამი სეზონია, აქ ვარ და ფაქტობრივად სულ სათადარიგოთა სკამზე ვზივარ“ — დაიჩივლა უმოქმედობით დატანჯულმა ფეხბურთელმა. ვინაიდან „დეპორტივოში“ ძირითადი შემადგენლობის ადგილი ვერაფრით მოიპოვა, კოუბამ ცოტა-ცოტა, გასესხებული მოთამაშის სტატუსით, გერმანულ „კაიზერსლაუტერნსა“ და ჩეხურ „ვიქტორია ჟიჟკოვში“ სცადა ბედი, მაგრამ იანვარში ესპანეთს დაუბრუნდა. „სამი საფეხბურთო წელიწადი დამაკარგინეს. წლეულს ვერც ველაპარაკე კლუბის პრეზიდენტს აუგუსტო ლენდოირიოს. მასთან საუბარს ყოველ ცისმარე კვირას ვითხოვ, მაგრამ ერთსა და იმავეს მპასუხობენ, პრეზიდენტი აქ არ არისო“ — ერთხელაც დაიჩივლა გულდაჩეხილმა ჩეხმა.

**ბრაზილიელი თავდამსხმელი, სონი ანდერსონი, ესპანურ „ბარსელონაში“ რჩება. ამის შესახებ გუნდის ჰოლანდიელმა მწვრთნელმა, ლუის ვან გაალმა აცნობა საზოგადოებრიობას. აქამდე ამბობდნენ, რომ ანდერსონი „ბარსელონას“ ხელმძღვანელებს გათავისუფლებას თხოვდა, მაგრამ, როგორც გაირკვა, ის მონაჭორი ყოფილა. „სისულელეა, თუ კლუბი გამიშვებს, წავალ, თუ არა და სიამოვნებით დავრჩები“ — განაცხადა ბრაზილიელმა. შეგახსენებთ, რომ „ბარსელონამ“ სონი ანდერსონი „მონაკოსგან“ 1997 წელს იყიდა და მასში 20 მილიონი დოლარი გადაიხადა.**

**ფრანგული** „მარსელის“ გვინეელმა ფეხბურთელმა ტიტი კამარამ განაცხადა, რომ მისი ინგლისურ „ლივერპულში“ გადასვლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ლივერპულელთა ფრანგი მწვრთნელი, ჟერარ ულიეა. 26 წლის თავდამსხმელში ინგლისის ტიტულოვანი კლუბი 4 მილიონ დოლარს იხდის. გვინეელი ახალ გუნდს უეფას თასის ფინალური შეხვედრის მერე მიაშურებს. „ძალის პრემიერლიგაში მოსინჯვა ჩემთვის დიდი გამოწვევაა, მაგრამ ყველაფერზე მნიშვნელოვანი ჟერარ ულიესა და მეორე ფრანგი მწვრთნელის, პატრის ბერჟეს ფაქტორი გახლავთ“ — თქვა შავკანიანმა, რომელიც, ამასწინათ, როდესაც „ლივერპული“ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ 0:2-ს აგებდა და ორი გოლის შეგდება მოახერხა, სტადიონზე გახლდათ. „თავად გარემოც განსაკუთრებული მეჩვენა“ — განაგრძო ფორვარდმა. — „მიუხედავად იმისა, რომ გუნდი 0:2-ს აგებდა, ფანები მსარდაჭერას არ წყვეტდნენ, პირიქით, ფეხბურთელებს გამარჯვებისკენ აქეზებდნენ. ასეთი რამ საფრანგეთში არასდროს მოხდება. ერთი სული მაქვს, ინგლისში როდის გადმოვბარგდები.“



# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **უეფას თასის ფინალი** | | | | |
| 12.05 | პარმა — მარსელი | (1,35-2,5) | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | **გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა** | | | | |
| 11.05 | ვერდერი — შალკე | | 1,7 | 3,3 | 4,0 |
| | **გერმანიის ჩემპიონატი. მეორე ბუნდესლიგა** | | | | |
| 12.05 | ჰანოვერი — ურდინგენი | | 1,5 | 3,6 | 5,0 |
| | **ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა** | | | | |
| 11.04 | ლიდსი — არსენალი | | 4,7 | 3,3 | 1,6 |
| 12.05 | ბლექბერნი — მანჩესტერი | | 7,0 | 4,2 | 1,3 |
| | **ჰოლანდიის ჩემპიონატი** | | | | |
| 12.05 | როდა — ფეიენოორდი | | 2,1 | 3,0 | 3,1 |
| | **ჰოლანდიის თასი** | | | | |
| 13.05 | აიაქსი — სიტარდი | | 1,5 | 3,6 | 5,0 |
| | **ბელგიის ლიგის თასი** | | | | |
| 13.05 | სენტ ტრუიდენი — ეკერენი | | 2,1 | 3,0 | 3,1 |
| | **შვედეთის ჩემპიონატი** | | | | |
| 11.05 | იორგრიტე — გიოტებორგი | | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | **ავსტრიის ჩემპიონატი. XXXIII ტური** | | | | |
| 11.05 | ტიროლი — ლინცერი | | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | გრაცერი — ლუსტენაუ | | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| | ზალცბურგი — რიდი | | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | შტაირი — შტურმი | | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| | რაპიდი — აუსტრია | | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | **ჰოკეი. NHL** | | | | |
| 11.05 | დეტროიტი — კოლორადო | | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| | პიტსბურგი — ტორონტო | | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 12.05 | ბუფალო — ბოსტონი | | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| | სენტ ლუისი — დალასი | | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| | *ჰოკეის მსოფლიო ჩემპიონატის კოეფიციენტებს გაეცნობით ადგილზე* | | | | |
| | **კალათბურთი. NBA** | | | | |
| 11.05 | ორლანდო — ფილადელფია | | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | სან ანტონიო — მინესოტა | | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | ინდიანა — მილუოკი | | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | ლეიკერსი — ჰიუსტონი | | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 12.05 | დეტროიტი — ატლანტა | | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| | ნიუ იორკი — მაიამი | | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | ფინიქსი — პორტლენდი | | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| | საკრამენტო — იუტა | | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 13.05 | მილუოკი — ინდიანა | | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | ფილადელფია — ორლანდო | | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | მინესოტა — სან ანტონიო | | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | ჰიუსტონი — ლეიკერსი | | 1,4 | 12,0 | 2,3 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# მდივნის არ გესმით? ფედერაცია გაგაგებინებთ!

**8 მაისი, თბილისი, ვერის ბაღი — 32 ტური**

**ასკ 70:101 კოლხა**

I ტაიმი 40:46

ასკ: ქართველიშვილი (14), სპარსიაშვილი (24), აკოლაშვილი (6), მუსერიძე (3), ნუცუბიძე (8); ნოზაძე (2), ნათაძე (7), ალავიძე, გელაშვილი (6)

კოლხა: ბერიშვილი (40), თოდუა (13), ქარუმიძე (11), კვაჭაძე (11), უგრეხელიძე (10); კეიდია (16)

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე

დელეგატი: აკაკი მეგრელაძე

**8 მაისი, თბილისი, ვერის ბაღი — 32 ტური**

**აზოტი 99:79 შევარდენი**

I ტაიმი 43:42

აზოტი: ულენტი (11), გაბისონია (3), გოგობერიშვილი (17), ბაბიაშვილი (28), ჯაფარიძე (11); ბერუაშვილი (3), გოგოლაძე (10), ჩაჩუა (12), დანელიანი (2), კოქლამაზაშვილი, ჯიმშელეიშვილი (2)

შევარდენი: კაზანჯიანი (24), გაგნიძე (24), მოისწრაფიშვილი (2), ოქრიაშვილი (12), ლვინეფაძე (6); მესხი (9), ტაბატაძე, კერძაია (2)

მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, ლაშა თოიძე

დელეგატი: ნოდარ დარახველიძე

**8 მაისი, თბილისი, ვერის ბაღი — 32 ტური**

**დინამო 76:65 თსუ**

I ტაიმი 44:33

დინამო: ხოშტარია (25), მაისურაძე (27), ხეცურიანი (4), აბულაძე (2), კილაძე (12); ნინიაშვილი, ნიკოლაძე (4), შანიძე (2)

თსუ: ვეფხვაძე (4), ნონელია (14), მარკოიშვილი (2), არსიაშვილი, ქარაბაკი (24); მშვილდაძე (2), დიმიტრიადი (10), ხელაშვილი (9)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

დელეგატი: თენგიზ ქიქოძე

**8 მაისი, თბილისი, ვერის ბაღი — 32 ტური**

**სდასუ 76:83 მაკაბი**

I ტაიმი 31:43

სდასუ: ორჯონიკიძე (2), არჩვაძე (5), თორთლაძე (29), გიგაშვილი (9), ხარაძე (4); გიგაური (5), უძილაური (22), აბულაძე

მაკაბი: დ. ბერიშვილი (20), ი. ბერიშვილი (24), მჭედლიშვილი (2), ლასარეიშვილი (11), ფერიაშვილი (24), რიჟინაშვილი (2), ნაცვლიშვილი

მსაჯები: ლაშა თოიძე, ზურაბ აბაშიძე

დელეგატი: აკაკი მეგრელაძე

**8 მაისი, თბილისი, ვერის ბაღი — 32 ტური**

**ვითა 85:76 სტუ**

I ტაიმი 37:32

ვითა: უსტიაშვილი (9), აბრამიძე (16), კოკოლიშვილი (5), ორმოცაძე (11), კორძაძე (5); ვაშაკიძე, ტურაშვილი (20), ჩუბინიძე (19)

სტუ: გაგნიძე (10), ნაცვლიშვილი (17), ჩხეიძე (9), ცქიტიშვილი (14), ოთიურიძე (10); სუხიშვილი, მოისწრაფიშვილი, ჩერქეზიშვილი (2), ლოსაბერიძე (12), მინაშვილი (2), მიქაძე

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე

დელეგატი: მურმან ქურიძე

ჭირმა თავი არ დამალაო — უთქვამს ბრძენკაცს. ძნელია, არ დაეთანხმო ამის მთქმელს, მით უფრო, რომ შაბათს სენმოძალებულმა სდასუ-მ ამ ძველთაძველ სიბრძნეში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა. ის, რომ შარშანდელ ბრინჯაოს პრიზიორებს წლეულს ყველაფერი რიგზე არ ჰქონდათ, ამას ყველა ხვდებოდა, მაგრამ, ფინალურ ოთხეულში მოსახვედრად მებრძოლნი „მაკაბის" თუ ვერ აჯობებდნენ, ცოტა თუ წარმოიდგენდა.

ახლა, როცა უკვე მოსახდენი მოხდა, სდასუ-მ „მაკაბისთან" წააგო და პლეი ოფზე ოცნებასაც გამოემშვიდობა, ერთი ფიქრი ამეტორლიალა და არ მასვენებს: — უნდოდათ კი სტუდენტებს გამარჯვება? ალბათ, ჰო. რატომაც არა, მაგრამ მომკალით და ამ გუნდს მოგების სურვილით წვა იმ დღეს ვერაფრით შევატყვე. მით უმეტეს, ეს თამაში არც მისი მეტოქისთვის გახლდათ რითიმე მნიშვნელოვანი (პრესტიჟის ფაქტორს თუ არ ჩავთვლით), რადგან მაკაბელთა სატურნირო მდგომარეობა და ქულათა მარაგი მათი მყარი მეშვიდეადგილოსნობის გარანტია იყო და ასევე დარჩა.

მოვლენებს წინ გავუსწრებ და ვიტყვი, რომ ფინალურ ოთხეულში ადგილდაბევებული „აზოტის" გარდა, წესით, „ვითა" და სტუ-ც უნდა მოხვდნენ. აი, პლეი ოფის მეოთხე საგზურისთვის ბრძოლას კი სდასუ-ს წაგების შემდეგ ორი გუნდიღა შემორჩა — „დინამო" და თსუ, რომელნიც შაბათს ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ.

„დინამო" ბევრად უფრო მობილიზებული შეხვდა უშუალო კონკურენტთან თამაშს, ვიდრე თსუ. რაც მართალია, მართალია — ლევან მოსეშვილის შეგირდებმა ყველა საკალათბურთო კომპონენტში დაჩაგრეს ნოდარ ქორქიას დამოძღვრილები, მწვრთნელ — ქორქიასა და მწვრთნელ — მოსეშვილის აზრთა ჭიდილიც აშკარად ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა.



ვითა — სტუ. რეზო ჩხეიძის (№15) წინ ვითელი გოდერძი კორძაძე აღმართულა

ორი ირაკლის, ხოშტარიასა და მაისურაძის დაცვითი ქმედება თსუ-სთვის გადაულახავ ბარიერად იქცა, დინამოელთა შეტევებიც ხომ ძირითადად ამ კალათბურთელებზე იყო აგებული. ასე განსაჯეთ — „დინამოს" მიერ მოგროვებული 76 ქულიდან 52 სწორედ ხოშტარიასა და მაისურაძეზე მოდიოდა.

დინამოელები თავიდანვე დაწინაურდნენ. მოსეშვილის ხშირმა და დროულმა ტაქტიკურმა გადაადგილებებმა — პერსონალური დაცვის ზონურზე გადაწყობამ და პირიქით — მალე შედეგიც გამოიღო. შუაგული ტაიმისთვის უკვე სოლიდური სხვაობით — 34:15 იგებდნენ, თუმცა აქ ლევან ქარაბაკი ათამაშდა კარგად და ყველაზე მეტი, რაც შეძლო, ის იყო, რომ სხვაობა ექვს ქულამდე შეამცირა. ამის მერე ტაიმის ბოლომდე და მთელი მეორე ნახევრის განმავლობაში „დინამოს" უპირატესობა ეჭვს აღარ იწვევდა.

„ვითა" — სტუ-ს შეხვედრას გარდა იმისა, რომ ჩემპიონატის მეორე და მესამეადგილოსანთა დაპირისპირება გახლდათ, სხვა, გაცილებით მნიშვნელოვანი დატვირთვაც ჰქონდა. საქმე ისაა, რომ თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, პლეი ოფის ნახევარფინალში სწორედ ეს გუნდები უნდა შეებნენ ერთმანეთს და იმ შემთხვევაში, თუ შაბათს „ვითა" მოიგებდა (მოიგო კიდეც), ჩემპიონატის მანძილზე ურთიერთშეხვედრებში უკეთესი მაჩვენებლის 3:1 წყალობით ექვსგზის ჩემპიონი პლეი ოფშიც ფორით, ანუ ერთი მოგებით შეაღწევდა. სტუ-ს წარმატების შემთხვევაში კი ნახევარფინალურ სერიას გუნდები თანაბარ პირობებში შეხვდებოდნენ.

აკი გითხარით, „ვითამ" მოიგო, უფრო მეტად გამოცდილმა და ორგანიზებულად მოთამაშე გუნდმა, თუმცა საწყისი წუთები მას კარგს არაფერს უქადდა. ორმოცაძემ ანგარიში კი გახსნა, მაგრამ შემდეგ ასე 4 წუთის მანძილზე ბურთის ჩაგდება ვერც ერთმა მისმა თანაგუნდელმა ვერ მოახერხა, მაშინ, როცა ნაცვლიშვილსა და ოთიურიძეს გვარიანად — 10:2 დაეწინაურებინათ თავისიანები. დაცვას მოწინააღმდეგენი საგანგებო ყურადღებას უთმობდნენ და შედეგიანობაც არცთუ მაღალი იყო. პირველი სამქულიანი მხოლოდ ტაიმის დამთავრებამდე 4,30 წუთით ადრე ჩააგდო აბრამიძემ, რითაც ჩემპიონი წინ გავიდა და თამაშიც გაიხსნა. აქტიურად ჩაერთო მამუკა ტურაშვილი — შორიდან ზუსტად ესროლა, თანაგუნდელები სწრაფი პასებით მოამარაგა და „ვითას" ტაიმის მოგება აღარ გასჭირვებია.

მეორე ნახევარი მთლიანად „ვითასი" იყო. დავით უსტიაშვილმა ბურთის აზრიანად გათამაშებას მიჰყო ხელი, რის შედეგადაც მისი პარტნიორები — აბრამიძე, ტურაშვილი, ჩუბინიძე და ორმოცაძე მონაცვლეობით აგროვებდნენ ქულებს. სტუ-ს მწვრთნელმა, თამაზ ოქრუაშვილმა ძალამომატებული მეტოქის შესაჩერებლად ვერაფერი მოიგონა, გარდა იმისა, რომ თითქმის უკვე წაგებულ თამაშში გამოცდილი ნიკო ჩერქეზიშვილი ჩართო.

გვიანი იყო, აშკარად გვიანი...

კოლხი ბუბა ბერიშვილის თავგანწირული და, რაც მთავარია, შედეგიანი (40 ქულა) თამაში სრულიად საკმარისი აღმოჩნდა არმიელთა დასამარცხებლად. კარგა ხანს მდევრის როლში მყოფმა „კოლხამ" სწორედ ბერიშვილის ძალისხმევით შეძლო წინ გასვლა.

„აზოტი" — „შევარდენის" მატჩზე კი ბევრიც არაფერია სათქმელი. მართალია, „შევარდენი" უბრძოლველად არაფერს თმობდა, მაგრამ რუსთაველებმა, როგორც ვვარაუდობდი, მშვიდად, აუღელვებლად მიიყვანეს შეხვედრა სასურველ შედეგამდე.

**გიორგი ბიჭაშვილი**

**9 მაისი, თბილისი, ვერის ბაღი — 33 ტური**

**სტუ 101:100 ასკ**

I ტაიმი 52:59

სტუ: მიქაძე (11), მოისწრაფიშვილი (8), ლოსაბერიძე (11), ნაცვლიშვილი (18), ოთიურიძე (17); სუხიშვილი (7), გაგნიძე (12), მინაშვილი (9), ჩხეიძე (2), ცქიტიშვილი (6)

ასკ: აკოლაშვილი (25), სპარსიაშვილი (2), მუსერიძე, გელაშვილი (30), ნუცუბიძე (10); ქართველიშვილი (24), ნოზაძე (9)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

დელეგატი: ნოდარ დარახველიძე

**9 მაისი, თბილისი, ვერის ბაღი — 33 ტური**

**კოლხა 115:118 შევარდენი**

I ტაიმი 52:39, ძირითადი დრო 100:100, I ოვერტაიმი 112:112

კოლხა: ბერიშვილი (24), თოდუა (1), კვაჭაძე (16), კეიდია (26), უგრეხელიძე (22); არველაძე (3), ულენტი (4), ქარუმიძე (17), ბერეკაშვილი (2)

შევარდენი: კაზანჯიანი (32), გაგნიძე (20), მაჭავარიანი (25), მოისწრაფიშვილი (31), ლვინეფაძე; ოქრიაშვილი (10), მესხი

მსაჯები: ლაშა თოიძე, ზურაბ აბაშიძე

დელეგატი: ნოდარ დარახველიძე

**9 მაისი, თბილისი, ვერის ბაღი — 33 ტური**

**თსუ 108:109 აზოტი**

I ტაიმი 47:55, ძირითადი დრო 94:94

თსუ: ვეფხვაძე (3), ნონელია (15), მარკოიშვილი (22), ქარაბაკი (34), ხელაშვილი (18); მშვილდაძე (1), დიმიტრიადი (15)

აზოტი: ულენტი (15), გაბისონია (9), გოგობერიშვილი (35), ბაბიაშვილი (16), ჯაფარიძე (14); ბერუაშვილი (15), ჩაჩუა (5), ჯიმშელეიშვილი

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

დელეგატი: მურმან ქურიძე

**9 მაისი, თბილისი, ვერის ბაღი — 33 ტური**

**ვითა 82:69 მაკაბი**

I ტაიმი 35:29

ვითა: უსტიაშვილი (3), აბრამიძე, ბაქრაძე (8), კოკოლიშვილი (12), ახალკაცი (20); ვაშაკიძე (23), ტურაშვილი, ჭირაქაძე (8), ჩუბინიძე (2)

მაკაბი: დ. ბერიშვილი (15), ი. ბერიშვილი, ნაცვლიშვილი (17), ლასარეიშვილი (8), ფერიაშვილი (21); რიჟინაშვილი (2), მჭედლიშვილი (6)

მსაჯები: ლაშა თოიძე, ზურაბ აბაშიძე

დელეგატი: თენგიზ ქიქოძე

**9 მაისი, თბილისი, ვერის ბაღი — 33 ტური**

**სდასუ 69:93 დინამო**

I ტაიმი 40:54

სდასუ: უძილაური (13), თორთლაძე (14), ლ. აბულაძე (15), გიგაშვილი , ხარაძე (4); არჩვაძე (4), გიგაური (11), ორჯონიკიძე (8)

დინამო: მაისურაძე (16), ხოშტარია (12), ხეცურიანი (3), გ. აბულაძე (6), კილაძე (21); ნინიაშვილი (13), ნიკოლაძე (11), სანიკიძე (5), შანიძე (6)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

დელეგატი: აკაკი მეგრელაძე

სტუდენტთა მწვრთნელი ნოდარ ქორქია აღშფოთებას ვერ მალავდა. დამატებითი დროის დამთავრებამდე 17 წამით ადრე რუსთაველებმა ანგარიშის სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს. ბურთი თსუ-ს შემოჰქონდა. ქორქიამ კუთვნილი წუთშესვენება მოითხოვა. მატჩის მდივანმა, ლიზა აზიზოვამ მიკროფონით ორჯერ აცნო მსაჯებს მწვრთნელის მოთხოვნა, მაგრამ შეხვედრა გაგრძელდა. თუმცა, დრო გაჩერებულია. სტუდენტმა გიორგი მარკოიშვილმა მოედნის შუაგულში ბურთი დაკარგა, მას აზოტელი გოგობერიშვილი დაეუფლა. თსუ დაჯარიმდა, რუსთაველთა ლიდერმა ორივე საჯარიმო ზუსტად გამოიყენა და გუნდიც დააწინაურა. თსუ-ს შეტევისათვის დარჩენილი წამები არ ეყო. „აზოტმა" გაიმარჯვა და შეიძლება ითქვას, სასწაული მოახდინა — იგი ხომ დამატებითი დროის დამთავრებამდე 56 წამით ადრე 6 ქულას აგებდა. ამ დროის მანძილზე სტუდენტებს მეტოქის კარში ბურთი არ უსვრიათ, ყველა შეცდომა სათამაშო მომენტში დაუშვეს, რუსთაველებმა კი ყოველივე თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს. ნოდარ ქორქიამ შეხვედრის შემდეგ ემოციები ველარ დაიოკა და მსაჯთა მაგიდასთან გაუთავებლად დავობდა. ამან ის შედეგი მოიტანა, რომ მდივანი, მსაჯები, მატჩის დელეგატი მურმან ქურიძე, ქორქია და სხვანი მსაჯთა ოთახში შეიკეტნენ გაუგებრობის გასარკვევად. მალე მსაჯთა კოლეგის თავმჯდომარე მურმან ქურიძემ გასახდელში მყოფ შხაპმიღებულ, ზოგსაც ჩაცმულ მოთამაშეს ბოლო 17 წამის ხელახლა გადათამაშება ამცნო.

ყოველივე ამას დიდი აყალმაყალი მოჰყვა. კამათი კიდევ კარგა ხანს გაგრძელდა და ბოლოს ამ საკითხის გარჩევა კალათბურთის ფედერაციას მიანდეს.

თსუ-ს გუშინ პროტესტიც შეუტანია ფედერაციაში და როგორც შევიტყვეთ, ამაზე ხვალ იმსჯელებენ. ახლა კი მოკლედ გიამბობთ მატჩის მსვლელობაზე.

შეხვედრას თავიდანვე არ დაჰკლებია ემოციები, თსუ-ს ხომ პლეი ოფში მოსახვედრად ჰაერივით სჭირდებოდა მოგება და მოედანზე საბრძოლო განწყობილებით გამოვიდა. მეტოქეებმა ერთმანეთს პერსონალური დაცვა დაუპირისპირეს. პირველი ტაიმის ნახევარი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, მეთორმეტე წუთისათვის კი გოგობერიშვილის სამიანის შემდეგ „აზოტის" 10-ქულიანი უპირატესობა გამოიკვეთა. თვალშისაცემი იყო თსუ-ელი ქარაბაკისა და რუსთაველი ბაბიაშვილის ჭიდილი. ამ მატჩში ქარაბაკი საუკეთესო იყო თავისი გუნდის შემადგენლობაში, სწორედ მისი წყალობით წამოეწივნენ სტუდენტები მეტოქეს, თუმცა დროებით — „აზოტმა" ტაიმი 8-ქულიანი სხვაობით დაასრულა.

მეორე ნახევარში რუსთაველთა უპირატესობა ნელ-ნელა გაქრა. ხელაშვილმა და ლევან ქარაბაკმა ჯერ გაათანაბრეს ანგარიში, მერე კი ნონელიამ წინ გაიყვანა თსუ.

„აზოტს" ცენტრი ირაკლი ჯაფარიძეს თამაში ჩვეულად არ წაუვიდა და მწვრთნელმა ოთარ ხმელიძემ მის მაგივრად მოედანზე გამოიყვანა მიხეილ ბერუაშვილი, რომელიც ფარზეც გაბატონდა და შეტევაშიც მშვენივრად გაისარჯა. თუმცა „აზოტი" უკვე მდევრის როლში იყო. ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ თსუ-ს უნდა მოეგო. მატჩს ძირითადი დროის დამთავრებამდე წუთნახევარი რჩებოდა, როცა რამაზ გოგობერიშვილმა მეტად დროული სამიანი ჩააგდო და სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა. რუსთაველები მშვილდაძესთან ბრძოლისას დაჯარიმდნენ, ამ უკანასკნელმა ორიდან ერთი ჩააგდო. გოგობერიშვილმა ეფექტური შესვლით საქმე დამატებით დრომდე მიიყვანა... დანარჩენი კი უკვე მოგახსენეთ.

„კოლხა" — „შევარდენის" მატჩშიც მძაფრი დაპირისპირება ვიხილეთ. მეორე ნახევრის მე-10 წუთზე სოხუმელებით მეტოქეს 14 ქულით უგებდნენ, მაგრამ „შევარდენმა" თამაში გარდატეხა შეიტანა და ძირითადი დროის ბოლო წამებზე კახა მაჭავარიანმა ანგარიში გაათანაბრა. პირველ ოვერტაიმში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, მეორე დამატებით დროში კი კაზანჯიანმა და მისმა თანაგუნდელებმა მეტოქეზე მეტად მოინდომეს.

„დინამომ" კი ბოლო იმედი გადაუწურა სდასუ-ს.

პლეიოფგანაღდებულმა სტუ-მ აუტსაიდერ ასკ-თან პირველი ნახევარი 7-ქულიანი სხვაობით დათმო, მაგრამ მეორე ტაიმში იოლად დაწინაურდა და გაიმარჯვა კიდეც.

ექვსგზის ჩემპიონი „ვითა" „მაკაბისთან" შეხვედრაში ლიდერობდა, მერე კი მოდუნდა და მეტოქეს დაწინაურების საშუალება მისცა. თუმცა ბოლოს კი გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა.

**ზურაბ გონჯაშვილი**

**33 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 33 | 32 | 1 | 3011:2454 | 65 |
| ვითა(–1) | 33 | 26 | 7 | 2451:2131 | 58 |
| დინამო | 33 | 21 | 12 | 2630:2476 | 54 |
| სტუ | 31 | 22 | 9 | 2558:2417 | 53 |
| თსუ | 31 | 18 | 13 | 2621:2464 | 49 |
| სდასუ | 30 | 15 | 15 | 2239:2278 | 45 |
| მაკაბი | 32 | 10 | 22 | 2355:2541 | 42 |
| კოლხა | 31 | 7 | 24 | 2331:2712 | 38 |
| შევარდენი | 33 | 5 | 28 | 2362:2818 | 38 |
| ასკ | 33 | 4 | 29 | 1809:2076 | 37 |

1999 NBA PLAYOFFS

პლეი ოფი. პირველი წრე (სამ მოგებამდე)

# სად ჩემპიონატი, სად — პლეი ოფი...

## აღმოსავლეთი

### მაიამი — ნიუ იორკი 0:1

8 მაისი

**მაიამი 75:95 ნიუ იორკი**

**მაიამი:** ჰარდევეი (10), მარლი (1), მაშბურნი (7), ბრაუნი (8), მურნინგი (27); ლენარდი (11), სტრიკლენდი (4), პორტერი (3), ვეზერსპუნი (2), კოზველი (2)

**ნიუ იორკი:** ვორდი (3), ჰიუსტონი (22), ტომასი (6), ჯონსონი (15), იუინგი (9 ქულა, 15 მოხსნა); სპრიუელი (22), კემბი (11), ჩაილდსი (5), დადლი (2), ბრანსონი, ვილიამსი

„დღესდღეობით მე აღმოსავლეთში ვერ ვხედავ გუნდს, რომელიც ჩვენს გაჩერებას შეძლებს." — დაიქადნა ნიუ იორკის ბებერმა ლიდერმა პატრიკ იუინგმა. ამ დღეს სტუმარი მართლაც ერთი თავით მაღლა იდგა მასპინძელზე. ნიუ იორკმა პატ რაილის ბიჭებს დიდი სირცხვილი აჭამა. თვითონ იუინგს შეტევაში ხელი მოეცარა: მხოლოდ 9 ქულას დააჯერა მეურვე ალონზო მურნინგმა, რომელიც მასპინძელთაგან ყველაზე უკეთ ირჯებოდა. სტუმრები კი, ალან ჰიუსტონისა და ლატრელ სპრიუელის მეთაურობით, ქულას ქულაზე აგროვებდნენ. უკვე პირველ ნახევარში მოითავეს საქმე.

### ინდიანა — მილუოკი 1:0

9 მაისი

**ინდიანა 110:88 მილუოკი**

**ინდიანა:** ჯეკსონი, მილერი (16), მულინი (15), დ. დევისი (16 ქულა, 15 მოხსნა), სმიტსი (8); როუზი (24), მაკკიი (11), ა. დევისი (9 ქულა, 11 მოხსნა), პერკინსი (5), ბესტი (2), ჰოიბერგი (2), კროშერი (2)

**მილუოკი:** კასელი (19), ალენი (22), რობინსონი (16), ტომასი (9), ტრეილორი (3); გილიამი (9), ჯონსონი (4), დ. კარი (2), მ. კარი (2), ვორქმენი (2), გატლინგი

მილუოკი შვიდი სეზონის შემდეგ პირველად მოხვდა პლეი ოფში, მაგრამ დასაკლავი ბატკანივით განწირული ესტუმრა ინდიანას და იქიდან შინ სირცხვილნაჭამი გაბრუნდა. მასპინძელთაგან ბევრმა ითამაშა კარგად, ჯალენ როუზმა კი ბრწყინვალედ და 24 ქულით თავისი საპლეიოფო კარიერის რეკორდიც დაამყარა.

### ორლანდო — ფილადელფია 0:1

9 მაისი

**ორლანდო 90:104 ფილადელფია**

**ორლანდო:** არმსტრონგი (18), ჰარდევეი (19), ანდერსონი (18), გრანტი (4), ოსტინი (8); დოლიკი (11), ჰარპრინგი (4), სტრონგი (4), ოუთლოო (4), ბ. არმსტრონგი

**ფილადელფია:** სნოუ (7), აივერსონი (30), ლინჩი (15 ქულა, 12 მოხსნა), რეთლიფი (7), გეიგერი (23 ქულა, 10 მოხსნა); ჰუგსი (11), ჰილი (8), ჰონიკატი (2), მაკკოი (1), მუჰამედი, მაჰონი, გრანტი

ფილადელფიამ მძლავრად შეუტია დამხვდურ ორლანდოს ლიგის უპირველესი მექულის, ალენ აივერსონის წინამძღოლობით და სტუმრად გამარჯვებაც იზეიმა, რითაც შემდეგ ეტაპზე გასვლის სერიოზული განაცხადი გააკეთა. თურმე ნუ იტყვით და სიცოცხლეში პირველი საპლეიოფო მატჩის წინ აივერსონს ძალიან უნერვიულია, წუხელ დაძინება ვერ მოვახერხე, სულ 15 წუთით ჩამთვლიმაო.

### ატლანტა — დეტროიტი 1:0

8 მაისი

**ატლანტა 90:70 დეტროიტი**

**ატლანტა:** პლეილოკი (18), სმიტი (19), კროუფორდი (9), ლონგი (14), მუტომბო (17 ქულა, 19 მოხსნა, 6 დაფარება); კორბინი (13), გრეი, ჰენდერსონი, ჯონსონი, მაკლეოდი, შეპარდი, ვესტი

**დეტროიტი:** ჰანტერი (7), დუმარსი (3), ჰილი (26), ვილიამსი (7), დელი (7); ლეიტნერი (9), სტეკჰაუზი (7), ბიუპლერი (2), მონტროსი (2), ობენონი

დაიწყო თუ არა მატჩი, ჯორჯიელებმა დეტროიტის რბევას მიჰყვეს ხელი ისე, რომ მხოლოდ გრანტ ჰილის წინააღმდეგობას წააწყდნენ. ატლანტელთა ცენტრმა დიკემბე მუტომბომ ბურთებიც ყარა, ბლომად მოხსნაც მიითვალა და კარგადაც უფარა სტუმართა მალლებს, რომლებიც მის ფრჩხილადაც არ ღირან. და იმ დღეს არამარტო მუტომბო არბევდა მეტოქეს.



REUTERS

იუტა — საკრამენტო. ჯონ სტოქტონმა საკრამენტოელი ჯეისონ ვილიამსი (№55) დააჩოქა

## დასავლეთი

### სან ანტონიო — მინესოტა 1:0

9 მაისი

**სან ანტონიო 99:86 მინესოტა**

**სან ანტონიო:** ჯონსონი (21 ქულა, 10 პასი), ელი (5), ელიოტი (14), დანკანი (26 ქულა, 12 მოხსნა), რობინსონი (12); ჯეკსონი (10), დანიელსი (5), კერსი (4), პერდიუ (2), კერი, როუზი

**მინესოტა:** ბრენდონი (16 ქულა, 11 პასი, 8 მოხსნა), პილერი (7), მიჩელი (19), გარნეტი (21), სმიტი (7); გარეტი (7), სილი (5), ჰამონდსი (2), ნესტეროვიჩი (2), ჯეკსონი, რობინსონი

ამ მატჩში, ნაკლებად იყო დაძაბულობა და დიდი ოფლის ღვრა. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: მინესოტამ ვერ გააჩერა ვერც სან ანტონიო და ვერც მისი ყმაწვილი ლიდერი ტიმ დანკანი. მხოლოდ პირველ ნახევარში უწევდნენ წინააღმდეგობას სტუმრები და ტაიმიც მხოლოდ ერთი ქულის სხვაობით დათმეს, მაგრამ მეორეში ყველაფერი კალაპოტში ჩადგა. დანკანმა და ჯონსონმა მასპინძლების შეტევები უფრო დაალაგეს და შედეგმაც არ დააყოვნა.

### პორტლენდი — ფინიქსი 1:0

8 მაისი

**პორტლენდი 95:85 ფინიქსი**

**პორტლენდი:** სტუდემაიერი (8), რაიდერი (25), ვოლესი (7), გრანტი (16 ქულა, 10 მოხსნა), საბონისი (12 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი); ჯეკსონი (12), ვილიამსი (7), კატო (4), ოგმონი (2), ენტონი (2)

**ფინიქსი:** კიდი (17), ჩეპმენი (9), გულიოტა (12), რობინსონი (9), ლონგლი (2); მაკლაუდი (15), მენინგი (14), გარიტი (5), ლივინგსტონი (2)

პორტლენდმა მშვენიერი სეზონი ჩაატარა, დანაკარგის გარეშე მიაღწია პლეი ოფს და აქაც პირველ თამაშში დაუძაბავად მოუგო ფინიქსს, რომელიც აგერ ბოლო სამი წელია, პირველ წრიდან ვარდება და საქმეს ისეთი პირი უჩანს, არც წლეულს შეიცვლება რაიმე.

### იუტა — საკრამენტო 1:0

8 მაისი

**იუტა 117:87 საკრამენტო**

**იუტა:** სტოქტონი (17), ჰორნაჩეკი (18), რასელი (4), მელოუნი (21), ოსტერტაგი (16); ეისლი (14), კიფი (13), ფალერი (6), ანდერსონი (2), ბეილი (2)

**საკრამენტო:** ვილიამსი (11), ბერი (7), ვილიამსონი (6), ვებერი (14), დივაცი (12); სტოიაკოვიჩი (9), ფანდერბურკი (8), პოლარდი (8), ჯეიმსი (5), მაქსველი (3), ჰოკინსი (2)

არ გამართლდა ვარაუდი, თითქოს იუტა საკრამენტოს მხრიდან დიდ წინააღმდეგობას გადააწყდებოდა. მასპინძელთა უდიდესმა გამოცდილებამ თავისი გაიტანა და პლეი ოფის პირველ საფეხურზე ყველაზე დიდი ანგარიშით წაგებაც დაფიქსირდა. რეგულარულ სეზონში „კინგზმა" მეტოქეს სამივე თამაში ოვერტაიმში გადაუყვანა. მაგრამ რეგულარული ჩემპიონატი ერთია, პლეი ოფი კი — მეორე.

### ლეიკერსი — ჰიუსტონი 1:0

9 მაისი

**ლეიკერსი 101:100 ჰიუსტონი**

**ლეიკერსი:** ფიშერი (20), ბრაიანტი (17), რაისი (29), რიდი (3), ონილი (27 ქულა, 11 მოხსნა, 4 დაფარება); ფოქსი (3), ჰორი (2), ჰარპერი, რუქსი

**ჰიუსტონი:** მობლი (13), დიკერსონი (11), პიპენი (14 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი), ბარკლი (25 ქულა, 10 მოხსნა), ოლაჯუონი (22); მეკი (13), ბალარდი (2), კარი, ჰარინგტონი, პრაისი, რობერტი

ლეიკერსის გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო შაკილ ონილმა და საკმაოდ მოულოდნელადაც. ჩვეულებრივ, ონილი მატჩის ბოლოს კარგად ველარ ირჯება, მაგრამ ამჯერად იგი მართლაც შეუდარებელი იყო. შეხვედრის დამთავრების შემდეგ უთქვამს, კარგად ვიცი მაგათი ამბავი, შეეცდებოდნენ პერსონალურები მიმეღო და მოედანი დამეტოვებინა, მაგრამ ვერ მივართვიო. ონილმა იქით გააგდო სტუმართა ლიდერი ჰაკიმ ოლაჯუონი და თავისი სიძლიერე იმითაც დაამტკიცა, რომ მატჩის უკანასკნელ წამს ჰიუსტონელ პატარა კაცს, კუტინო მობლის ფარქვეშ „უტიფრად" შეძრომა არ აპატია და დააფარა. მანამდე კი კობი ბრაიანტმა ხუთი წამით ადრე ორი საჯარიმო ჩააგდო და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

**ირაკლი ფირაშვილი**



ბათუმელი კახა მაჩიტიძის (ბურთით) და მისი თანაგუნდელების კლასმა მძიმე მოედანზეც თავისი გაიტანა

საქართველოს ჩემპიონატი. მესამე ტური

# ნაწვიმარ-ნაქუჩუნარი მინდორაშვილმა შეირგო

რუსთავი 8 მაისი

**რუსთავი — აია 8:6 (0:3)**

**რუსთავი:** სამხარაძე, კვიჟინაძე, მელაძე, ნარსია, უძილაური, ლობჟანიძე, ქერდიკაშვილი, გოგშელიძე, გელაშვილი, ლობჟანიძე, ღირსიაშვილი, მეფარიშვილი, მჭედლიშვილი, ზურაბიშვილი, მინდორაშვილი

**1ლ — მინდორაშვილი; 1ს — ქერდიკაშვილი**

**აია:** ბუხაიძე, ბალანჩივაძე, ბაბუნაშვილი, კოსტავა, მაღლაკელიძე, კიკვიძე, ნინიაშვილი, ცნობილაძე, ჩუბინიძე, შვანგირაძე, აშვეთია, ჩორგოლაშვილი, ჩხაბერიძე, გაბრიჩიძე, კლდიაშვილი

**1ს და 1ა — შვანგირაძე**

**მსაჯი:** დ. კილასონია

**მეთვალყურე:** გ. კუბლაშვილი

რამდენიმე დღის წინ ზეცამ პირი მოხსნა და რუსთავის გამხმარი მიწა ჯერ დაალბო, მერე კი აატალახა. რუსთაველი და ქუთაისელი მორაგბეები მოედანზე თამაშის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე შეიკრიბნენ და მსაჯის მოლოდინში გახურდნენ. ღვთის მადლით, თამაშის დაწყებამდე გამოიდარა.

მსაჯმა, ქართული სარაგბო თემის ძველმა წარმომადგენელმა დავით კილასონიამ სასტვენს ჩაბერა და უხეირო მოედანზე ჯიგრიანი თამაში გაჩაღდა. უდიდესი ტრადიციების, აწ კი შეჭირვებული და ახლახან აწყობილი „აია". მთლად ახალშობილ „რუსთავთან" ალბათ მოსაგებად ჩამოვიდა, მაგრამ მასპინძლები მედგრად დაუხვდნენ ქუთათურებს.

თავდაპირველად ქუთაისელები მძლავრობდნენ მაგრამ რუსთაველები გამოცდილი მამუკა მინდორაშვილის მეთაურობით მშვენივრად ამაგრებდნენ საკუთარი სალელოე მოედნის მისადგომებს და მატჩიც ისე ჩამთავრდა, ლელო არ გაუშვიათ. მინდორაშვილის თამაში რუსთაველებს თავდაჯერებას მატებდა. პერიოდულად იგი თავადაც სახიფათოდ უტევდა და აკი მატჩის ერთადერთი ლელო სწორედ მან გაიტანა მეორე ნახევრის დასაწყისში.

პირველი ტაიმის შუაში „აიამ" ორი საჯარიმოს უფლება მოიპოვა, ამათგან ერთი გამოიყენა და 3:0 დაწინაურდა. რუსთაველებს უჭირდათ აუტის მოგება, „დერეფანში" მეტწილად სტუმრები მარჯვობდნენ, მაგრამ თამაშს მაინც თანაბარი ეთქმოდა.

მეორე ნახევარში მცირე უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ და ეს უპირატესობა ტაიმის დასაწყისში მინდორაშვილის ლელოთი გამოიხატა.

იყო ჩხუბიც, მაგრამ მას, რაღა თქმა უნდა, შერიგება მოჰყვა. მანამდე კი ქუთაისელმა შვანგირაძემ არეკნი გაიტანა და თავისიანები უკვე მეორედ დააწინაურა, მაგრამ სტუმრებს მოგება არ ეწერათ. შეხვედრის დამთავრებამდე ორიოდე წუთით ადრე რუსთაველებმა ხელსაყრელი პოზიციიდან ჯარიმის დარტყმის უფლება მოიპოვეს და ქერდიკაშვილმაც გაიტანა. ცოტა ხანში კილასონიამაც ჩასტვინა. ახალგაზრდულმა, მაგრამ ერთობ მონდომებულმა რუსთაველებმა ჩემპიონატში პირველი გამარჯვება იზეიმეს.

**ირაკლი ფირაშვილი**

# დათვის ნაკვალევს წვიმაც კი ვერ შლის

თბილისი 9 მაისი

**უნივერსიტეტი — დათვები**
**0:22 (0:5)**

**უნივერსიტეტი:** რატიანიძე, ჯანუყაშვილი, წიკლაური, ბიძინაშვილი (ჩქარეული), კობიაშვილი, მჭედლიშვილი (თავაძე), ქირიკაშვილი, ლაბაძე, ჭუმბურიძე, კიზირია, ბოლღაშვილი, ჯაში, სვანიძე, ქვრივიშვილი.

**დათვები:** ნინიძე, გურეშიძე, ფირცხალავა, სვანიძე, აბაშიძე, რეხვიაშვილი, გოგისვანიძე, ფხაკაძე, აბდალაძე, გაბელაია, ნ. ძაგნიძე, ხონელიძე, ე. ძაგნიძე, შერვაშიძე, მაჩიტიძე.

**4ლ — აბდალაძე, მაჩიტიძე, გურეშიძე, ე. ძაგნიძე; 1გ — ნ. ძაგნიძე**

**მსაჯი:** გ. ჯავახიშვილი

**მეთვალყურე:** გ. აბაშიძე

ავდარმა კვალი ტურის მეორე მატჩსაც დაატყო. კვირას წვიმამ კი გადაიღო, მაგრამ ამით ბევრს არაფერს ეშველა: უქმეებზე დანიშნული ოთხი შეხვედრიდან მხოლოდ ორი გაიმართა.

ერთ-ერთში თსუ-მ ბათუმის „დათვებს" უმასპინძლა. ვარკეთილში გამართული ეს მატჩი მეტად მძიმე გამოდგა. მძიმე ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, რადგან მინდორი ისე იყო დატბორილი და ატალახებული, რომ ლალი თამაში შეუძლებელი იყო. მორაგბეებმა სხვადასხვა ფერის მაისურებით კი დაიწყეს, მაგრამ ცოტა ხანში ისე ამოიგანგლნენ ტალახში, მათი ერთმანეთისგან გარჩევა ძნელი გახდა. ოვალური ბურთიც საკმაოდ დამძიმებული იყო, რაც ფეხით თამაშს აძნელებდა.

პირველ ტაიმში სტუდენტები მედგრად დაუდგნენ საქართველოს ვიცეჩემპიონებს და ტოლი თითქმის არაფერში დაუდეს. „დათვებს" ფაქტობრივად უპირატესობა არ ჰქონდათ, ვერც შერკინებაში დაჯაბნეს მასპინძლები და ვერც სხვა კომპონენტში. მათ მიერ ტაიმის შუაში გატანილი ლელოც ერთი შეხედვით საეჭვო და საკამათო იყო — ბურთს იმდენი სტუდენტი ჩაუწვა, რომ აბდალაძემ ნამდვილად დაამიწა თუ არა ძნელი სათქმელია. თუმცა, მსაჯი იქვე იყო და ჩვენც ვენდოთ მას. გარდასახვიდან ბათუმელთა დამრტყმელმა ნუგზარ ძაგნიძემ მძიმე ბურთი ძელებს შორის ველარ გაატარა — 5:0 სტუმართა სასარგებლოდ.

ამის მერე თბილისელებს ერთი-ორი მომენტი ჰქონდათ, ანგარიშის გათანაბრება და წინ გასვლაც შეეძლოთ, მაგრამ „დათვების" კარგმა დაცვამ მათ ამის გაკეთების შესაძლებლობა არ მისცა.

მეორე ტაიმში კი კლასმა მაინც თავისი გაიტანა. სტუმრებმა კიდევ სამჯერ გაიტანეს ლელო, მათმა მეათე ნომერმა ერთხელაც გარდასახა და „დათვებიც" ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერები გახდნენ. თუმცა, მათ ძირითად კონკურენტებს, „ყოჩებსა" და „ლოკომოტივს", ნაკლები მატჩები აქვთ ჩატარებული.

**გაგი გურული**

# ორში ერთი ცოტაა

რომი. იტალიის ღია პირველობა. თიხნარი. საპრიზო 1,05 მილიონი $

**მეოთხედფინალი:** **მარტინა ჰინგისი** (1, შვეიცარია) — სერენა უილიამსი (6, აშშ) 6:2, 6:2; **ვინუს უილიამსი** (3, აშშ) — დომინიკ ვან რუსტი (11, ბელგია) 7:6 (7:1), 6:2; **მარი პირსი** (4, საფრანგეთი) — სანდრინ ტესტიუ (8, საფრანგეთი) 6:4, 7:5; **ამელი მორესმო** (10, საფრანგეთი) — სილვია პლიჩკე (ავსტრია) 6:2, 6:3

**ნახევარფინალი:** **ვ. უილიამსი** — ჰინგისი 6:4, 1:6, 6:4; **პირსი** — მორესმო 6:7 (1:7), 6:2, 6:4

**ფინალი:** **უილიამსი** — პირსი 6:4, 6:2

სიმაღლითა თუ ჯანით ზევსისგან არცთუ დამწყალობებული მარტინა ჰინგისის ჰერკულესთან შედარება იქნებ გადამეტებული არც იყოს, მაგრამ გასულ კვირეებზე მსოფლიოს პირველი ჩოგანი ლერნასთან მებრძოლ ძველბერძენ გმირს ნამდვილად წააგავდა თუნდაც იმით, რომ მეტოქისთვის ერთი თავის წაგლეჯის შემდეგ ორთავიან ურჩხულს თუ არა, უფრო მაღალ, უფრო დაკუნთულ და უფრო საშინელ მისსავე დაიას გადააწყდა.

უილიამსების ოჯახთან ორრაუნდიანი დუელის პირველი ეტაპი 18 წლის შვეიცარიელმა იოლად და წარმატებით გაიარა: მატჩის საწყის ოთხ გეიმში მეტოქეს მან ერთადერთი ქულა დაანება, ისიც საკუთარი ორმაგი შეცდომით, და მარტში ნაგემი მარცხისთვის სულ 62 წუთში იძია შური.

სერენამ მარტინას სწრაფ ტემპს ვეღარაფრით აუღო, აურაცხელი უნებლიე შეცდომა დაუშვა და განაწყენებულმა მეტოქის დაფასებაც იუარა: „ეს მას კი არ მოუგია, მე ვაჩუქე მატჩი. ასე ცუდად, ალბათ, არასოდეს მითამაშია."

უმცროსი დაიკოს ასე დაჩაგვრამ უფროსიც არანაკლებ აალელვა და თავისი მეოთხედფინალური შეხვედრის შემდეგ დიპლომატიურობით არცთუ გამორჩეული ვინუსი სისხლის აღებას დაიქადნა, თუ ჩემთვის არა, სერენასთვის მაინც შევეცდები მოგებასო. თქვა და აასრულა კიდეც, თუმცა უბრძოლველად მსოფლიოს პირველი ჩოგანი არ დანებებულა.

პირველი ხელის წაგების შემდეგ ჰინგისმა მეორეში ერთადერთი გეიმი დათმო, გადამწყვეტში კი 2:0-თაც დაწინაურდა, როდესაც უფროსმა უილიამსმა თავს შეუძახა: „გადავწყვიტე, მეტი აღარ შემეცილებინა. მეორე სეტში ძალიან ცუდად გავისარჯე და ასე რომ გამეგრძელებინა, აღარაფერი მეშველებოდა."

REUTERS ჰამბურგიდან



მარსელო რიოსი და მარიანო ზაბალეტა

REUTERS რომიდან



ვინუს უილიამსი

ვინუსმა მართლაც უცებ მოუმატა თამაშს, მძლავრ დარტყმებს რამდენჯერმე დროული შემოკლებული შეუნაცვლა, ბადესთანაც გაინავარდა და უმწეო ჰინგისიც თითქმის უბრძოლველად დანებდა — საკუთარი მოწოდებისას 4:5-ზე მარტინამ ერთი ქულაც ვერ მიითვალა.

„ბოლო გათამაშებებისას თითქოს უჟანგბადოდ ვიყავი, ენერგიისგან სულ დავიცალე. ვინუსი ჯეროვნად ვერ შევაფასე. სერენას დამარცხების შემდეგ მეტისმეტად თავდაჯერებული ვიყავი, მეგონა, დღესაც იგივე განმეორდებოდა, მაგრამ იგი დაზე უკეთ აწოდებდა — აღნიშნა პრესკონფერენციაზე როგორც ყოველთვის მომღიმარმა მარტინამ, თუმც საფრანგეთის ღია პირველობის წინ მუქარაც არ დაივიწყა — როლან გაროსი იტალიის ღია პირველობაზე მეტად ფასობს, ასე რომ, მიფრთხილდი, ვინუს."

ფაქტობრივად, ჩემპიონის ბედიც იქვე, ნახევარფინალში გადაწყდა: შესანიშნავი ტაქტიკური ჩანაფიქრისა (ხშირი აბრაგანები) და გამოცდილების წყალობით მარი პირსმა თანამემამულე ამელი მორესმოს კი აჯობა, მაგრამ იქვე საზარდულიც დაიზიანა და ზედიზედ მეორე ტურნირის ფინალში უფროს უილიამსს ტრავმიანი დაუხვდა (გასულ კვირას ჰამბურგში პირსს ზურგი აწუხებდა).

თითქოს ერთი ფინალისტის უილბლობა საკმარისი არ იყო, „ფორო იტალიკოს" კვირას ათასი მტერი შეესია. ჯერ იყო და, ზედა რიგებში მსხდომებს გაბოროტებული ფუტკრების გროვა შეესია და სულ ვაი-ვიში აატეხინა. ზუზუნი ამით არ დასრულებულა: რაკილა მახლობელ ოლიმპიურ სტადიონზე ლაციო-ბოლონიის თამაშსაც უამრავი პოტენციური ამომრჩეველი ესწრებოდა, რომელიღაც გაქნილმა პოლიტიკოსმა ორი პატარა თვითმფრინავი იქირავა სარეკლამოდ, ამას პოლიციის საზედამხედველო ვერტმფრენიც დაემატა და ზოგჯერ კორტამდე ტაშის ხმაც კი აღარ აღწევდა. გაითვალისწინეთ მობილურების ხშირი წკრიალი და უდროოდ ჩართული სტადიონის სირენა და მთელი ატმოსფეროს წარმოდგენაც არ გაგიჭირდებათ.

მეტ-ნაკლები ბრძოლა კი მატჩში მხოლოდ პირველ სეტში მიმდინარეობდა, სანამ 4:4-ზე ვინუსი ერთხელაც აართმევდა მოწოდებას ძლივს მორბენალ მეტოქეს და საბოლოოდ დაწინაურდებოდა. „ არ მინდა, ტრავმით გავიმართლო თავი, მაგრამ იგი მართლაც ხშირად მაწუხებდა. სამწუხაროა, რომ ფინალს კიდევ ერთხელ ვერ შევხვდი მზადყოფნაში, თუმცა იმასაც ვიტყოდი, რომ ამჟამად ვინუსი, ალბათ, საუკეთესოდ თამაშობს ჩვენს შორის."

ჰამბურგი. გერმანიის ღია პირველობა. თიხნარი. საპრიზო 2,45 მილიონი $

**მეოთხედფინალი:** **კარლოს მოია** (2, ესპანეთი) — გუსტავო კუერტენი (8, ბრაზილია) 6:0, 6:2; **მარიანო ზაბალეტა** (არგენტინა) — ტიმ ჰენმანი (3, ინგლისი) 3:6, 6:1, 6:4; **მარსელო რიოსი** (4, ჩილე) — ტომი ჰაასი (11, გერმანია) 6:4, 6:4; **ნიკოლას ლაპენტი** (ეკვადორი) — არნო დის პასკალი (საფრანგეთი) 6:4, 6:7 (6:8), 6:2

**ნახევარფინალი:** **რიოსი** — მოია 6:4, 7:6 (7:4); **ზაბალეტა** — ლაპენტი 7:5, 6:2.

**ფინალი:** **რიოსი** — ზაბალეტა 6:7, 7:5, 5:7, 7:6, 6:2

ბევრს ეგონა, მსოფლიოს ორი ყოფილი პირველი ჩოგნის — ესპანელი კარლოს მოიასა და ჩილელი მარსელო რიოსის შეხვედრა ტურნირის ვადამდელი ფინალი იქნებაო, მერე კი... მაგრამ 21 წლის არგენტინელმა მარიანო ზაბალეტამ, რომელიც პირველად ასპარეზობდა მერსედეს სუპერ 9-ის სერიის ტურნირის ფინალში, 4-საათიან მარათონში სახელოვან მეტოქეს არაფერი დაუთმო.

კარიერის უდიდესი გამარჯვების გასანაღდებლად და 361 ათასის ჩასაჯიბად ზაბალეტას ერთი ზუსტი დარტყმა აკლდა: 6:5-ზე მეოთხე სეტში მას მატჩ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ უკანა ხაზზე მიჯაჭვული რიოსი მოულოდნელად ბადესთან გავარდა, არგენტინელიც დაიბნა და მოლოდინი ბადეში გაახვია.

ბეწვის ხიდზე გავლამ ორიოდ კვირის წინ ფეხის ტრავმის გამო მსგავს ფინალს მოცდენილ ჩილელს მეორე სუნთქვა გაუხსნა: ამან ჯერ ტაი-ბრეიკზე იმარჯვა, მეხუთე ხელში კი მეტოქეს სამჯერ აართვა მოწოდება და სეზონის პირველი ტიტულიც გაინაღდა.

„ზედმეტად მოშვებულად ვთამაშობდი. მეგონა, სწრაფად, სამ სეტში მოვითავებდი საქმეს, მაგრამ არაფერი გამომივიდა. პირველმა ხელმა ორივე გაგვასავათა, მატჩის ბოლოს ფეხებს ძლივს ვიმორჩილებდი. განსაკუთრებით კი ის გამიხარდა, რომ ესოდენ ხანგრძლივ შეხვედრაში არც ერთმა ძველმა ტრავმამ არ შემახსენა თავი — განაცხადა პრესკონფერენციაზე რიოსმა, რომელსაც მეტოქის შექებაც არ დავიწყებია — იგი შესანიშნავი ჩოგბურთელია, ცოტა გამოცდილებაც და საუკეთესოთა შორის დაიმკვიდრებს ადგილს."

მაინცდამაინც ნაწყენი არც ზაბალეტა დარჩენილა: „რა თქმა უნდა, მატჩ-პოინტის ხელიდან გაშვებამ იმედი გამიცრუა, მაგრამ მთელი ეს კვირა არაჩვეულებრივი იყო, განსაკუთრებით კი ფინალი მარსელოს წინააღმდეგ, რომელიც, ჩემი აზრით, ამჟამად საუკეთესო მოთამაშეა."

დელრეი ბიჩი. აშშ. სიტრიქსის ჩემპიონატი. თიხნარი. საპრიზო 280 ათასი $

**ნახევარფინალი:** **ლეიტონ ჰიუიტი** (6, ავსტრალია) — სებასტიან გროსჟანი (2, საფრანგეთი) 6:3, 6:2; **ქსავიე მალისი** (ბელგია) — სკოტ დრეიპერი (3, ავსტრალია) 6:4, 6:4.

**ფინალი:** **ჰიუიტი** — მალისი 6:4, 6:7 (2:7), 6:1

ორი 18 წლის ვუნდერკინდის დუელში მეტი მრავალფეროვნება და სტაბილურობა ავსტრალიელმა ლეიტონ ჰიუიტმა გამოიჩინა. არადა, როდმანის „ბიძაშვილი" მალისი, რომელსაც ასაკის მიუხედავად თმების ნაირფრად გადაღებვა და ილბლის საწევად ფრჩხილებზე თეთრი ლაქის წასმაც კი მოუსწრია, მოგების შემთხვევაში მაყურებლებს შარვლის ჩახდას ჰპირდებოდა.

**ავთანდილ სვანიძე**

ჰოკეი

## მსოფლიოს ჩემპიონატი. ნორვეგია

ISHOCKEY VM '99
LILLEHAMMER - HAMAR - OSLO
1. mai - 16. mai

საპლეიოფო რაუნდის დასრულებამდე ერთი დღით ადრე უძლიერესთა ოთხეულში მოხვედრა E ჯგუფიდან კანადამ და ფინეთმა დაიბევეს.

9 მაისი

### E ჯგუფი

**ფინეთი — შვეიცარია 5:1**

3:0 2:1 0:0

1:0 პელტონენი 8'55; 2:0 სიპვონენი 10'08; 3:0 რინტანენი 16'02; 4:0 სელიანე 27'49; 4:1 შტრაიტი 29'29; 5:1 კალიო 38'41

ტემუ სელიანემ კვლავ გაიტანა, საკუ კოივუმ (3 პასი) კი ერთბაშად ორი სამეულის თამაში ააწყო. ფინელებმა ბოლო მესამედში ძალები აშკარად დაზოგეს.

**კანადა — აშშ 4:1**

1:0 3:0 0:1

1:0 გრეივსი 10'25; 2:0 ლაპოინტი 23'50; 3:0 უოკერი 29'21; 4:0 უიტნი 38'27; 4:1 მოტო 52'46

ძმები მიურეების ორთაბრძოლა უფროსის და უფრო მაღალი თანამდებობის პირის, ბრაიანის გუნდის გამარჯვებით დასრულდა. ჩემს ძმას ხომ არ ვაწყენინებდიო, ხუმრობდა მატჩის შემდეგ აშშ-ის გუნდის თავკაცი, უმცროსი ძმა ტერი, რომელიც ფლორიდაში მთავარი მწვრთნელია, ხოლო ბრაიანი — გენერალური მენეჯერი.

### F ჯგუფი

**ჩეხეთი — სლოვაკეთი 8:2**

2:2 4:0 2:0

0:1 კაპუში 7'37; 0:2 პალფი 11'04; 1:2 კალოუნი 16'05; 2:2 სიკორა 18'40; 3:2 რუჩინსკი 22'35; 4:2 ვიბორნი 24'31; 5:2 შიმიჩეკი 32'56; 6:2 პატერა 34'32; 7:2 პლავაჩი 48'01; 8:2 დვორჟაკი 52'17

რუსებთან განადგურების შემდეგ ჩეხები აშკარად არ იყვნენ გუნებაზე, მაგრამ როცა ზიგმუნდ პალფიმ შაიბის გატანისას მათი მეკარე მილან ჰნილიჩკა აბუჩად აიგდო, ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტებს გაახსენდათ, რომ ერთი წაგება საბედისწერო არ იყო, კიდევ ჰქონდათ შანსი და ისე მოიწადინეს, ყოფილ თანამემამულეებს სულ ბღლვირი აღინეს.

**შვედეთი — რუსეთი 4:1**

2:0 2:0 0:1

1:0 ნიულანდერი 2'30; 2:0 ალფრედსონი 16'46; 3:0 ალფრედსონი 22'04; 4:0 ნესლუნდი 23'03; 4:1 აფინოგენოვი 58'53

რუსებმა კვლავ უნიათოდ დაიწყეს მატჩი, თუმცა ეს შვედების სწრაფმა და მძლავრმა შეტევებმა განაპირობა (საერთოდ, სკანდინაველები თანდათან უმატებენ). როგორც კი პირველი შტურმი ჩაცხრა, ყოფილმა საბჭოელებმა თითქოს გაათანაბრეს თამაში, მაგრამ ისინი მეკარე ეგორ პოდომაცკიმ დაალალატა: შაიბის ზონიდან გადაგდება სცადა, ყვანჯი კი ააცილა და დანიელ ალფრედსონიც ასეთ საჩუქარს ხელიდან როგორ გაუშვებდა. შვედებმა ალექსეი აიშინიც ისე ჩაკეტეს, ოტაველთა ლიდერს თავი არაფრით გამოაჩენინეს.

მეცხრე-მეთორმეტე ადგილები

**ნორვეგია — ბელარუსი 0:2**

**ლატვია — ავსტრია 2:5**

STANLEY CUP PLAYOFFS

## აღმოსავლეთი

სერიის ანგარიში
**ტორონტო — პიტსბურგი 1:1**

7 მაისი

**ტორონტო — პიტსბურგი 0:2**

0:1 0:0 0:1

0:1 კესა 10'52 (1), 0:2 ტიტოვი 59'23 (2)

9 მაისი

**ტორონტო — პიტსბურგი 4:2**

2:0 1:1 1:1

1:0 ბოჰონოსი 6'06 (1); 2:0 სუნდინი 14'41 (2); 2:1 მილერი 29'12 (2); 3:1 სუნდინი 31'49 (3); 3:2 ტიტოვი 52'42 (3); 4:2 ტომასი 56'50 (3)

ეს ტორონტოელები ვინ ყოფილან — „მშრალად" თუ არ მოუგე (ფილადელფიასთან სერიაშიც ასე დათმეს პირველი თამაში), გონს ვერ მოდიან. მასპინძელთათვის ორმაგად სასიამოვნო იყო მათი ლიდერის მატს სუნდინის შედეგიანი თამაში — მან ოთხივე გოლში დაიდო წილი. ამაში შვედ ვარსკვლავს აქამდე სათადარიგოთა შორის მყოფი ლონი ბოჰონოსი დაეხმარა. ტორონტომ პლეი ოფში პირველად შეაგდო ორ შაიბაზე მეტი, თუმცა სტუმრად გამარჯვება პიტსბურგს მომდევნო ორ საშინაო მატჩში დიდ შანსს აძლევს.

**ბოსტონი — ბუფალო 1:1**

9 მაისი

**ბოსტონი — ბუფალო 1:3**

0:1 0:1 1:1

0:1 პეკა 1'51 (2); 0:2 ბრაუნი 25'57 (2); 1:2 სუინი 54'03 (2); 1:3 უორდი 59'23 (2)

უმაღლეს დონეზე ჩატარებული პირველი მესამედის შემდეგ (სტუმრებმა დარტყმებში (17:5 აჯობეს მასპინძლებს) „ხმლებმა" მთელი ყურადღება დაცვაზე გადაიტანეს და, ცხადია, დომინიკ ჰაშეკს (28 მოგერიება) მიენდნენ, რომლისთვისაც აუღებელი მხოლოდ დონ სუინის უძლიერესი დარტყმა აღმოჩნდა.

## დასავლეთი

**კოლორადო — დეტროიტი 0:2**

7 მაისი

**კოლორადო — დეტროიტი 2:3**

2:1 0:1 0:0 0:1

0:1 აიზერმანი 3'51 (6); 1:1 ფლერი 10'51 (4); 2:1 დედმარში 12'34 (4); 2:2 კოზლოვი 36'30 (3); 2:3 მოლტბი 64'18 (1)

9 მაისი

**კოლორადო — დეტროიტი 0:4**

0:1 0:1 0:2

0:1 აიზერმანი 6'11 (7); 0:2 აიზერმანი 25'35 (8); 0:3 ლიდსტრომი 50'45 (1); 0:4 კლარკი 51'23 (2)

დეტროიტის თამაშს მაინც დაეტყო ათდღიანი შესვენება. პირველ შეხვედრაში, განსაკუთრებით პირველ პერიოდში, ჩემპიონებს გაუჭირდათ, მაგრამ ტრავმირებული კრის ოსგუდის ნაცვლად მოთამაშე მეკარე ბილ რენფორდმა (37 მოგერიება) კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ დეტროიტის თავკაცი სკოტი ბოუმენი კადრებში არასდროს ცდება (შეგახსენებთ, რომ რენფორდი დედლაინზე შეიძინეს). სტუმრები თანდათან დაწყნარდნენ და ჩვეულად ათამაშდნენ. გადამწყვეტი კი კოლორადოს ლიდერის, პეტერ ფორსბერგის გაძევება აღმოჩნდა. ამის შემდეგ მასპინძელთა შეტევებმა სიმძაფრე დაკარგა და საბოლოოდ „წითელფრთიანებმა" მიზანს მიაღწიეს. მეორე თამაშში კი ... ჩემპიონს შეტევა ჩინებულად რომ ეხერხება, ყველამ იცის, მაგრამ იერიშის ჩაშლის ხელოვნებას თუ ასე ბრწყინვალედ დაეუფლა, ეს არავინ უწყოდა და სიურპრიზი გახლდათ. დეტროიტმა თამაში კონტრშეტევებზე ააგო და მეტოქის ლიდერები ისე შებოჭა, „ეველანშს" ერთი აშკარა საგოლე მომენტიც არ შეუქმნია. მაშინაც კი, როცა მასპინძელთა მწვრთნელმა ბობ ჰარტლიმ ბოლო კოზირი გამოიყენა — სამი ლიდერი, საკიკი, ფორსბერგი და ფლერი გააერთიანა — ვითარება სულაც არ შეცვლილა. „ეველანშმა" სხვა რომ ვერაფერი გააწყო, უხეშობას მიმართა და ამის გამო კიდევ უფრო დაისაჯა.

**დალასი — სენტ ლუისი 2:0**

8 მაისი

**დალასი — სენტ ლუისი 5:4**

1:1 2:3 1:0 1:0

1:0 ლანგებრუნერი 7'50 (3); 1:1 დემიტრა 19'27 (3); 1:2 იანგი 20'53 (3); 2:2 ნუინდაიკი 25'35 (4); 3:2 კინი 29'54 (2); 3:3 ტარჯონი 34'29 (3); 3:4 დემიტრა 37'29 (4); 4:4 ლეჰტინენი 44'22 (3); 5:4 ნუინდაიკი 68'22 (5)

ვინ იცის, იქნებ სენტლუისელთათვის ეს ბოლო შანსიც იყო. „ბლუზმენებმა" ოთხი გოლი გაუტანეს ედ ბელფორს, რაც ბოლო ორი თვეა, არავის გაუკეთებია. მათ დარტყმებითაც აჯობეს მეტოქეს (ხუმრობა ხომ არ არის, დალასის კარში 34-ჯერ დაარტყა) და დაწინაურებულნიც იყვნენ, მაგრამ საბოლოოდ მოგება ხელიდან გაუშვეს.

მეორე პერიოდის დასაწყისში (ამ დროისთვის სტუმრები 2:1 იგებდნენ) ბელფორთან ორჯერ პირისპირ გასულ კრეიგ კონროის ორივე შესაძლებლობა რომ გამოეყენებინა, ეგებ მატჩი სხვაგვარად დასრულებულიყო.

**სამველ ლარიბიანი**

## ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ნორვეგია

ISHOCKEY VM '99
LILLEHAMMER - HAMAR - OSLO
1. mai - 16. mai

10 მაისი

**F ჯგუფი**

ოსლო

**რუსეთი — სლოვაკეთი 2:2**
0:0 0:2 2:0

რუსეთი: პეტრენკო (42'36), გუსმანოვი (46'54)
სლოვაკეთი: პარა (29'15), ჰოსა (36'13)

**შვედეთი — ჩეხეთი 0:2**
0:0 0:2 0:0

ჩეხეთი: მ. პროშასკა (28'01), უიჩიკი (33'12)

**E ჯგუფი**

ჰამარი

**ფინეთი — კანადა 4:2**
2:0 2:2 0:0

ფინეთი: რინტანენი (02'10), კარალაჰტი (11'24, 26'55), ელორანტა (21'25)
კანადა: ფრიზენი (20'43), ბლეიკი (33'49)

**აშშ — შვეიცარია 3:0**
2:0 0:0 1:0

აშშ: სმოლინსკი (10'25), მოტო (18'55), კალენი (41'20)

მე-9-12 ადგილებისთვის

**ნორვეგია — ლატვია 1:7**
0:3 1:1 0:3

ნორვეგია: ტრუგი (37'55)
ლატვია: ფანდულსი (02'13, 48'56), ჟოლტოკსი (03'06, 46'57), სკრასტინსი (18'50), მატიკინსი (29'34), კერცსი (57'22)

**ბელარუსი — ავსტრია 3:2**
1:0 1:0 1:2

ბელარუსი: ლეონტიევი (16'44), კოვალიოვი (30'34), კალიუჟნი (40'48)
ავსტრია: პოდლოზკი (47'40), ულრიხი (59'19)



რუსეთი — სლოვაკეთი. მარიან ჰოსამ (მარჯვნივ) რუსებს შაიბაც გაუტანა და ალექსანდრ კოვანოვზე მუშტითაც გაიწია

ირაკლი ნიკოლაძის ფოტოები



— გამიშვი! არ გაგიშვებ! მაინც გავიტან ლელოს, ვერც შენ დამაკავებ და ვერც პირმოხსნილი ციდან თქეშად წამოსული წვიმით ატალახებულ-აზელილი მინდორი. ცხადია, ასე არ დაქადნებიან ერთმანეთს ბათუმელი „დათვები" და თბილისის უნივერსიტეტის მორაგბეები საქართველოს ჩემპიონატის მესამე ტურის კვირას გამართულ მატჩში, მაგრამ ამ ფოტოს შემხედვარეს რატომღაც სწორედ ასეთი საუბარი ჩამესმა. იმ დღეს კი დათვებმა სტუდენტებს ოთხი ლელო გაუტანეს, უმცროსი „ბეყეც" ანუ ემზარ ძაგნიძე (ფოტოზე ბურთით) ვერავინ შეაჩერა, ვერც ლამის ტბორად ქცეულმა მინდორმა.

## აბერტონმა ემერტონი...

პროფესიონალ მესერფინგეთა ასოციაცია თავის წლიურ კალენდარს განაგრძობს. აბობოქრებული ტალღების დამორჩილებისა და იშვიათი მამაკაცური სიამოვნების მორიგი ულუფის მისაღებად ამ საქმის მიმდევარნი ტაიტის ტეაპუპო-სანაპიროზე შეყრილან. სრიალი სრიალად და იქ ტალღებზე გადავლილები თურმე საპრიზოდ დათქმულ 150 ათას დოლარსაც გაინაწილებენ. აგერ ფოტოზე აღბეჭდილ ტიპს, ავსტრალიელ ბიო ემერტონს ამ თანხიდან ვინძლო ყველაზე მცირე ნაჭერი ერგოს. თანამემამულე კობი აბერტონმა იგი ასპარეზობას დასაწყისიდანვე გამოთიშა და ტალღებთან „დოლარიანი" სიამტკბილობა მორიგ ეტაპამდე გადაუვადა.



RUGBY SUPER 12

| ზე-12. მე-11 ტური |
|---|
| კეიპტაუნი 16:9 ჰამილტონი |
| პრეტორია 21:19 ოკლენდი |
| ბრისბენი 22:12 იოჰანესბურგი |
| კრაისტჩერჩი 34:29 დურბანი |
| ველინგტონი 13:7 სიდნეი |


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილეები** ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი** ვახტანგ ბზიკაძე
**ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი** სოსო კოტორეიშვილი
**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე** მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო აბულედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29